დანართი №3

სსიპ კოლეჯის "გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი" მიერ
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: შორენა ხუბუნაია

წევრები:

- ქეთევან გელაშვილი
- შალვა ზაზაძე
- თეა ბარამაშვილი
- გიორგი ჭიაურელი
- საბა მოდებაძე
- მაია ხურცილავა
- ზურაბ მესხიძე
- თამთა ლაგვილავა
- იამზე ნოზაძე
- ნინო მაზმიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **200279448**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

■ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ მიერ დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 06 ოქტომბრის MES 1 25 0001290313 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით - შორენა ხუბუნაია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), ქეთევან გელაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი); შალვა ზაზაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი); თეა ბარამაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ და ,,გრაფიკული დიზაინი"; გიორგი ჭიაურელი - დარგის ექსპერტი (წევრი) - „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“; საბა მოდებაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“; მაია ხურცილავა - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ბუღალტრული აღრიცხვა“; ზურაბ მესხიძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“, ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" და „Front end დეველოპმენტი“; თამთა ლაგვილავა - დარგის ექსპერტი (წევრი) - „საფინანსო სერვისები“; იამზე ნოზაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი"; ნინო მაზმიშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) - „ადმინისტრაციული სერვისები", (შემდგომში „ექსპერტთა ჯგუფი“), დაგვევალა მიმდინარე წლის **21, 22, 24 და 24 ოქტომბერს** დაწესებულების პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება მისამართზე, ქ. თბილისში, ილია ვეკუას ქ. N44, **სსიპ - კოლეჯში „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“.**

სსიპ - კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებებს, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯის ვებგვერდსა და მასზე განთავსებულ ინფორმაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და საოქმო გადაწყვეტილებას.

2025 წლის 13 ოქტომბერს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარმოადგინა ვიზიტის დღის წესრიგის პროექტი, ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის დადასტურებისათვის კოლეჯის მიერ წარმოსადგენი მტკიცებულებების/დოკუმენტების ნუსხა, ინტერვიურების სრულფასოვნად წარმართვის მიზნით კითხვების ჩამონათვალი და ჯგუფის წევრებს გადაუნაწილა ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტთა ჯგუფმა იმსჯელა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგებსა და ძირითად მიგნებებზე, რომლის მიხედვითაც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი N1) და დაიგეგმა ვიზიტთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2025 წლის 21, 22, 23 და 24 ოქტომბერს ექსპერტთა ჯგუფმა, ცენტრის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელა ვიზიტი კოლეჯში. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, გაესაუბრა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებს (70-მდე პირი), პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს (სულ 60-მდე პირი), პროგრამების განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს (8 ობიექტის წარმომადგენელი), კურსდამთავრებულებს, სულ 50-მდე პირს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო, სრულად იქნა შესწავლილი კოლეჯის მიერ ძირითადი და დამხმარე პროცესების დაგეგმვა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხები და წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტი.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება - 2.2.1.2 - სასურველია რომ ინსტრუქტორების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს ცალკე, როგორც კომპანიის მხრიდან გამოყოფილი ადამიანური რესურსი და არ აისახოს პროგრამის პედაგოგთა ჩამონათვალში. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, რომ თითოეული მოდული იყოს უზრუნველყოფილი ორი დარგის მასწავლებლის მონაწილეობით და არა პირიქით — თითო პედაგოგი მიჩნეული იყოს მხოლოდ ერთი მოდულისთვის პასუხისმგებლად. ეს უზრუნველყოფს სწავლების მდგრადობას და პროცესის შეუფერხებლობას მოულოდნელი გარემოებების შემთხვევაში. - **შესრულებულია,** დაწესებულებაში გამიჯნულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა ნუსხა, ასევე, თითოეული მოდულისთვის განსაზღვრულია არანაკლებ ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი.

შენიშვნა: დაწესებულება პერიოდულად ახორციელებს შიდა მარეგულირებელი აქტების განახლებას და ცვლილებების შეტანას ამ აქტების დამტკიცებისთვის განსაზღვრული პროცედურების დაცვით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ წინამდებარე დოკუმენტში დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების მოხსენიებისას, მითითებულია მხოლოდ მათი დამტკიცების რეკვიზიტები, რაც განპირობებულია ცვლილებების რაოდენობით.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 14 ნოემბრის MES 2 25 0001615179 წერილის საფუძველზე წარმოდგენილია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასთან დაკავშირებით. რის მიხედვითაც, დაწერებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მოცემულ დებულებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/ დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
ბუღალტრული აღრიცხვა	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ გარემოში	---	სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
ინდუსტრიული დიზაინის შესრულება	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ გარემოში	---	სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
გრაფიკული დიზაინი	ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ გარემოში	---	სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
Front-endდეველოპმენტი	ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ გარემოში	---	სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	დუალური	სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
მოდის ტექნოლოგია და დიზაინი	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
ადმინისტრაციული სერვისები	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

საფინანსო სერვისები	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	40	18	1	1
გრაფიკული დიზაინის შესრულება	40	22	0	11
მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	40	27	1	14
მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება	40	19	2	14
მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება	40	26	2	12
ინფორმაციის ტექნოლოგია	30	23	0	11
სამკერვალო წარმოება	40	13	0	7

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის მიერ საუკეთესო პრაქტიკად მიჩნეულია **ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა,** რომელიც წარმოადგენს სისტემური მიდგომის მაგალითს და გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლებით:

1. სისტემური მიდგომა და PDCA ციკლის ინტეგრაცია - დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის PDCA (Plan-Do-Check-Act) ციკლი სისტემატურად დანერგილია ყველა ორგანიზაციული პროცესის ფარგლებში. თითოეულ პროცესზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს: საქმიანობის მტკიცებულებაზე დაფუძნებულ დაგეგმვას კონკრეტული, გაზომვადი მიზნებით; შესრულების სისტემატურ მონიტორინგს და დოკუმენტირებას; პერიოდულ შეფასებას დადგენილი ინდიკატორებისა და კრიტერიუმების მიხედვით; ანალიზზე დაფუძნებულ უწყვეტ განვითარებას და პროცესების ოპტიმიზაციას.

2. ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ხარისხის კულტურის დანერგვისა და განვითარების მიმართულებით - დაწესებულების მენეჯმენტი ავლენს მაღალ დონეზე გააზრებას ხარისხის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ, რაც გამოიხატება: ხარისხის კულტურის განვითარების სისტემური ღონისძიებების რეგულარულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

განხორციელებაში; რესურსების მობილიზებასა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მხარდაჭერაში; პერსონალის მოტივაციის გაზრდაზე მიმართული სტიმულირების ღონისძიებების ეფექტიანობასა და ღია კომუნიკაციის კულტურის ხელშეწყობაში, სადაც ყველა თანამშრომელს აქვს აზრის გამოხატვის უფლება.

3. ხარისხის მართვის მენეჯერის გაფართოებული როლი - დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს კომპლექსურ შეფასებას, რომელიც მოიცავს: პროცესების მართვის ხარისხის სისტემატურ ანალიზს დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით; დაწესებულების პროცესების მართვაში ინტეგრირებული ხარისხის სისტემის ეფექტიანობის შეფასებას; შიდა აუდიტების (კომპლექსური შეფასება) ჩატარებას და რეკომენდაციების მომზადებას; მონაცემების ანალიზს და ტენდენციების იდენტიფიცირებას; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანმიმდევრულ გაუმჯობესებას.

4. პერსონალის შესაძლებლობები და კომპეტენციები - დაწესებულების ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი სრულფასოვნად ფლობს დელეგირებული პროცესების მართვის სრულ ციკლს; პროაქტიულად იყენებს გაუმჯობესების მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს; საფუძვლიანად აქვთ გააზრებული ხარისხის კულტურის პრინციპები; აღიქვამენ ხარისხის უზრუნველყოფას არა როგორც დამატებით ვალდებულებას, არამედ როგორც ორგანულ ნაწილს ყოველდღიური პროფესიული საქმიანობისა.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პერსონალი (პროგრამის ხელმძღვანელები, პროფესიული განათლების მასწავლებლები): საფუძვლიანად აქვთ გააზრებული ხარისხის პოლიტიკისა და პროცედურების მნიშვნელობა; აქტიურად მონაწილეობენ პროგრამების შეფასების, განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესებში; სისტემატურად იყენებენ თვითშეფასების ინსტრუმენტებს; ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები სრულად ინტეგრირებული აქვს პედაგოგიურ საქმიანობაში; რეგულარულად იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას კოლეგებთან.

6. ხარისხის კულტურის პრაქტიკული გამოვლინება დაწესებულებაში - დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია ხარისხის მდგრადი კულტურა, რომელიც გამოიხატება შემდეგი პრაქტიკული მახასიათებლებით: კოლაბორაციული გარემო: ყველა დონის პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე, რაც ვლინდება რეგულარულ შეხვედრებში, სამუშაო ჯგუფების ეფექტიან ფუნქციონირებასა და სტრუქტურულ/საშტატო ერთეულებს შორის კონსტრუქციულ კომუნიკაციაში; მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები: დაწესებულება სისტემატურად აგროვებს, ანალიზებს და იყენებს მონაცემებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ამავდროულად უზრუნველყოფს მონაცემების ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის; უწყვეტი სწავლებისა და განვითარების კულტურა: პერსონალი აქტიურად მონაწილეობს პროფესიულ განვითარების აქტივობებში, ხარისხის უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის სწავლებასა და თანამედროვე სტანდარტების ათვისებაში; თვითშეფასებისა და რეფლექსიის პრაქტიკა: დაწესებულებაში დამკვიდრებულია რეგულარული თვითშეფასების კულტურა ინდივიდუალურ, პროგრამულ და ინსტიტუციურ დონეზე, რაც მოიცავს კრიტიკული აზროვნებისა და კონსტრუქციული თვითანალიზის მექანიზმებს; დაინტერესებული მხარეების ჩართულობა: პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები აქტიურად არიან ჩართულნი ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში მათი აზრის რეგულარული გამოკითხვის, განხილვის ფორმატების და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის გზით; ინოვაციებისადმი ღიაობა: ხარისხის კულტურა ხელს უწყობს ახალი იდეების გენერირებას, საპილოტე პროექტების ინიცირებას და ინოვაციური მიდგომების დანერგვას; აღიარებისა და წახალისების სისტემა: დაწესებულებაში ფუნქციონირებს გამჭვირვალე სისტემა, რომელიც აღიარებს როგორც ინდივიდუალური თანამშრომლების, ისე მთელი გუნდების წვლილს ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

7. განსაკუთრებული შედეგები და გავლენა - დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის ჯაჭვის ბოლო ორი კრიტიკული კომპონენტი (Outcome/შედეგი, Impact/ზეგავლენა) აჩვენებს გამორჩეულ მაჩვენებლებს: კურსდამთავრებულთა მაღალი დასაქმების მაჩვენებელი: სპეციალობის შესაბამის პოზიციებზე დასაქმების მაღალი პროცენტი, რაც დასტურდება სისტემატური მონიტორინგით და კვლევებით; სამეწარმეო აქტივობის მხარდაჭერა: კურსდამთავრებულთა შორის საკუთარი ბიზნესის დაწყების მაღალი მაჩვენებელი, რაც მოწმობს სამეწარმეო უნარების ეფექტიან განვითარებაზე; კავშირის უწყვეტობა: კურსდამთავრებულთა აქტიური ჩართულობა დაწესებულების საქმიანობაში - დამატებითი კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებში მონაწილეობა, მოკლევადიან კურსებზე სწავლის გაგრძელება; დამსაქმებელთა კმაყოფილება: დამსაქმებელთა მაღალი შეფასება კურსდამთავრებულთა კომპეტენციების, პროფესიული მზადყოფნისა და ადაპტაციის უნარების მიმართ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4) ადამიანური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ბუღალტრული აღრიცხვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ინდუსტრიული დიზაინის შესრულება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
გრაფიკული დიზაინი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
Front-endდეველოპმენტი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
მოდის ტექნოლოგია და დიზაინი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ადმინისტრაციული სერვისები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
საფინანსო სერვისები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

კომპონენტი 5.1. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა - მეტწილადაა დაკმაყოფილებული, რადგან ინდიკატორი 5.1.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული:

- დაწესებულებას არ აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დადებითი დასკვნა შენობაში სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2025 წლის 18 აგვისტოს №992705 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა“ (რომელშიც ცვლილება განხორციელდა დირექტორის MES5250001405436 ბრძანებით, 24/10/2025) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N1) თანახმად, კოლეჯის ღონისძიებაა „შენობა-ნაგებობების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადება“, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 6 თვე. აღსანიშნავია, რომ სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის მიზნებისათვის დაწესებულება ახორციელებს დამატებითი საევაკუაციო კიბის მშენებლობას, სხვა კომპონენტში დაწესებულებაში არსებული ნორმები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების შენობაში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მოცემული დრო რელევანტურია, რადგან დაწესებულებაში მოცემული პროცესი ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწყებული იყო, დასრულებულია კიბის პროექტირების ეტაპი, გამოცხადებული იყო ტენდერი და დაწესებულება იწყებდა აქტივობების განხორციელების შემდეგ ეტაპს - ხელშეკრულების გაფორმებას დაგეგმილი ღონისძიებების შესასრულებლად. ამიტომ, შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 6 თვეში დასრულებადია, ვრცლად იხილეთ **5.1.2.1** ინდიკატორის აღწერა;

- დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის თაობაზე. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2025 წლის 18 აგვისტოს №992705 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა“ (რომელშიც ცვლილება განხორციელდა დირექტორის MES5250001405436 ბრძანებით, 24/10/2025) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N2) თანახმად, კოლეჯის ღონისძიებაა „კოლეჯის კუთვნილი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის შედგენა“. აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 5 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული დრო რელევანტურია, რადგან დაწესებულებაში პროცესი ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაიწყო, დაწესებულებამ წერილობით მიმართა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. ამიტომ, შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 5 თვეში დასრულებადია, ვრცლად იხილეთ **5.1.2.1** ინდიკატორის აღწერა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 14 ნოემბრის MES 2 25 0001615179 წერილის საფუძველზე წარმოდგენილია დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასთან დაკავშირებით. რის მიხედვითაც, დაწერებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მოცემულ დებულებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს

დაწესებულების მიერ გაცხადებული მისია ნათლად ასახავს პროფესიული განათლების მიზნებისა და პრინციპების არსს. კოლეჯი საკუთარი საქმიანობის ძირითად ამოცანად მიიჩნევს თითოეული სტუდენტის/მსმენელისათვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური და ხარისხიანი პროფესიული სწავლების უზრუნველყოფას, რაც მიმართულია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი, კონკურენტუნარიანი და ადაპტირებადი კადრების მომზადებისკენ. კოლეჯი საკუთარი მისიით ეხმიანება პროფესიული განათლების ისეთ მიზნებს, როგორიცაა: „სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“; „ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა“. მისიაში ასახულია დაწესებულების მკაფიო სურვილი - შექმნას სწავლის თანაბარი ხელმისაწვდომობა, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობით, დასაქმებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სხვადასხვა მიდგომით (ინტეგრირებული, კოოპერაციული, დუალური), პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს, ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარებას, რომელიც ამავდროულად არის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი.

დაწესებულების მისიაა - *„კოლეჯის მისიაა თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის/მსმენელისთვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით“.*

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან

დაწესებულების მისიის მიხედვით, ირკვევა, რომ ის არის მრავალპროფილური და ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე. მისიიდან ნათლად ჩანს კოლეჯის როლი, პროფესიული განათლების სფეროში, ქვეყნის პოლიტიკის მიზნების შესრულებაში. დაწესებულების მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, ასევე, პიროვნების საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. კოლეჯი ორიენტირებულია სხვადასხვა დარგის მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებაზე, რაც სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სისტემის მთავარი მიზნების - დამსაქმებელზე, ეკონომიკურ საჭიროებებსა და უწყვეტი განათლების პრინციპებზე დაფუძნებული სწავლების უზრუნველყოფასთან.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების საფუძველზე, დაწესებულებას შეეცვალა სახელწოდება და ის ჩამოყალიბდა როგორც სსიპ – კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, რაც მიუთითებს მის ინსტიტუციურ განვითარებასა და სტატუსის განმტკიცებაზე.

კოლეჯი 2020 წლამდე ძირითადად ახორციელებდა გრძელვადიან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. თუმცა, პანდემიის შედეგად წარმოქმნილი საგანმანათლებლო და შრომითი გარემოს ცვლილებების საპასუხოდ, დაწესებულებამ დანერგა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებიც. აღნიშნული ფაქტი ნათლად მიუთითებს კოლეჯის მოქნილობასა და განათლების სისტემაში მისი როლის გაფართოებაზე - როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლების სეგმენტში.

მისია არის მოკლე, გასაგები და მამოტივირებელი, ამასთან ხაზს უსვამს კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიონალების აღზრდას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან.

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები თავსებადია კოლეჯის მისიასთან და ითვალისწინებს მისიით განსაზღვრული მიმართულებების რეალიზებასთან დაკავშირებულ მიდგომებსა და პრინციპებს, ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური კადრებით შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაში წვლილის შეტანაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების ღირებულებები ასახავს პროფესიული განათლების პრინციპებსა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებს. კერძოდ, კოლეჯის საქმიანობა ემყარება შემდეგ ღირებულებებს:

- პროფესიონალიზმი;
- თანამშრომლობითი გარემოს შექმნა;
- გუნდური მუშაობა;
- სწავლის თანაბარი შესაძლებლობა;
- საჯაროობა;
- ინოვაცია;
- პროფესიული განვითარება.

აღნიშნული ღირებულებები ხელს უწყობს კოლეჯში დემოკრატიული, ინოვაციური და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბებას, რაც მის ხედვას პრაქტიკულ შინაარსს აძლევს და აძლიერებს მის როლს პროფესიული განათლების სისტემაში.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლის ოქტომბრიდან დაწესებულებას დაწყებული აქვს მუშაობას ახალი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის (2026–2032 წწ.) შემუშავებაზე, რომლის ფარგლებშიც გადაიხედება კოლეჯის ხედვა და განახლდება განვითარების პრიორიტეტები. აღნიშნული პროცესი ცხადყოფს დაწესებულების მზაობას უწყვეტი თვითშეფასებისა და სისტემური განვითარებისათვის.

კოლეჯის ხედვა და ღირებულებები სრულად გამომდინარეობს მისიის შინაარსიდან და განასახიერებს პროფესიული განათლების არსს - ხარისხზე, ინოვაციასა და თანასწორობაზე ორიენტირებულ მიდგომას. კოლეჯი ახორციელებს მიზანმიმართულ ნაბიჯებს იმისათვის, რომ დარჩეს თანამედროვე, მოქნილი და შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნებზე მორგებული საგანმანათლებლო დაწესებულება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

დაწესებულება უზრუნველყოფს მისია, ხედვა და ღირებულებების გავრცელებასა და გაზიარებას როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებულ მხარეებთან. კოლეჯი აქტიურად იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს, ვებ გვერდს, ელ ფოსტას და საჯარო განხილვებს, რათა უზრუნველყოს გამჭვირვალობა და ფართო ჩართულობა. მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე, განთავსებულია კოლეჯის ადმინისტრაციულ შენობაში ხილულ ადგილას და გამოიყენება საინფორმაციო მასალებში — რაც უზრუნველყოფს მათ საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის.

დაწესებულება ასევე უზრუნველყოფს თანამშრომლების, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციების ინფორმირებულობას მისიისა და ხედვის შესახებ. კოლეჯის ადმინისტრაცია რეგულარულად განიხილავს აღნიშნულ საკითხებს შიდა შეხვედრებზე, საკონფერენციო ფორმატებსა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, სადაც მონაწილეობენ სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები და დაინტერესებული მხარეები.

კოლეჯის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან - კოლეჯის დირექტორი, ადმინისტრაციის თანამშრომლები და კოლეჯის მასწავლებლები (დარგის სპეციალისტები), პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პარტნიორო ორგანიზაციის წარმომადგენლები. დაწესებულებაში ახალი სტრატეგიული დაგეგმვის მიზნებისათვის წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 13 ოქტომბრის MES 9 25 0001341936 ბრძანება „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმის (2026-2032წწ.) პროექტის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“. სამუშაო ჯგუფს ევალება დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის (2026-2032წწ.) პროექტის შემუშავება და კოლეჯის დირექტორისათვის წარდგენა არაუგვიანეს 2025 წლის 1 დეკემბრისა, რის შემდეგაც იწყება სტრატეგიული დოკუმენტების პროექტების ფართო აუდიტორიის წინაშე განხილვები. სტრატეგიული დოკუმენტების დამტკიცების ვადად განსაზღვრულია 2025 წლის დეკემბრის ბოლო. კოლეჯის დირექტორის მიერ ასევე დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის მოქმედებათა გეგმა, სადაც განსაზღვრულია შესასრულებელი აქტივობები და მათი შესრულების ვადები, მათ შორის, სამუშაო ჯგუფის აქტივობებია: 2018-2025 კოლეჯის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის საქმიანობის SWOT ანალიზის განხილვა, მისიის, ხედვისა და ღირებულებების გეგმის პროექტის შემუშავება, მისიისა და ხედვის საფუძველზე სტრატეგიული მიზნების პროექტის შემუშავება, სტრატეგიული მიზნების ფარგლებში ამოცანებისა და აქტივობების განსაზღვრა, პასუხისმგებელი/ჩართული პირებისა და საჭირო რესურსების განსაზღვრა, შესრულების ინდიკატორებისა და აქტივობების განხორციელების ვადების განსაზღვრა, შესრულების ინდიკატორების რაოდენობრივი ან/და თვისობრივი მონაცემების განსაზღვრა, სამუშაო ჯგუფის მიერ თითოეული აქტივობის შეჯამება და დოკუმენტირება, სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული გეგმის საბოლოო პროექტის შემუშავება.

კოლეჯის საზოგადოების მიერ დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების მიზნებისათვის ისინი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში კოლეჯის საზოგადოების ჩართულობისა და მათ მიერ გაზიარების ფაქტი დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 12 ივლისის N67 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი;
2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდება.
3. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები;
4. დაწესებულების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
5. დაწესებულების პერსონალთან, პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
6. დაწესებულების ვებგვერდი - https://www.profgldani.ge/ka/mission

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას

დაწესებულებაში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 ივლისის N67 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მისია, ხედვა, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების მისიის, ხედვის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების მექანიზმებს, ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხებს და მიზნად ისახავს კოლეჯის მიერ მომზადებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას.

დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება გუნდური პროცესია. კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტები მუშავდება კოლეჯის თანამშრომლების, პარტნიორებისა და სწავლის სუბიექტების აქტიური ჩართულობით და დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან კოლეჯის დირექციის/ადმინისტრაციის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები, პროფესიული სტუდენტები და პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, დაწესებულება მეშვიდე წლის ბოლოს ახორციელებს მომდევნო შვიდწლიანი სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებას. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 13 ოქტომბრის MES 9 25 0001341936 ბრძანება „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სტრატეგიული განვითარების გეგმის (2026-2032წწ.) პროექტის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“. სამუშაო ჯგუფს ევალება დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმის (2026-2032წწ.) პროექტის შემუშავება და კოლეჯის დირექტორისათვის წარდგენა არაუგვიანეს 2025 წლის 1 დეკემბრისა. კოლეჯის დირექტორის მიერ ასევე დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის მოქმედებათა გეგმა, სადაც განსაზღვრულია შესასრულებელი აქტივობები და მათი შესრულების ვადები, მათ შორის, სამუშაო ჯგუფის აქტივობებია: 2018-2025 კოლეჯის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის საქმიანობის SWOT ანალიზის განხილვა, მისიის, ხედვისა და ღირებულებების გეგმის პროექტის შემუშავება, მისიისა და ხედვის საფუძველზე სტრატეგიული მიზნების პროექტის შემუშავება, სტრატეგიული მიზნების ფარგლებში ამოცანებისა და აქტივობების განსაზღვრა, პასუხისმგებელი/ჩართული პირებისა და საჭირო რესურსების განსაზღვრა, შესრულების ინდიკატორებისა და აქტივობების განხორციელების ვადების განსაზღვრა, შესრულების ინდიკატორების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

რაოდენობრივი ან/და თვისობრივი მონაცემების განსაზღვრა, სამუშაო ჯგუფის მიერ თითოეული აქტივობის შეჯამება და დოკუმენტირება, სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული გეგმის საბოლოო პროექტის შემუშავება.

დაწესებულება საკუთარი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ახორციელებს სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგსა და ანგარიშგებას, რის შემდგომაც მიმდინარეობს გაუმჯობესებაზე მიმართული აქტივობები. აღნიშნულის დასტურად წარმოდგენილია სტრატეგიული გეგმის შესრულების შუალედური ანგარიშები და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები, რომლებიც ეყრდნობა წინა წელს მიღებულ შედეგებს და ითვალისწინებს ანგარიშების განხილვის შედეგებს.

დაწესებულება საკუთარი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელიც ასახავს სტრატეგიულ გეგმაში წარმოდგენილი მიზნების მიღწევისათვის საჭირო კონკრეტულ ნაბიჯებს და ცხადყოფს სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიზნების მიღწევის გზებს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში ასახულია კოლეჯის განსახორციელებელი აქტივობები წლის მიხედვით, რაც შეეხება ერთწლიან სამოქმედო გეგმას, განსახორციელებელი აქტივობები სასწავლო წელზეა მიბმული და მოიცავს აგვისტო - სექტემბრის პერიოდს. იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯს დაწყებული აქვს 2026 – 2032 წლების შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა, 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, ცვლილება შეეტანა 2024-2025 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (გაეგრძელებინა 2025 წლის ბოლომდე) და ახალ შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასთან ერთად შეიმუშაოს 2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც კალენდარულ წელთან იქნება ბმაში და არა სასწავლო წელთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას,

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს

დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტების, აგრეთვე დაინტერესებული მხარეების მოლოდინების გათვალისწინებას.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში აქტიურად არიან ჩართული კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, მათ შორის — დირექტორის მოადგილეები, ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, იურისტი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი, პროგრამების ხელმძღვანელები, სტუდენტები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კურსდამთავრებულები და პარტნიორი ორგანიზაციები. აღნიშნული დადასტურებულია დირექტორის ბრძანებით (MES 9 25 0001341936) სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, რომლის მიზანია სტრატეგიული განვითარების ახალი გეგმის (2026–2032 წწ.) პროექტის შემუშავება.

სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება SWOT ანალიზს, შრომის ბაზრის ტენდენციების კვლევას, რეგიონული საჭიროებების შეფასებასა და დაინტერესებული მხარეებისგან მიღებულ უკუკავშირს. დაგეგმვისას გათვალისწინებულია ისეთი ეროვნული პრიორიტეტები, როგორებიცაა დასაქმების ხელშეწყობა, ინკლუზიური განათლება.

კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმვა არის თანამონაწილეობითი, გამჭვირვალე და ეროვნულ პრიორიტეტებთან თანხვედრაში განხორციელებული პროცესი. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა უზრუნველყოფს გეგმების რეალურობასა და განხორციელებას, ხოლო რეგიონისა და თემის საჭიროებების გათვალისწინება აძლიერებს კოლეჯის როლს საზოგადოების განვითარების ხელშეწყობაში.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ისინი იცნობენ და იზიარებენ კოლეჯის სტრატეგიულ გეგმას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს

კოლეჯის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა მოიცავს ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციას, დაწესებულების ხედვას, მისია და მიზნებს, სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგიასა და გამოყენებულ ინსტრუმენტებს, სიტუაციური ანალიზის შედეგებს, დაწესებულების SWOT ანალიზს, სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, განსახორციელებელ აქტივობებს, განხორციელების ვადებს, განმახორციელებელ პირებს და შესრულების ინდიკატორებს. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 7 სტრატეგიული მიზანი: 1. შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული მოდულური პროგრამების, მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული, ინტეგრირებული მიდგომის სწავლების დანერგვა/პილოტირება. 2. ადამიანური რესურსის ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლება, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა. 3. სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარება და სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვა. 4. კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა. 5. დამატებითი ეკონომიკური საქმიანობის დანერგვა, წახალისება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. 6. ინფრასტრუქტურისა და ტექნიკური რესურსების განვითარება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. 7. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში (2024-2025 სასწავლო წელი) განსაზღვრულია სტრატეგიული ამოცანა, აქტივობა, შესრულების ინდიკატორები, აქტივობის შესრულების პერიოდი თვეების მიხედვით, შემსრულებელი პირები, რესურსები (მატერიალური, ფინანსური, ადამიანური).

წლიური სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სასწავლო წლის ფარგლებში 2024 წლის აგვისტოდან 2025 წლის დეკემბრის ჩათვლით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 12 ივლისის N67 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი;
2. დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (12.08.2025-12.08.2026წწ.) შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (რეკვიზიტები: N896132; 21.07.2025);
3. დაწესებულების სტრატეგიული გეგმა (დამტკიცების რეკვიზიტები: N43; 11.05. 2018)
4. დაწესებულების 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დამტკიცების რეკვიზიტები: N144; 12.08.2024);
5. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშები;
7. დაწესებულების პერსონალთან, პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
8. დაწესებულების ვებგვერდი - www.profgldani.edu.ge

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 12 ივლისის N67 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესის მიხედვით, კოლეჯი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგს და ანგარიშგებას ახორციელებს შემდეგი პერიოდულობით - სამოქმედო გეგმის წელიწადში ორჯერ, ხოლო სტრატეგიული გეგმის სამნახევარ წელიწადში ერთხელ, ერთწლიანი სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას შესრულების ინდიკატორების არსებობა შესაძლებლობას აძლევს კოლეჯს თვალი ადევნოს გეგმის იმპლემენტაციას და დროულად აღმოაჩინოს შექმნილი სირთულეები. დაწესებულებაში მონიტორინგი გულისხმობს გეგმის შესრულების თვალყურის დევნებას დასახული მიზნების მიღწევაზე მათი გავლენის კუთხით, დაკვირვების შედეგების გაანალიზებას/შეფასებას. მონიტორინგი ეხმარება კოლეჯს თანამშრომლებისთვის შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდებაში. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პროცესის განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტებს წარმოადგენს სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, მარეგულირებელი დოკუმენტები, სამოქმედო გეგმაში მონაწილე თანამშრომლების 6 თვიანი, ხოლო სტრატეგიულ გეგმაში - 3.5 წლიანი შუალედური ანგარიშები.

მონიტორინგის პროცესი ეფუძნება თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირების მიერ მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირთან კვარტალური ანგარიშების წარდგენას სამოქმედო გეგმის, ხოლო სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში - წლიური ანგარიშების წარდგენას წერილობითი ფორმით. მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი თავის მხრივ ამზადებს მონიტორინგის კვარტალურ/წლიურ ჯამურ ანგარიშს და იწვევს სხდომას მომდევნო კვარტლის/წლის პირველ კვირაში. მონიტორინგის კვარტალურ/წლიურ ჯამურ ანგარიშს განსახილველად წარუდგენს თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელ პირებსა და კოლეჯის დირექტორს. თითოეულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი/პირები წარდგენილ კვარტალურ/წლიურ ანგარიშში განსაზღვრავენ კონკრეტული ანგარიშის შესრულების ინდიკატორს, რაც გულისხმობს (დიახ, არა, ნაწილობრივ შესრულდა) და დასაბუთებას კონკრეტული აქტივობის არ/ნაწილობრივ/ვერ შესრულების შესახებ. ანგარიშის წარდგენის შემდგომ კოლეჯის დირექტორი გასცემს შესაბამის მითითებებს/რეკომენდაციებს კონკრეტული აქტივობის შემდგომ პერიოდში გადატანაზე. მონიტორინგის კვარტალური/წლიური ჯამური ანგარიშის გათვალისწინებით სამოქმედო/სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი მონიტორინგზე პასუხისმგებელ პირთან ერთად ახდენს გეგმის კორექტირებას - ადგენს გაუმჯობესების გეგმას, რომელიც ქვეყნდება ვებ გვერდზე.

სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ ანგარიში საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის კოლეჯის ვებგვერდზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

დაწესებულება მოქნილად რეაგირებს შეფასების შედეგებზე. როდესაც, კოლეჯის მიერ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისი აქტივობა არ/ვერ სრულდება, სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი აანალიზებს მოცემული აქტივობის საჭიროებას, აქტუალობას და შესაძლებელია განუხორციელებელი აქტივობა გადავიდეს ახალ სამოქმედო გეგმაში. ამაზე მეტყველებს შუალედური მონიტორინგის ანგარიშები და სამოქმედო/სტრატეგიულო გეგმაში განხორციელებული ცვლილებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულია 2018, 2019, 2020, 2021, 2022, 2023-2024, 2024-2025 წლის ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 1.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 12 ივლისის N67 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი;
2. დაწესებულების სტრატეგიული გეგმა (დამტკიცების რეკვიზიტები: N43; 11.05. 2018;
3. დაწესებულების 2024-2025 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (დამტკიცების რეკვიზიტები: N144; 12.08.2024);
4. დაწესებულების სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები;
5. დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2024-2025 წლის) აგვისტო-თებერვლის პერიოდის შუალედური ანგარიში;
6. დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (12.08.2024-31.12.2025) შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის სხდომის ოქმი, 2025 წლის, 22 ივლისი;
7. დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (12.08.2024-12.08.2025) შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, 2025 წელი, 7 მარტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

8. დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (10,08.2023-10,08.2024) შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, 2024 წელი, 2 სექტემბერი;
9. დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (10,08.2023-10,08.2024) შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N 2, 2024 წელი, 7 მარტი;
10. დაწესებულების შვიდწლიანი სამოქმედო გეგმის (01.07.2020-20.01.2024) შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, 2024 წელი, 22 იანვარი;
11. დაწესებულების 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
12. დაწესებულების 2021-2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
13. დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (08.08.2020-08.08.2021) შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის სხდომის ოქმი N1, 2021 წელი, 31 მარტი;
14. დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (09.08.2019-09.08.2020) შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის სხდომის ოქმი N1, 2020 წელი, 31 ივლისი;
15. დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (08.08.2020-08.08.2021) შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შექმნის სხდომის ოქმი N 2, 2020 წელი, 31 დეკემბერი
16. დაწესებულების 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
17. დაწესებულების 2018-2019 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდის კვარტალური ანგარიში. 2018 წელი, 27 დეკემბერი;
18. დაწესებულების პერსონალთან, პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
19. დაწესებულების ვებგვერდი - www.profgldani.edu.ge

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა

პროფესიული სტუდენტების მიერ კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მიზნებისათვის კოლეჯს შემუშავებული აქვს **პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები**, რომელიც რეგულირდება სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესის შესაბამისად, აღნიშნული წესი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის N75 ბრძნებით, 08.07.2021წ. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით ასევე დამტკიცებულია სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,** რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენის, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, პროფესიული სტუდენტის შიდა და გარე მობილობის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესებს. ზემოაღნიშნულ შიდა მარეგულირებელ აქტებში განსაზღვრული დებულებები შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

პროფესიულ სტუდენტთა უფლებები გაწერილია სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა ქცევის წესში, სადაც აღნიშნულია რომ პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ მიიღონ: ხარისხიანი განათლება, უწყვეტი კარიერული და ადმინისტრაციული მხარდაჭერა, მიიღოს განახლებული ინფორმაცია დასაქმების შესაძლებლობებთან, იცნობდეს და იყენებდეს მის უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, ჰქონდეს სწავლისათვის შესაფერისი უსაფრთხო გარემო, თავისუფლად გამოთქვას აზრი ნებისმიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საკითხზე და მოითხოვოს მისი პატივისცემა, იყოს დაცული ყოველგვარი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისაგან, გაასაჩივროს მის მიმართ ჩადენილი უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედება, მოითხოვოს ობიექტური შეფასება და სხვ.

ზემოაღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შესწავლილ იქნა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, სტატუსის შეწყვეტის, შიდა მობილობის, მიღებული განათლების აღიარების მტკიცებულებები და განხორციელდა ინტერვიურება პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებებთან. დაწესებულება იცავს კანონმდებლობის მოთხოვნებსა და შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ პროცედურებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს
დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 07 მაისის №37 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“, სადაც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემას – ღონისძიებათა ორგანიზების პროცედურები, რომელიც პირს ეხმარება ფორმალური განათლების მიღების ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობა, კომპეტენცია და ინტერესი განათლებასთან და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და მართოს საკუთარი კარიერა.

დაწესებულება სწავლის დაწყებამდე პროფესიული სტუდენტებისთვის აწყობს გაცნობითი სახის შეხვედრებს, სადაც განიხილება პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების, კოლეჯში არსებულ პროფესიულ სტუდენტთა სერვისების, პროგრამის შინაარსის, პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა საორიენტაციო შეხვედრების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები, რითაც დასტურდება საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ინტერვიურებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ და სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რასაც კანონმდებლობა და დაწესებულება ამლევთ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ იქნა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომლებიც კანონმდებლობის შესაბამისადაა შედგენილი და გაფორმებული. მათ შორს წარმოდგენილია არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სადაც დაცულია კანონმდებლობის მოთხოვნები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ **სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი,** რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს, რომელიც წინააღმდეგობაში არაა მოქმედ კანონმდებლობასთან.

ზემოაღნიშნული მექანიზმების პრაქტიკაში განხორციელების ფაქტი ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებისა და მიღებული ინფორმაციის სასწავლო პროცესში გამოყენების ფაქტი. ინტერვიურებისას, პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ იცნობენ შეფასების სისტემის გასაჩივრების ფაქტს, თუმცა გასაჩივრების საჭიროება არ დამდგარა.

განმეორებითი შეფასების პრაქტიკა დაწესებულებაში არსებობს, რაც განპირობებულია შეფასების დღეს პროფესიულ სტუდენტთა არგამოცხადებით ან უარყოფითი შეფასებით. აღნიშნული დასტურდება შეფასების უწყისებით, პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიურებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, ისარგებლებენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით.

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა

ექსპერტთა ჯგუფმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეისწავლა დაწესებულებაში სხვადასხვა დროს ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები. განხილულ იქნა პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსი სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. დადასტურდა, რომ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის განსაზღვრულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების გაფორმების სპეციფიკა და მათი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობის აუცილებლობა ხელშეკრულების დადების პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“. კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისათვის ადგენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმას, რომლის შემუშავებაში დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი და მოწვეული პერსონალის ჩართულობას საჭიროებისამებრ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც შემუშავებულია კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი რეგულაციების დაცვით, პროფესიულ სტუდენტთა/კანონიერ წარმომადგენელთა ჩართულობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 07 მაისის №37 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“;
5. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორს არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
6. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის MES 3 25 0000876280 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული საქმისწარმოების წესი“;
7. პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი;
8. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული ინფორმაცია;
9. პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირება და მხარდაჭერა იწყება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვამდე, როდესაც დაწესებულება ეხმარება მათ პროფესიის არჩევაში და განუმარტავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსს, დასაქმების შესაძლებლობებს, სწავლების თავისებურებებს და სხვ. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შემდგომ უწევს დახმარებას დაწესებულებაში ადაპტაციისა და შიდა პროცესებში ინტეგრაციის მიმართულებით. უწევს კონსულტირებას სწავლების პროცესში, სასწავლო მასალების ათვისების, შეფასების, მეცადინეობის გაცდენის შემთხვევაში, მისი აღდგენის, დაწესებულებაში დაგეგმილ ღონისძიებებში ჩართულობის ან მათი ინიცირების შესაძლებლობების, საჭიროებისამებრ შუალედურ და საკვალიფიკაციო გამოცდების და სხვათა მიმართულებით.

ზემოაღნიშნული მხარდაჭერის მექანიზმები დაწესებულებას გაწერილი აქვს შემდეგ მარეგულირებელ აქტებში:

- დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“;
- დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 07 მაისის №37 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“;
- დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“;
- დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის MES 3 25 0000876280 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული საქმისწარმოების წესი“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს დაწესებულების პერსონალის მხარდაჭერის აქტივობების შესახებ და გაიხსენეს არაერთი მაგალითი. დაწესებულების ყველა დასაქმებული ჩართულია პროფესიულ სტუდენტთა კონსულტირებასა და აკადემიური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტი დაწესებულებისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 07 მაისის №37 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“, რომელიც განსაზღვრავს სსიპ - კოლეჯში „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ პროფესიული სტუდენტებისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევის, დამატებითი აქტივობების განხორციელების, პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერისა და პროფორიენტაციული ღონისძიებების დაგეგმვის წესს.

პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის დაწყებამდე პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, კოლეჯის სხვა თანამშრომლებთან ერთად, აწყობს საკონსულტაციო შეხვედრებს, სადაც განიხილება სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების, კოლეჯში არსებული პროფესიულ სტუდენტთა სერვისების შესახებ ინფორმაცია, ასევე პროგრამის შინაარსი და სხვა საკითხები. პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დაათვალიერონ კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მათ აგრეთვე მიეწოდებათ ინფორმაცია არაფორმალური აქტივობების შესახებ, აღნიშნული ფაქტები კოლეჯის მიერ გაზიარებული მასალებით დასტურდება.

დაწესებულება აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, სადაც პროფესიული სტუდენტები არაერთგზის გამარჯვებულები არიან. კოლეჯში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პარალელურად დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების რაოდენობა ნათლად წარმოაჩენს დაწესებულების მზაობას და ძალისხმევას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე მორგებული პროცესების ეფექტიანობის შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის MES 3 25 0000876280 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული საქმისწარმოების წესის“ მიხედვით, კოლეჯში მატერიალურად შემოსული კორესპონდენცია შემოსვლის დღეს ელექტრონულად იტვირთება და რეგისტრირდება eflow-ქსელში. დაწესებულების საქმისწარმოების შესაბამისად, გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ვადები. კოლეჯის მიერ დოკუმენტების/კორესპოდენციაზე პასუხების გაცემის პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირს, შემოწმდა საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული დოკუმენტები.

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების (დამტკიცების რეკვიზიტები: №23, 11.02.2020) მიხედვით რეესტრის წარმოების სპეციალისტი ვალდებულია სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, მობილობა, განათლების აღიარება, და სხვა შესაბამის პროცედურები განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. რეესტრის წარმოების სპეციალისტი ახორციელებს პროგრამის საკონტაქტო საათების მონიტორინგს და ინდივიდუალურად აცნობებს სტუდენტებს არსებულ სტატუსსა და შესაძლო რისკებს, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტურად დაგეგმვას.

სასწავლო ცხრილები და სხვა აქტუალური ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია, როგორც საინფორმაციო დაფაზე, ისე ადმინისტრაციასთან კონსულტაციით. აღსანიშნავია, რომ კოლეჯი პროფესიული სტუდენტის მიმართვიანობის შემთხვევაში, გონივრულ ვადებში გასცემს ადმინისტრაციულ ცნობებსა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინტერესების დაცვასა და მათ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე.

ზემოაღნიშნული პრაქტიკის ეფექტიანობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა დაწესებულების დოკუმენტბრუნვის შესწავლითა და პროფესიულ სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების გზით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას

დაწესებულება აქტიურად უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების არაფორმალურ აქტივობებისა და ინიციატივების მხარდაჭერას. დაწესებულებაში ფორმალური საგანმანათლებლო პროცესის პარალელურად ხორციელდება სხვადასხვა არაფორმალური აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიული სტუდენტების საკვანძო და ზოგადი უნარების განვითარებას, კოლეჯი სისტემატურად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების ინტერესების შესწავლას, რის საფუძველზეც იგეგმება სპორტული, კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები. წარმოდგენილი დოკუმენტური და ფოტომასალით დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტები ჩართულნი არიან არაერთ სპორტულ შეჯიბრებებში, ცნობიერების ამაღლების კამპანიებსა და საგანმანათლებლო ინიციატივებში. დაწესებულების ტერიტორიაზე მოწყობილია სივრცეები, რომლებიც გამოიყენება პროფესიული სტუდენტების არაფორმალური აქტივობებისა და დასვენებისათვის. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ კოლეჯი ხელს უწყობს მათ აქტიურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ჩართულობას არაფორმალურ ღონისძიებებში, მათ დაასახელეს არაერთი კონკრეტული შემთხვევა აღნიშნული პროცესის ეფექტიანობის შეფასების მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნული მექანიზმები გაწერილია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 07 მაისის №37 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესში“, რის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივებს პირველ ეტაპზე განიხილავს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. მის კომპეტენციას დაქვემდებარებულ ინიციატივასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად, ხოლო მომართვიანობა, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებთან, წინადადებით მიმართავს კოლეჯის დირექციას შესაბამისი მხარდაჭერის მიზნით. პროფესიულ სტუდენტს შესაძლოა უარი ეთქვას ინიციატივის დაკმაყოფილებაზე, თუ მომართვიანობა სცდება ფორმალური და არაფორმალური განათლების მიზნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას.

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას

დაწესებულება სისტემატურად ახორციელებს პროფესიული სტუდენტების გამოკითხვას ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში. გამოკითხვა ტარდება ელექტრონული ფორმით და მოიცავს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსს, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობას, სასწავლო გარემოს, მატერიალურ რესურსებსა და ადმინისტრაციული მხარდაჭერის ხარისხს. მიღებული უკუკავშირის შედეგებს აანალიზებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სტუდენტთა მოსაზრებები გათვალისწინებულია სხვადასხვა შიდა პროცესის დაგეგმვისა და მომსახურების გაუმჯობესების ეტაპზე. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის და პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებათა დაკმაყოფილების მონიტორინგის მექანიზმები ხორციელდება ზემოაღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელი პირების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტის, შიდა მონიტორინგის ჯგუფის, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ. ზემოაღნიშნული პირები/ჯგუფი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სისტემურად და უწყვეტად ახორციელებენ პროცესების ეფექტიანობის შეფასებას, პრევენციული და მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებას.

დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები რეგულირდება კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით“, ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის, დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 11

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებული “თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების” დოკუმენტით, პერსონალის ანგარიშებითა და შედეგების განხილვის ოქმებით.

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სურვილებს კოლეჯი ითვალისწინებს და რეაგირებს სათანადოდ, რის თაობაზეც დასახელდა არაერთი აქტივობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 07 მაისის №37 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“;
5. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის MES 3 25 0000876280 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული საქმისწარმოების წესი“;
6. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“;
7. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 11 თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებული “თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების” დოკუმენტი;
8. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა;
9. პროფესიულ სტუდენტთა მიერ კმაყოფილების კვლევის შედეგები;
10. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 07 მაისის №37 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების გაწევის, დამატებითი აქტივობების განხორციელების, პროფესიული სტუდენტების კარიერული მხარდაჭერისა და პროფორიენტაციის ღონისძიებების დაგეგმვის წესს, რომელიც გულისხმობს ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემას – ღონისძიებათა ფართო სპექტრს, რომელიც პირს ეხმარება ფორმალური განათლების მიღების ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობა, კომპეტენცია და ინტერესი განათლებასთან და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და მართოს საკუთარი კარიერა.

დაწესებულებაში კარიერული მხარდაჭერის სერვისები უზრუნველყოფს დაეხმაროს პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს საკუთარი პიროვნული მახასიათებლების, მიდრეკილებების, ინტერესების, შესაძლებლობების, ღირებულებების, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, აირჩიოს ან შეცვალოს პროფესია; დაეხმაროს მათ განსაზღვრონ საკუთარი პროფესიული საჭიროებები, მოძებნონ პროფესიული საჭიროებების დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალება და გაზარდოს პიროვნების თავდაჯერებულობა.

კარიერული მხარდაჭერის მიზნებისათვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სამიზნე ჯგუფები, კერძოდ: სამუშაოს მაძიებლები (ნებისმიერი პიროვნება, ასაკის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების განურჩევლად, რომელიც ეძებს სამუშაოს); ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები და მათი მშობლები; უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტები; დასაქმებული პირები, რომელთაც სურთ სამუშაოს/კარიერის შეცვლა; განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები (შშმპ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები; სხვა (ნებისმიერი პირები/ჯგუფები, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს არ განეკუთვნება).

პროფორიენტაციასა და კონსულტირებას კოლეჯში ახორციელებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. პროფორიენტაციის ფარგლებში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი ახორციელებს დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და უწევს კონსულტაციას სპეციალობის არჩევისას, აორგანიზებს შეხვედრებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი უზრუნველყოფს: პირის ინფორმირებას კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისა და ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების, საგანმანათლებლო სერვისების, მათ შორის, პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) შესახებ; აწვდის ინფორმაციას პრაქტიკის ობიექტების და პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ. ასევე, ათვალიერებინებს ინფრასტრუქტურას და აწვდის ინფორმაციას სერვისებისა და არაფორმალური აქტივობების შესახებ.

ზემოაღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას. მათ ასევე აღნიშნეს, რომ გარდა კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერისა, კარიერულ მხარდაჭერას იღებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისგან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია, კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული პროფესიული სტუდენტებისთვის

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 07 მაისის №37 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას შემუშავებული მექანიზმები, რომელსაც ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ინფორმირებას არსებული ვაკანსიების შესახებ, აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებელ პირად დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რომლის მოვალეობები გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობების დოკუმენტში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, დაწესებულების ადმინისტრაცია, აგრეთვე პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესაძლებლობების განვითარებაში. დაწესებულებაში ხშირად ტარდება დასაქმების ფორუმები, დაწესებულების პარტნიორი კომპანიები აქტიურად არიან ჩართული კოლეჯის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში და აცნობენ პროფესიულ სტუდენტებს დასაქმებისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობებს.

პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, დაწესებულება ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

- აქტიურად გრძელდება პარტნიორობა კერძო სექტორთან. ამისათვის, კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას, თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევებისა და სხვადასხვა სფეროში არსებულ კომპანიებთან;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ვაკანსიები სისტემატიურად ქვეყნდება კოლეჯის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში შექმნილ „სტუდენტთა კარიერული დაგეგმვის“ ოფიციალურ გვერდზე და კოლეჯში ყველასათვის გამოსაჩენ ადგილას. ეს ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი და ღიაა. აღნიშნული პროცესი, ასევე ეხებათ სსსმ-სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობას;
- სწავლის პროცესში ხდება დასაქმების სხვადასხვა ვებგვერდზე მოძიებული ვაკანსიების გაცნობა ჯგუფებში, მიმართულებების მიხედვით, ასევე მსგავსი ინფორმაციის ინდივიდუალურად მიწოდება პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის;
- იმართება დასაქმების ფორუმები, დამსაქმებლების პრეზენტაციები კოლეჯში თავიანთი საქმიანობის შესახებ, ვაკანსიების გაცნობა/შეთავაზება კურსდამთავრებულებისათვის, პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის. მსგავსი შეხვედრების შესახებ ინფორმაცია წინასწარ ანონსირდება;
- იწარმოება კურსდამთავრებულთა ბაზა, გამოკითხვები დასაქმების მაჩვენებლების შესახებ, ხდება მათი მუდმივი განახლება. ამ მიზნით, პერსონალური მონაცემების დაცვით, მუშავდება ინფორმაცია დასაქმებულ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა შესახებ;
- წარმატებული დასაქმებულის შესახებ ვრცელდება ინფორმაცია, იდება კოლეჯის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში, მზადდება საინფორმაციო/ფოტო მასალები, ვიდეო რგოლები, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება „ღია კარის“ დღეები და სხვა;
- მიმდინარეობს თანამშრომლობა სახელმწიფო და კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით, პროფესიულ კავშირებთან. ეს თანამშრომლობა მოიცავს პარტნიორობას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით კონსულტაციების, ასევე კოლეჯისათვის სხვადასხვა მასალებისა და მოწყობილობების გადაცემის, ასევე სხვადასხვა ტრენინგებისა და სემინარების ჩატარების მიმართულებით;
- პროგრამების განხორციელების ეტაპზე, კოლეჯი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რომელიც ეხმარება დაწესებულებას კონკრეტული მიმართულებით განუვითაროს პროფესიულ სტუდენტების/მსმენელების პროფესიული უნარები და უზრუნველყოს მათი რეალიზება. ამისათვის ხორციელდება: ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება; კერძო სექტორის ჩართულობის გაზრდა სტუდენტის/მსმენელის საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფაში; კერძო სექტორისა და პროფესიული სტუდენტების მეტი ჩართულობა კოლეჯის საქმიანობაში; დამსაქმებლებთან, მცირე და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან მოთხოვნადი პროფესიებისა და ვაკანსიების დადგენა და სხვა;
- დაწესებულების პოპულარიზაციის მიზნით, ეწყობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაციები. ყოველ წელს დაწესებულება მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ფესტივალებში, დასაქმების ფორუმებში, პარტნიორი ორგანიზაციების ღონისძიებებსა თუ საქმიან შეხვედრებში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

- ეწყობა თემატური, საპრეზენტაციო და საგამოფენო ღონისძიებები ან დაწესებულება მონაწილეობს სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში პროფესიული სტუდენტების/წარმატებული კურსდამთავრებულების და პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით;
- დაწესებულების საგამოფენო სივრცეში პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ნამუშევრების გამოფენები მუდმივმოქმედია;
- დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე აქტიურია ელექტრონული პლატფორმა „სტუმრად კოლეჯში“, რაც კოლეჯში მოსვლის მსურველებს შესაძლებლობას აძლევს, სასურველ დროს დაგეგმოს ვიზიტი ელექტრონული კალენდრის მეშვეობით;
- დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე მოქმედებს ე.წ. „ვირტუალური ტური კოლეჯში“, რომელიც ონლაინ რეგისტრაციის საფუძველზე იძლევა კოლეჯის დათვალიერების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული მექანიზმების ეფექტიანობა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურებისას. პროფესიულ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, აგრეთვე პარტნიორ კომპანიებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა რომ ხშირია ინფორმაციების გაცვლა დაწესებულებასა და პარტნიორ კომპანიებთან, ხშირია დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმების ფაქტები პარტნიორ კომპანიებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის №106, 20.07.2020წ. ბრძანებით, აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სტრუქტურული ერთეული, პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევას, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვას. მეთოდოლოგიაში დაწესებულებას გაწერილი აქვს თუ რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს კითხვარები, აგრეთვე თუ რა მიზანი აქვს დაწესებულებას ამ კითხვარების შედგენისას, კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები, დაწესებულების მიერ მუშავდება და სტატისტიკური ფორმით წარედგინება კოლეჯის დირექტორს, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადასტურდა რომ კვლევა ხორციელდება პერიოდულად, ამ პროცესში აქტიურადაა ჩართული როგორც კურსდამთავრებული სტუდენტები ისე დაწესებულების პარტნიორი კომპანიები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა სახის საჭიროებათა და კმაყოფილების, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების, პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისთვის საჭირო უნარებისა და სხვა მიმართულების კვლევები. შედეგები გაანალიზებულია და იდენტიფიცირებულია გასაუმჯობესებელი მიმართულებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია, კოლეჯს დარეგულირებული აქვს პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კვლევის პროცედურა.

4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს

დაწესებულებაში ფუნქციონირებს სისტემატური უკუკავშირის მექანიზმი, რომელიც აერთიანებს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული მომსახურების ხარისხის შეფასებას. მექანიზმი ეფუძნება პერიოდულ ელექტრონულ გამოკითხვებს, რომლებიც რეგულარულად აგროვებს უკუკავშირს და უზრუნველყოფს მისი ანალიზის საფუძველზე გასაუმჯობესებელი ასპექტების იდენტიფიცირებას.

პროცესი იწყება დაგეგმილი გამოკითხვებით, რომლებიც ხორციელდება ელექტრონული პლატფორმის საშუალებით. ციფრული ფორმატის არჩევანი არ არის შემთხვევითი - ის უზრუნველყოფს ფართო ხელმისაწვდომობას, აძლევს რესპონდენტებს საშუალებას მონაწილეობა მიიღონ მათთვის მოსახერხებელ დროს, და რაც მთავარია, იცავს ანონიმურობას, რაც ხელს უწყობს გულწრფელი უკუკავშირის მიღებას.

მექანიზმის განსაკუთრებული ღირებულება მდგომარეობს ორი კრიტიკული ჯგუფის ჩართულობაში. სტუდენტები იძლევიან პირდაპირ უკუკავშირს მომსახურების მიმდინარე ხარისხზე - მათი პერსპექტივა ასახავს რეალურ საჭიროებებს, ხელმისაწვდომობის საკითხებს და მომსახურების რელევანტურობას სხვადასხვა სწავლების ეტაპზე. კურსდამთავრებულები დაწესებულებას სთავაზობენ რეტროსპექტიულ ხედვას - მათ უკვე აქვთ შრომის ბაზრის რეალური გამოცდილება და შეუძლიათ შეაფასონ, თუ რამდენად მომზადებული იყვნენ კარიერული სამსახურის მხარდაჭერით და რა პრაქტიკულად დაეხმარათ დასაქმების პროცესში.

ხარისხის მართვის და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერები ახორციელებენ მიღებული მონაცემების სისტემატურ ანალიზს. მნიშვნელოვანია, რომ ეს ანალიზი ხდება დამოუკიდებლად, რაც უზრუნველყოფს ობიექტურობას და ნეიტრალურ შეფასებას. ხარისხის მართვის მენეჯერი და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი არა მხოლოდ აჯამებს რაოდენობრივ მაჩვენებლებს, არამედ აიდენტიფიცირებენ ტენდენციებს, პრობლემურ სფეროებს და განვითარების შესაძლებლობებს.

ანალიზის საფუძველზე გენერირებული რეკომენდაციები მიეწოდებათ კონკრეტულ სტრუქტურულ/საშტატო ერთეულებს - სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამების ხელმძღვანელებს, დირექტორს. რაც ქმნის პასუხისმგებლობის მკაფიო ჯაჭვს და უზრუნველყოფს, რომ მიღებული უკუკავშირები ფორმირდეს გაუმჯობესების ინიციატივებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში ფუნქციონირებს კარგად ორგანიზებული უკუკავშირის მექანიზმი, რომელიც აკმაყოფილებს ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად პრინციპებს - დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

უწყვეტი გაუმჯობესების კულტურას. მექანიზმი არის სისტემური, რეგულარული და მოიცავს როგორც აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულების ჩართულობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია, კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 07 მაისის №37 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვისა და კონსულტირების გაწევის წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის №106 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია“;
3. პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ანგარიშები;
4. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
5. ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმები და ანგარიშები;
6. დაწესებულების ელექტრონული პლატფორმა „სტუმრად კოლეჯში“;
7. დაწესებულების პერსონალთან, პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
8. დაწესებულების ვებგვერდი - www.profgldani.edu.ge

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდების თანახმად, დაწესებულების მართვის ორგანოებია დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო. კოლეჯის ხელმძღვანელი პირი არის კოლეჯის დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი.

დაწესებულების საშტატო განრიგი დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის MES 3 25 0000016969 ბრძანებით. კოლეჯის დირექტორს ჰყავს ორი მოადგილე. დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალია: მთავარი ბუღალტერი (1 საშტატო ერთეული); ხარისხის მართვის მენეჯერი (1 საშტატო ერთეული); ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული); იურისტი (1 საშტატო ერთეული); პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი (1 საშტატო ერთეული); სასწავლო პროცესის მენეჯერი (1 საშტატო ერთეული); სასწავლო პროცესის სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული); სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული); ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი (1 საშტატო ერთეული); საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი; შესყიდვების სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული); მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული); ქსელის ადმინისტრატორი (1 საშტატო ერთეული); საქმისმწარმოებელი (1 საშტატო ერთეული); რეესტრის წარმოების სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული); სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის კოორდინატორი (1 საშტატო ერთეული); ბიბლიოთეკარი (1 საშტატო ერთეული); შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი (1 საშტატო ერთეული). დაწესებულების ტექნიკური პერსონალია: მძღოლი (1 საშტატო ერთეული); მედდა (1 საშტატო ერთეული); დამლაგებელი (4 საშტატო ერთეული); დამხმარე თანამშრომელი (2 საშტატო ერთეული); მეეზოვე (1 საშტატო ერთეული); დარაჯი (5 საშტატო ერთეული), სულ 35 დასაქმებული.

დაწესებულების სტრუქტურა გამომდინარეობს კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 11 თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტიდან - „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები“. დაწესებულებაში დაქვემდებარების სისტემა დელეგირებულია დირექტორსა და მის მოადგილეებს შორის, რაც ხელს უწყობს დაწესებულების ეფექტურ ფუნქციონირებას. დირექტორს ექვემდებარება ხარისხის მართვის მენეჯერი, იურისტი, საქმისმწარმოებელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. დირექტორს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოადგილეს სასწავლო დარგში ექვემდებარება: სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, რეესტრის წარმოების სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი. დირექტორის მოადგილეს ფინანსური და მატერიალური მიმართულებით ექვემდებარება: მთავარი ბუღალტერი, შესყიდვების სპეციალისტი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტი, ქსელის ადმინისტრატორი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და ტექნიკური პერსონალი.

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 11 თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები“, სადაც გაწერილია სამუშაო აღწერილობა, ფუნქციები და მოვალეობები, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 03 თებერვლის N96970 ბრძანებით. ცვლილება განპირობებულია დაწესებულებაში ცალკეული საშტატო ერთეულების დამატებითა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების დაზუსტებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯის პერსონალთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას მიზნობრივი კითხვების გამოყენებით დადგინდა, რომ კოლეჯის პერსონალი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 11 თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები“, სადაც გაწერილია სამუშაო აღწერილობა, ფუნქციები და მოვალეობები, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 03 თებერვლის N96970 ბრძანებით. ცვლილება განპირობებულია დაწესებულებაში ცალკეული საშტატო ერთეულების დამატებითა და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების დაზუსტებით.

საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრული სამუშაოს აღწერილობების მიხედვით პერსონალის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების შესრულებისათვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, რომელთა გადანაწილება არ მოდის წინააღმდეგობაში დაწესებულებაში პერსონალისათვის დელეგირებულ ფუნქციებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 11 თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები“, სადაც გაწერილია **ხარისხის მართვის მენეჯერის** და **ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის** სამუშაო აღწერილობა, ფუნქციები და მოვალეობები, რომელშიც ბოლო ცვლილება განხორციელებულია 2025 წლის 03 თებერვლის N96970 ბრძანებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის წლიური სამოქმედო გეგმა, სადაც მოცემული აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის N121/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ წესდება;
2. დაწესებულების საშტატო განრიგი, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 15 იანვრის MES 3 25 0000016969 ბრძანებით;
3. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 11 თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებული - „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები“;
4. ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების გეგმა;
5. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
6. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივლისის N917563 ბრძანებით დამტკიცებულია „შინაგანაწესი“, რომელიც არეგულირებს მხარეთა ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს, შრომის განაწესს, დისციპლინური პასუხისმგებლობის წესსა და წახალისების მექანიზმებს. შინაგანაწესის დებულებები შეესაბამება საკანონმდებლო ნორმებს.

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №71 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პერსონალის მართვის პოლიტიკის დებულება“, სადაც განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის მიზნები და ამოცანები, მიდგომები კოლეჯის ადამიანური რესურსის შერჩევისას და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას.

დაწესებულებას პერსონალთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს არსებით პირობებს, მათ შორის განსაზღვრულია ზეგანაკვეთურად მუშაობის ანაზღაურების საკითხები, რაც შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით

პერსონალის მისაღებად, ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განისაზღვრება: ა) კონკურსანტების მიერ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა; ბ) დოკუმენტების წარმოდგენის ვადა და ადგილი; გ) კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადები. კონკურსის ჩატარებასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისია შედგება: კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და/ან კომისიის წევრისაგან. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. საკონკურსო კომისიის მიერ, დოკუმენტების განხილვის საფუძველზე დგება საკონკურსო კომისიის სხდომის ამსახველი ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. კონკურსანტების მიერ კონკურსის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე პირთაგან ვინ შეიძლება გახდეს დაწესებულების თანამშრომელი, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით და წარედგინება კოლეჯის დირექტორს შემდეგი რეაგირებისათვის. კონკურსის პროცედურებთან, ეტაპებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, კონკურსის ჩატარებისთვის კოლეჯის დირექტორის ბრძანებით საჭიროებისამებრ იქმნება საპრეტენზიო კომისია.

ზემოაღნიშნული დარეგულირებულია დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პერსონალის მართვის პოლიტიკის დებულებით“.

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 11 თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები“, სადაც გაწერილია სამუშაო აღწერილობა, ფუნქციები და მოვალეობები.

დაწესებულებაში დაცულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პერსონალის პირად საქმეებში უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია, პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად გადამოწმდა კოლეჯის ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელისა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პერსონალის კვალიფიკაცია, ცოდნა-უნარები და გამოცდილება შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ თითოეული საშტატო ერთეულისათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი და დამხმარე პროცესების მართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დაწესებულებაში ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც დასტურდება - კოლეჯის სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის მუშაობით, დაწესებულების შიდა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობით სხვა, ასევე პერსონალთან ინტერვიურებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 ივლისის N917563 ბრძანებით დამტკიცებულია „შინაგანაწესი“;
2. დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №71 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პერსონალის მართვის პოლიტიკის დებულება“;
3. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები;
4. დაწესებულების პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
5. დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა;
6. დაწესებულების დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებული სამუშაო ჯგუფების შემადგენლობა;
7. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №71 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პერსონალის მართვის პოლიტიკის დებულება“, რომელიც არეგულირებს პერსონალის შეფასების მექანიზმებს. დაწესებულების პერსონალის შეფასების სისტემის მიზანია ხელი შეუწყოს კოლეჯის თითოეულ თანამშრომელს საკუთარი ფუნქციების ეფექტიანად განხორციელებაში. ის საშუალებას აძლევს კოლეჯს შეიმუშაოს კოლეჯის სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ინდივიდუალური მიზნები და ამოცანები და უზრუნველყოს კოლეჯის ხელმძღვანელობის მიერ თანამშრომლების საქმიანობის ყოველწლიური შეფასება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელთა შეფასება ხორციელდება სასწავლო წლის, ხოლო ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის - კალენდარული წლის ბოლოს. პერსონალის ინფორმირება შეფასების პროცესის დაწყებამდე ხორციელდება 2 (ორი) კვირით ადრე, ხოლო შეფასების შედეგების გაცნობა, შეფასების დასრულებიდან - 1 (ერთი) თვის ვადაში.

დაწესებულების პერსონალის შესაფასებლად გამოიყენება მისი უშუალო ხელმძღვანელის (დირექტორის/დირექტორის მოადგილის/ან სხვა) მხრიდან თანამშრომლის შეფასება, რომლის საშუალებითაც დგინდება თანამშრომლის მიერ წლის განმავლობაში გამოვლენილი სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო კომპეტენციები და მათი ხარისხი. პერსონალის შეფასების მონაცემები კატეგორიზდება შესაბამისი სქემით და განისაზღვრება თითოეული შეფასებული თანამშრომლის რეიტინგული ქულა. პერსონალის შესრულებული სამუშაოს ხარისხის შესაფასებლად, ასევე შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ორგანიზაციული გარემოს კვლევისა და პროფესიულ სტუდენტთა/პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები.

აღნიშნული პროცესის წარმართვაზე, მონაცემების შეგროვებასა და ანალიზზე პასუხისმგებელია კოლეჯში უშუალოდ შემფასებელი (ხარისხის მართვის მენეჯერი და საქმისმწარმოებელი), რომელიც საბოლოოდ დამუშავებულ შედეგებს წარუდგენს დირექტორს/დირექტორის მოადგილეს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დირექტორი/დირექტორის მოადგილე პირისპირ, ინდივიდუალური კომუნიკაციის საშუალებით, თანამშრომელს აცნობს შეფასების საერთო შედეგებს და გამოყოფს იმ ძირითად კომპეტენციას/უნარს, რომელიც საჭიროებს განვითარებას/გაუმჯობესებას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პერსონალის შეფასების შედეგების ანგარიში, გაესაუბრა პერსონალის შეფასებაზე პასუხისმგებელ პირებს, რომლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ საუკეთესო შეფასებების მქონე თანამშრომლებს სიტყვიერი მადლობა გამოუცხადეს, რაც ასევე დასტურდება წარმოდგენილი ანგარიშით. თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ანგარიშში წარმოდგენილია თანამშრომელთა შეფასების შედეგები და შეფასების მაღალი შედეგების მქონე თანამშრომელთა მოტივირების მექანიზმები. ამ ეტაპზე კოლეჯს არ ჰყავს სამუშაოს არასათანადოდ შემსრულებელი, რის გამოც არ გატარებულა სათანადო დისციპლინური ღონისძიებები.

ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ მათ მუდმივი კომუნიკაცია აქვთ კოლეჯის მენეჯმენტთან, განვითარების საჭიროებებზე. აღნიშნული საჭიროებები ასახულია პერსონალის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმაში დეტალურად, პოზიციების მიხედვით.

დაწესებულება ყოველწლიურად ახორციელებს პერსონალის საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევას. შედეგები ანალიზდება და განიხილება დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით
პერსონალის შეფასების შედეგების საფუძველზე, ხელმძღვანელობის ჩართულობით ხდება ერთობლივი განვითარების გეგმის შემუშავება, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: ა) არსებული პრობლემების განსაზღვრა; ბ) თანამშრომლისადმი წაყენებული მოთხოვნების უკეთ შეცნობა; გ) მიღწევების აღრიცხვა და დაფასება; დ) მომავალი სამუშაო გეგმის შემუშავება; ე) იმ სფეროების იდენტიფიცირება, სადაც საჭიროა დამატებითი სწავლება-ტრენინგები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პერსონალის განვითარების წლიური გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №71 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პერსონალის მართვის პოლიტიკის დებულება“, რომელიც არეგულირებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პერსონალის ხელშეწყობის მექანიზმებს.

პერსონალის მხარდაჭერისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში დაწესებულების მიერ ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები შემდეგი მიმართულებით: ტრენინგი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება, სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდები და მექანიზმები, ხელოვნური ინტელექტის როლი სასწავლო პროცესში, ტრენინგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებით (შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებით), ტრენინგი კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ტრენინგი კარიერის მართვასთან დაკავშირებით, ტრენინგი ეფექტურ კომუნიკაციასთან დაკავშირებით, ვიზუალური ლაბორატორიის გამოყენება სასწავლო პროცესში, ტრენინგი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავებასა და პრაქტიკულ მოსინჯვასთან დაკავშირებით, ტრენინგი საქმისწარმოების მიმართულებით, ტრენინგი საერთაშორისო გამოცდილებასა და ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრა ელექტრონული ბიბლიოთეკის სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით

4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №71 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პერსონალის მართვის პოლიტიკის დებულება“, რომელიც არეგულირებს კოლეჯში ახალი პერსონალის ინტეგრაციისა და სოციალიზაციის საკითხებს. ახალი თანამშრომლის სამუშაოსთან ადაპტაციის და დაწესებულებასთან ინტეგრაციის პროცესში შესაძლოა ჩართული იყოს რამდენიმე მხარე:
ა) ახალი თანამშრომელი - მონაწილეობას იღებს ადაპტაციის პროცესში გათვალისწინებულ აქტივობებში და ითვალისწინებს უკუკავშირს. ბ) ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი - პასუხისმგებელია ახალი თანამშრომლის სამუშაო ადგილის მოწყობაზე, ადაპტაციის პროცესის მხარდამჭერი დოკუმენტაციის შემუშავებასა და მონაწილე მხარეებისთვის მიწოდებაზე, ახალ თანამშრომელთან რეგულარული კომუნიკაციის დამყარებასა და მისთვის ძირითადი ინფორმაციისა და რესურსების მიწოდებაზე (საჭირო დოკუმენტაცია, საორიენტაციო ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა, თანამშრომლისა და მისი უშუალო ხელმძღვანელისაგან უკუკავშირის მიღება, ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესის მართვა მთელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გამოსაცდელი პერიოდის პერიოდში). გ) უშუალო ხელმძღვანელი - პასუხისმგებელია თანამშრომლის მიზნების დასახვასა და დავალებების განსაზღვრაზე, შესრულებული სამუშაოს შეფასებასა და უკუკავშირის მიცემაზე; დ) კოლეჯში დასაქმებული პირი (ე.წ. მენტორი) - დასაქმებული, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახალ წევრს ეხმარება დაკისრებული ფუნქციის სწორად შესრულებაში, დავალების გააზრებაში, გამოცდილებისა და სფეროს სპეციფიკის შესახებ ცოდნის გაზიარებაში.

ახალი თანამშრომლის წარდგენაზე პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი ან/და უშუალო ხელმძღვანელი. ადაპტაციის პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია ახალი თანამშრომლისთვის საორიენტაციო ტრენინგის ჩატარება. ტრენინგის საკითხები მოიცავს ყველა იმ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც საჭიროა ახალი თანამშრომლის საქმიანობის, ორგანიზაციის ღირებულებების გააზრებისა და შიდა კომუნიკაციის ეფექტიანობისათვის. საორიენტაციო ტრენინგი მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: ა) დაწესებულების საქმიანობის სფერო და სტრატეგიული მიზნები; ბ) ორგანიზაციის მიღწევები; გ) ორგანიზაციის ღირებულებები; დ) ორგანიზაციის იერარქიული სტრუქტურა; ე) ინფრასტრუქტურის გაცნობა (სართულები, აუდიტორიები და სხვა); ვ) საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საშუალებები (სტანდარტული შაბლონები, ორგანიზაციის შიდა დოკუმენტები და სხვა); ზ) კორპორატიული ღონისძიებები, ღონისძიებების ამსახველი ფოტომასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). დასაქმებულის სამუშაო ადგილით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები არიან: ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტი და ქსელის ადმინისტრატორი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაო სივრცის მოწყობისთვის საჭირო ყველა კომპონენტის გამართულობას, სამუშაო ადგილის მომზადებას, სამუშაო იუზერისა და კორპორატიული ელ-ფოსტის გახსნას, საკანცელარიო საშუალებებით მობილიზებას, კორპორატიული სატელეფონო და სატრანსპორტო მომსახურებით სარგებლობის მექანიზმებს და სხვა.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გასაუბრება შედგა ახლად დასაქმებულ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. გასაუბრებისას მათ დეტალურად აღწერეს კოლეჯში არსებულ მხარდაჭერის აქტივობები და გამოხატეს კმაყოფილება დაწესებულების პერსონალის მიმართ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №71 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პერსონალის მართვის პოლიტიკის დებულება“, რომელიც არეგულირებს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ადმინისტრირების მექანიზმებს. კოლეჯის თანამშრომლის ინიციატივებს პირველ ეტაპზე განიხილავს საქმისმწარმოებელი. მის კომპეტენციას დაქვემდებარებულ ინიციატივასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ერთპიროვნულად, ხოლო მომართვიანობა, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ადამიანურ, ფინანსურ და მატერიალურ რესურსებთან, წინადადებით მიმართავს კოლეჯის დირექციას შესაბამისი მხარდაჭერის მიზნით. კოლეჯის თანამშრომელს შესაძლოა უარი ეთქვას ინიციატივის დაკმაყოფილებაზე, თუ მომართვიანობა სცდება კოლეჯის წესდებით განსაზღვრულ საქმიანობას.

პერსონალთან ინტერვიურებისას ზემოაღნიშნულის დასტურად დასახელებულ იქნა არაერთი პერსონალის გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით, კოლეჯის პერსონალის მიერ ჩატარებული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები სხვა პერსონალის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 29 მაისის №71 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პერსონალის მართვის პოლიტიკის დებულება“;
2. დაწესებულების პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები;
3. დაწესებულების პერსონალის საჭიროებათა კვლევის შედეგები;
4. დაწესებულების პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
5. დაწესებულების პერსონალის განვითარების გეგმა;
6. დაწესებულების პერსონალის განვითარების მიზნით ღონისძიებების ჩატარების მტკიცებულებები;
7. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები;
8. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით

დაწესებულება ქ. თბილისში, ი. ვეკუას ქ. N44-ში ფლობს 5656 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობას, რომელიც აშენებულია თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით. დაწესებულების ინფრასტრუქტურა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და ინტერიერი აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კოლეჯში მოწყობილია შემდეგი სახის სივრცეები:

1. თეორიული სწავლების აუდიტორია/ები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორია;
3. ადმინისტრაციული სივრცე;
4. სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
5. სამუშაო სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის;
6. სანიტარიული კვანძი/ები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის;
7. ბიბლიოთეკა/სამკითხველო დარბაზი;
8. სხვადასხვა მიმართულების ლაბორატორიები და ლაბები;
9. საგამოფენო სივრცეები;
10. სივრცე სპორტული აქტივობებისთვის და სხვ.

დაწესებულების სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია უძრავი და მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, უძრავი და მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები.

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის №78 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის სასწავლო მასალით უზრუნველყოფის, მატერიალური რესურსით უზრუნველყოფის, საკანცელარიო საქონლითა და სასწავლო ლიტერატურით უზრუნველყოფის პროცედურები.

კოლეჯის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსის აღრიცხვას, შენახვას და გამოყენების პროცესის მართვას ახორციელებს კოლეჯის დირექტორი ფინანსური და მატერიალური მიმართულებით, ხოლო მასალა-ნედლეულისა და ინვენტარის შესყიდვას ახორციელებს შესყიდვების სპეციალისტი. კოლეჯის მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

კოლეჯის პერსონალის ჩართულობით, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა, შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტები და გაესაუბრა უფლებამოსილ პირებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის

დაწესებულების პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან გამოიყენონ კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო საშუალებები, ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსები მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. კოლეჯის პერსონალი და პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული სივრცით, თავისუფალი აუდიტორიით, სველი წერტილებით.

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის №78 ბრძანებით დამტკიცებულია „მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი“, რის მიხედვითაც განსაზღვრულია კოლეჯის მატერიალური რესურსების მართვის პროცედურა, მათ შორის გაწერილია ინვენტარისა და აღჭურვილობის საჭიროების იდენტიფიცირების მიდგომები და პროცესზე პასუხისმგებელი საშტატო ერთეულები, დარეგულირებულია კოლეჯის მატერიალური რესურსებით სარგებლობის საკითხები.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის.

პროფესიული სტუდენტების მიერ კოლეჯის სასწავლო და დამხმარე რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 11 თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებული - „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები“, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების ტერიტორიაზე, შიდა და გარე სივრცეების დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი ფუნქცია-მოვალეობები. კოლეჯის ლოკაციაზე სისუფთავის და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირია დამლაგებელი, ხოლო მონიტორინგზე კოლეჯის დირექტორის მოადგილე ფინანსური და მატერიალური მიმართულებით.

კოლეჯის შესაბამის სივრცეებში განთავსებულია სადეზინფექციო ხსნარები, ხოლო სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით და აქვთ წყალმომარაგება, რაც დასტურდება ჰიგინური საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაციით და ექსპერტების მიერ შენობის დათვალიერების შედეგებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა აგრეთვე დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით
დაწესებულების ფართი აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ცენტრალური გათბობის სისტემის გამართული ფუნქციონირების დასტურად წარმოდგენილია კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. კოლეჯში გათბობის სისტემის არსებობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებითა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ყველა სასწავლო და სამუშაო სივრცე აღჭურვილია კონდიცირების სისტემით და უზრუნველყოფილია გაგრილების შესაძლებლობა, რასაც დადებითად აფასებენ კოლეჯის პროფესიული სტუდენტები და პერსონალი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით

5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის №867059 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის პირობების უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული პოლიტიკა და წესი“ და „სამუშაო სივრცეში რისკების შეფასებისა და მართვის მეთოდოლოგია“. დაწესებულებაში შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონისა და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა შესაბამისი სამუშაო ფორმები, პერსონალის ინსტრუქტაჟის მოდულები.

დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი. შრომის უსაფრთხოების პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოდგენილია რისკების მართვის სქემები, ნარჩენი რისკების მართვის მექანიზმები, ინსტრუქტაჟის შევსებული ჟურნალები და სხვ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N78 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი“, რომელიც ადგენს პროგრამის განხორციელებისათვის, სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფისა და მათ შენახვა-გამოყენების წესებს. კოლეჯში სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის შესყიდვაზე პასუხისმგებელი პირია შესყიდვების სპეციალისტი, რომელიც დირექტორთან და ფინანსური და მატერიალური რესურსების მიმართულებით დირექტორის მოადგილესთან შეთანხმებით უზრუნველყოფს აღნიშნული პროცედურის განხორციელებას.

კოლეჯში სასწავლო პროცესი საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებლად არის უზრუნველყოფილი და დანერგილი სისტემა ეფექტურად მოქმედებს, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის მასალა-ნედლეულის მოთხოვნის, შესყიდვისა და მიწოდების დოკუმენტები და პროფესიულ სტუდენტებთან და მოდულის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის №106 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს დაწესებულების ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის, პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა კვლევების ჩატარების მეთოდოლოგიას. პერსონალის კმაყოფილების კვლევის ასპექტებია: კოლეჯის ინფრასტრუქტურა; მატერიალურ ტექნიკური რესურსები; მართვის სტილი/პროცესებში ჩართულობა; საკადრო პოლიტიკა (ანაზღაურება, წახალისების მექანიზმები, პერსონალის განვითარებაზე ზრუნვა); სამუშაოთი ზოგადი კმაყოფილება. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ასპექტებია: კოლეჯის ინფრასტრუქტურა; მატერიალურ ტექნიკური რესურსები; საბიბლიოთეკო რესურსები; მართვის სტილი; სასწავლო პროცესის ორგანიზება; კოლეჯში მიმდინარე პროცესებში ჩართულობა; კარიერული და პროფესიული დასაქმების ხელშეწყობა; სპორტული, შემოქმედებითი და კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა და სხვ.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილია პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზი, იდენტიფიცირებულია გასაუმჯობესებელი ასპექტები და დაწესებულება ახორციელებს მაკორექტირებელ ღონისძიებებს.

დაწესებულების მფლობელობაში არსებული რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის

დაწესებულების მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, მოწესრიგებულია და უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის.

თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ხელსაშრობი დისპანსერი, ასევე ნარჩენების უკონტაქტო კალათა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;

დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, მოსასვენებელ სივრცესა და ბიბლიოთეკას აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. კოლეჯში ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი უზრუნველყოფილია ბიბლიოთეკის სივრცეში. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტები უფლებამოსილნი არიან გაიტანონ წიგნი ან ისარგებლონ კოლეჯის საბიბლიოთეკო სივრცით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას

დაწესებულების შენობაში არის ფოიე. სასწავლო აუდიტორიები და სხვა სივრცეები დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად

დაწესებულების დირექტორის 2012 წლის 31 დეკემბრის N19 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომელშიც გაწერილია საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და საბიბლიოთეკო რესურსებით პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია-მოვალეობები. საბიბლიოთეკო მომსახურებას ახორციელებს ბიბლიოთეკარი.

დაწესებულებაში განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი, რეგისტრაციის წესები, მკითხველის ვალდებულებები საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობისა და სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ხოლო სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის გარდა, კოლეჯის საბიბლიოთეკო სერვისი ასევე მოიცავს ასლის გადაღებას და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობას.

საგანმანათლებლო რესურსები არსებობს მატერიალური და ელექტრონული სახით. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და კოლეჯის წარმომადგენელთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ კოლეჯის საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ ინფორმაცია სისტემატიზებულია, საჭირო რესურსის მოძიება შესაძლებელია ეფექტურად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
3. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N78 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 11 თებერვლის N23 ბრძანებით დამტკიცებული - „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ თანამშრომელთა ფუნქციონალური უფლება-მოვალეობები“;
5. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის №106 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგია“;
6. დირექტორის 2012 წლის 31 დეკემბრის N19 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“;
7. მატერიალური რესურსების ინვენტარიზაციის მასალები;
8. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები;
9. დაწესებულების ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
10. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები;
11. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ანგარიშები;
12. მასალა-ნედლეულის შესყიდვის, ხარჯვისა და ნარჩენი რესურსის აღრიცხვის მტკიცებულებები;
13. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;

დაწესებულებას არ აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დადებითი დასკვნა შენობაში სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. შენობაში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გამართულად მუშაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შესახებ დაწესებულებაში ინსპექტირება ჩატარდა 2015 წელს და შედგენილია აქტი, სადაც დადებითად არის შეფასებული დაწესებულების მდგომარეობა. კანონმდებლობის ცვლილების გათვალისწინებით, 2019 წელს შეფასდა დაწესებულების სახანძრო უსაფრთხოება და გაცემულია N2080 მიწერილობა, სადაც განსაზღვრულია აქტივობები, რომელთა შესრულების შემდეგ პროცესები ექვემდებარება განმეორებით შეფასებას. დაწესებულებამ აღნიშნული სამუშაოები ჩაატარა, თუმცა დაწესებულება სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის მიზნებისათვის ახორციელებს დამატებითი საევაკუაციო კიბის მშენებლობას.

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2025 წლის 18 აგვისტოს №992705 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა“ (რომელშიც ცვლილება განხორციელდა დირექტორის MES5250001405436 ბრძანებით, 24/10/2025) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდატებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N1) თანახმად, კოლეჯის ღონისძიებაა „შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადება“, რომლის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 6 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულების შენობაში სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მოცემული დრო რელევანტურია, რადგან დაწესებულებაში მოცემული პროცესი ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწყებული იყო, დასრულებულია კიბის პროექტირების ეტაპი, გამოცხადებული იყო ტენდერი და დაწესებულება იწყებდა აქტივობების განხორციელების შემდეგ ეტაპს - ხელშეკრულების გაფორმებას დაგეგმილი ღონისძიებების შესასრულებლად. ამიტომ, შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 6 თვეში დასრულებადია.

დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული <u>დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის</u> თაობაზე. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შპს „კომპაქტის“ მიერ 2011 წელს გაცემული დასკვნა დაწესებულების პროექტირებისთვის გამოყოფილი ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ. ასევე წარმოდგენილია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2012 წელს გაცემული დასკვნა ფინანსური კალკულაციის თაობაზე. შესაბამისად, დაწესებულებას არ აქვს შენობა-ნაგებობის მდგრადობის დასკვნა.

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2025 წლის 18 აგვისტოს №992705 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა“ (რომელშიც ცვლილება განხორციელდა დირექტორის MES5250001405436 ბრძანებით, 24/10/2025) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმის (აქტივობა N2) თანახმად, კოლეჯის ღონისძიებაა „კოლეჯის კუთვნილი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის შედგენა“. აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 5 თვე. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული დრო რელევანტურია, რადგან დაწესებულებაში პროცესი ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაიწყო, დაწესებულებამ წერილობით მიმართა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. ამიტომ, შესაბამისობის გეგმაში მოცემული დრო რელევანტურია და 5 თვეში დასრულებადია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 მეტწილადაა დაკმაყოფილებული, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ქ. თბილისის ფართში არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები. *სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2025 წლის 18 აგვისტოს №992705 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაბამისობის გეგმა“ (რომელშიც ცვლილება განხორციელდა დირექტორის MES5250001405436 ბრძანებით, 24/10/2025) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელშიც განსაზღვრული აქტივობების შესრულების ვადა არ აღემატება 6 თვეს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული ვადა საკმარისია სამუშაოების შესასრულებლად, რადგან დაწესებულებაში შესაბამისი ღონისძიებების შესრულება ექსპერტთა ვიზიტამდეც დაწყებული იყო.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის №867059 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის პირობების უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული პოლიტიკა და წესი“, რომელიც არეგულირებს უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესებს და სხვ. კოლეჯს ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე მედდა და დაწესებულებაში იწარმოება ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი.

დაწესებულებაში მოწყობილია პირველადი გადაუდებელი დახმარების სივრცე, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო რესურსითა და ინვენტარით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი

დაწესებულებაში მოქმედებს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული „საგანგებო სიტუაციებში მოქმედების სამაშველო გეგმა“. შექმნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი და განაწილებული ფუნქციები წევრებს შორის. აღნიშნული დადასტურებულია საქართველოს შინაგან სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (დეპარტამენტი) ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ 2015 წლის 10 დეკემბერს შეთანხმებული შენობის საევაკუაციო გეგმები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ, მის მფლობელობაში არსებულ ორივე ფართზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. შენობა-ნაგებობის მთლიან შიდა (გარდა ადმინისტრაციული და სასწავლო კაბინეტებისა, სანიტარული კვანძებისა და დამხმარე სათავსოებისა) და გარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი კამერები, ფუნქციონირებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. იმ სივრცეებში, სადაც მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალი, განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშნებიც.

დაწესებულებას 2025 წლის 20 იანვარს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შპს „გრიფინი+“-თან, რომელიც იღებს შემდეგ ვალდებულებას: დაცვის ობიექტში ადამიანების შესვლა-გასვლისა და მატერიალურ ფასეულობათა შეტანა-გატანის კონტროლი, დაცვის ობიექტის, მისი ცალკეული ნაწილების, დაცვის ობიექტში განთავსებულ მატერიალურ ფასეულობათა დაზიანების ან/და დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვა; შენობაში საზოგადოებრივი წესრიგის, მათ შორის ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფისაგან დაცვა; არასამუშაო დღეებსა და საათებში გარეშე პირთა შენობაში არდაშვება; დაცვა დააკომპლექტოს მაღალკვალიფიციური კადრებით, რომელთაც გააჩნიათ დაცვის სფეროში საქმიანობის არანაკლებ ორი წლის გამოცდილება ან/და გავლილი აქვთ მომსახურების გაწევისათვის შესაბამისი გადამზადების კურსი; ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველს წარუდგინოს თითოეული თანამშრომლის (დაცვა) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 100); სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას დაცვის თანამშრომელმა უნდა მოახდინოს დაცვის ობიექტზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და აღმოჩენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების დაფიქსირების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს როგორც შემსყიდველის, ისე მიმწოდებლის წარმომადგენელს და საჭიროებისამებრ კომპეტენტურ ორგანოებს და აღნიშნულ პირთა მოსვლამდე უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა. ასევე გამოძახებულ უნდა იქნეს ოპერატიული ჯგუფი. აღნიშნული შემთხვევების დაფიქსირებისას ვალდებულია შეადგინოს შესაბამისი ოქმი და დააფიქსიროს მხარეების ხელმოწერები. უზრუნველყოს შენობის, პერიმეტრზე და შენობაში არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი, ინვენტარი და ყველა საჭირო საშუალებები. დასაცავ ობიექტზე დაცვის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად გამოყოფილი იქნება ცვლაში არანაკლებ 2 (ორი) დაცვის თანამშრომელი (24 საათიანი მორიგეობა), აღჭურვილი მობილური კავშირის საშუალებით, დადგენილი ფორმის ტანსაცმლით და აუცილებლობის შემთხვევაში სხვა საჭირო სპეციალური საშუალებებით, რომელიც განსაზღვრულია „კერძო დაცვითი საქმიანობის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად. ობიექტის დაცვა „შემსყიდველთან'' წინასწარ შეთანხმებული დაცვის თანამშრომლებითა და გრაფიკით. აღნიშნული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კოლეჯს უფლება აქვს მოითხოვოს დაცვის თანამშრომლის შეცვლა, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია შეცვალოს დაცვის თანამშრომელი 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი უნდა იყოს ოპერატიული ჯგუფის გამოცხადება შესაბამის ობიექტზე შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს 10 (ათი) წუთში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების შენობაში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გამართულად მუშაობის შესახებ 2015 წელს შედგენილი აქტი;
2. დაწესებულების შენობაში სახანძრო უსაფრთხოების შესახებ 2019 წელს გაცემული N2080 მიწერილობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2025 წლის 18 აგვისტოს №992705 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა“ (რომელშიც ცვლილება განხორციელდა დირექტორის MES5250001405436 ბრძანებით, 24/10/2025);
4. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 14 ივლისის №867059 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის პირობების უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული პოლიტიკა და წესი“;
5. საქართველოს შინაგან სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (დეპარტამენტი) ქ. თბილისის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს მიერ 2015 წლის 10 დეკემბერს შეთანხმებული შენობის საევაკუაციო გეგმები;
6. დაწესებულებასა და დაცვის კომპანია შპს „გრიფინი+“-თან 2025 წლის 20 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულება;
7. უსაფრთხოებასა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;
8. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პირადი საქმე;
9. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს

დაწესებულების კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა და ადმინისტრაციის ოთახები აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით. დაწესებულებას აქვს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები, IT ტექნიკა და ინტერნეტი. დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს IT პროცესებზე პასუხისმგებელი პირი, რომლის კომპეტენცია საკმარისია დაწესებულების IT პროცესების ეფექტური მართვისთვის.

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N78 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი“, რომლის მიხედვითაც კოლეჯში ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურებას ახორციელებს ქსელის ადმინისტრატორი, რომელიც პასუხისმგებელია კოლეჯში კომპიუტერული ტექნიკის გამართულ ფუნქციონირებასა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

კოლეჯში დასაქმებული პერსონალის და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის და ადმინისტრაციული მუშაობის შეუფერხებლად წარმართვას. კოლეჯი უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტ მომსახურებით, რასაც ადასტურებს ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულება და ადგილზე ინტერნტ მომსახურებით ფაქტობრივად სარგებლობის შედეგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

დაწესებულებაში ხორციელდება საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვა, რის დასტურადაც წარმოდგენილია ქსელის ადმინისტრატორების ანგარიშები, IT ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების რეკომენდაციები, მოთხოვნის ფორმები და შესყიდული ინვენტარი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 7 ოქტომბრის №137 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ დებულება”. დაწესებულებას 2025 წლის 27 მაისს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომპანიასთან - შპს „ჯეო სეიფთი“. კომპანია იღებს ვალდებულებას მიაწოდოს კოლეჯს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულების მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში/კოლეჯებში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული მომსახურება.

პერსონალური მონაცემები კოლეჯის მიერ მუშავდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონით დადგენილ შემთხვევებში. კოლეჯი ამუშავებს ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების პერსონალურ მონაცემებს. პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს საკუთარი საქმიანობის ფარგლებში. პერსონალური მონაცემების დამუშავებამდე კოლეჯი ვალდებულია მოიპოვოს სუბიექტის თანხმობა.

დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესწავლისას გამოვლინდა, რომ დაწესებულებაში მიმდინარეობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმებით გათვალისწინებული პროცესები, წარმოდგენილია წერილობითი თანხმობები პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების მხრიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და ჰყავს პასუხისმგებელი პირი.

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

დაწესებულებაში საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასება სისტემატურად ხორციელდება. წარმოდგენილია IT ტექნიკისა და პროცესების ეფექტიანობის შეფასება დასკვნები, ტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფისთვის ინვენტარის მოთხოვნის ფორმები და მათი შესყიდვის დოკუმენტები.

დაწესებულების მფლობელობაში არსებული IT რესურსების ვიზუალური დათვალიერებითა და ფლობის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს ფაქტს, რომ კოლეჯს გააჩნია საკმარისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დაკმაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N78 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი“, რომელიც ადგენს მატერიალური რესურსების, მათ შორის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას კოლეჯის პროფესიული სტუდენტების და პერსონალისთვის. კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა დასაშვებია სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის შეუზღუდავად. დაწესებულების მთელ პერიმეტრზე შესაძლებელია ინტერნეტის სარგებლობა, მათ შორის არის უკაბელო ინტერნეტი (Wi-Fi).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, გასაუმჯობესებელი საკითხები აღწერილია მეოთხე ინდიკატორში.

6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომუნიკაციის მიზნით, კოლეჯი იყენებს ელექტრონულ ფოსტას. კოლეჯში ფუნქციონირებს ისეთი ელექტრონული სერვისები, როგორებიცაა: დოკუმენტაციის ბრუნვის ელექტრონული სისტემა (,,eflow“), სოციალური გვერდი და კოლეჯის ვებგვერდი. შესაბამისად, კოლეჯს გააჩნია და იყენებს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირების ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმს/სისტემას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 03 ივნისის N78 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ მატერიალური რესურსების გამოყენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის ზოგადი წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 7 ოქტომბრის №137 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ დებულება”;
3. დაწესებულებასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის კომპანიასთან - შპს „ჯეო სეიფთი“ 2025 წლის 27 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. კოლეჯის სოციალური ქსელი და ვებგვერდი.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის MES 3 25 0000876280 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული საქმისწარმოების წესი“. კოლეჯში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქცია ადგენს კოლეჯში დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობებს, კორესპონდენციის რეგისტრაციის, დოკუმენტაციის აღრიცხვის, რეგისტრირებული კორესპონდენციის განხილვის და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის წესებს, კოლეჯში არსებული დოკუმენტების სახეებს, მათი რეგისტრაციისა და ინდექსირების წესებს, არქივის ფუნქციონირების მექანიზმებს.

კოლეჯში მოქმედი საქმისწარმოების ერთიანი წესი შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს და თანხვედრაშია საქმისწარმოების ერთიან ინსტრუქციასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის

დაწესებულება მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს მათ შორის - ვებგვერდი, სოციალური გვერდი. კოლეჯში საქმისწარმოების მიზნით არსებობს ელექტრონული სისტემა "eflow", სადაც აღირიცხება შემოსული და გასული კორესპოდენცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა.

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები" და დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" განსაზღვრავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვის საკითხებს, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეამოწმა სისტემაში ასახული პროფესიული სტუდენტები, პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების/შეწყვეტისა და კვალიფიკაციის მინიჭების, ასევე მობილობის პროცესის ამსახველი ინფორმაცია და სისტემაში ატვირთული ბრძანებები, ასევე შერჩევით შემოწმდა პერსონალის შესახებ ინფორმაცია. დაწესებულება აწარმოებს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის MES 3 25 0000876280 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული საქმისწარმოების წესი". განსაზღვრულია ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. კოლეჯში დოკუმენტების შესრულებასა და დროულ რეაგირებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. კოლეჯის სტრუქტურული/სამტატო ერთეულები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ ინფორმაციის დროულ მიწოდებას და გავრცელებას საკუთარი საქმიანობის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა მიერ შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მიღებული/გაგზავნილი ბოლო კორესპონდენცია, რომლის შედეგებიც სრულად შეესაბამება აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნებს. შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს სხვადასხვა უწყებებთან სწორი და დროული კომუნიკაციის განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა კოლეჯის მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა დაწესებულების მიერ კორესპოდენციის შესრულების ვადების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 16 ივლისის MES 3 25 0000876280 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული საქმისწარმოების წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“;
3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა “eflow”;
5. დაწესებულების მიერ ხელშეკრულებები და სხვა მასალების სარეგისტრაციო ჟურნალები;
6. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.
7. დაწესებულების სოციალური ქსელი და ვებგვერდი.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის N105 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული პირების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და მათი ჩატარების გზებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს. კოლეჯს აქვს ოფიციალური ვებგვერდი და ფეისბუქის სოციალური ქსელის გვერდი, ორივე სახის გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ძირითადი საკონტაქტო ინფორმაცია. სოციალური ქსელი იძლევა კოლეჯთან ინტერნეტ კომუნიკაციის საშუალებას. სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია სხვადასხვა სახის ვიზუალური და ტექსტური კონტენტი, ინფორმაცია მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ. კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების, სტრუქტურის, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, განთავსებულია ახალი ამბები, დაწესებულების შინაგანაწესი, სტრატეგიული გეგმა, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები და სხვ.

შესაბამისად, კოლეჯის ვებ და სოციალური ქსელის გვერდები არის გამოყენებული, ვებგვერდზე ნავიგაცია მარტივია და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია მთავარ გვერდზეა ხელმისაწვდომი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე. კოლეჯის მისიასა და დასახელებაში არ არის განსაზღვრული საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი. თუმცა კოლეჯს აქვს ინგლისურენოვანი ვებგვერდიც. შესაბამისად, კოლეჯს აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდი, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის N105 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“, რომელიც განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების მექანიზმებს. კოლეჯის თანამშრომლები შიდა და გარე კომუნიკაციას ახორციელებენ საკუთარი საქმიანობის ფარგლებში. ხოლო, ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის და საჭიროების შემთხვევაში, გადამისამართების უფლებამოსილება აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, რომელიც ასევე პასუხისმგებელია სოციალურ ქსელსა და ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებაზე. ვებგვერდზე განთავსებულია კოლეჯის მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობა, ინფორმაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელთა განხორციელების უფლებაც აქვს მოპოვებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ

კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას კოლეჯის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროფესიული პროგრამების კატალოგი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, პროგრამის მიზნების, დაშვების წინაპირობების, პროგრამის მოცულობისა და ხანგრძლივობის შესახებ. ასევე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს. კოლეჯის კატალოგს დაწესებულებისთვის სარეკლამო სახის დანიშნულება აქვს და დაინტერესებულ პირს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად

დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის განახლებას ყოველწლიურად, რასაც ადასტურებს კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე წლების მიხედვით განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დაწესებულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. კოლეჯის საკომუნიკაციო არხებიდან, ოფიციალური სოციალური ქსელიდან, ელექტრონული ფორმის გამოკითხვებიდან, მეილებიდან შემოსულ ინფორმაციაზე საჭიროების შემთხვევაში, ხდება სათანადო რეაგირება.
ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის შედეგად მიღებული უკუკავშირი მუშავდება კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ, მოვალეობების შესაბამისად და გამოიყენება დაწესებულების საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნული დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან ინტერვიურებისას და მათ მიერ წარმოდგენილი საქმიანობის ანგარიშების დოკუმენტებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის N105 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი“;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
3. დაწესებულების პერსონალის საქმიანობის ანგარიშები;
4. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. დაწესებულების სოციალური ქსელი და ვებგვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

დაწესებულება ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. კოლეჯის მთავარი ბუღალტერი კალენდარული წლის დასაწყისში განსაზღვრავს დაწესებულების საპროგნოზო შემოსავლებსა და ხარჯებს, ხოლო სამეურნეო წლის დასრულებისას ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზს და ინფორმაციას წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის დოკუმენტებით და კოლეჯის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2024 წლის ფინანსური ანგარიში, ცალკეული სამეურნეო ოპერაციების განხორციელების ფინანსური ტრანზაქციის განხორციელების თაობაზე სისტემიდან ამოღებული ინფორმაცია, რის საფუძველზეც ირკვევა, რომ კოლეჯი ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას

დაწესებულება ყოველწლიურად ადგენს ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტს და ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის და ანგარიშგებას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე

დაწესებულება ყოველწლიურად ახორციელებს დაწესებულების ბიუჯეტს, რომელსაც იხილავს კოლეჯის დირექტორთან. მოცემული ანალიზის შესაბამისად ახორციელებს მომდევნო წლის ბიუჯეტების შემუშავებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების ბიუჯეტი და მისი შესრულების ანალიზის დოკუმენტები;
2. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, სამოქმედო გეგმების შესრულების დოკუმენტები;
3. დაწესებულების პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	Front-end დეველოპმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში; Secondary Vocational Qualification in Front-end Development
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების ბრძანება: N170491, 18.02.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	--
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება
--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, რომლის მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტით საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.

კოლეჯის მისიის მიხედვით დაწესებულება მრავალპროფილურია და მიზნად ისახავს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„Front-end დეველოპმენტი“** შეესაბამება დაწესებულების მისიას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით დაწესებულებას შესწავლილი აქვს ქ. თბილისსა და რეგიონებში, გაანალიზებული აქვს ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები, შესწავლილი აქვს შრომის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები კონკრეტული პროფესიის ჭრილში, გაანალიზებული აქვს დასაქმების პლატფორმები, წარმოდგენილი აქვს ანალოგიური ან მომიჯნავე (სხვა დასახელებით არსებული პროგრამების ფარგლებში) კურსდამთავრებულებისა და მათი დასაქმების სტატისტიკა, მათ შორის წარმოდგენილია პროფესიით დასაქმებულთა მაჩვენებლები, მონაცემების ანალიზის შედეგად შესწავლილი აქვს რომელი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრებია დეფიციტურია ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს კოლეჯი), რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის, წარმოდგენილი აქვს კონკურენტი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლის შედეგები, გაანალიზებული აქვს საკუთარი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), მოპოვებული აქვს სახელმწიფოს მიერ თანხმობა, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **„Front-end დეველოპმენტი“** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. საბაზო განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებულია „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები **საშუალო** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები.

დაწესებულების მიერ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის“. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„Front-end დეველოპმენტი“**, 2 ცვლაში 40 პროფესიული სტუდენტის, მათ შორის 20 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლების მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„Front-end დეველოპმენტი“** განსაზღვრული აღჭურვილობა შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ფარავს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგებს, ამრიგად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„Front-end დეველოპმენტი“** მოცულობაა:
ა) “Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში, აერთიანებს ექვს ინტეგრირებულ ზოგად მოდულს ჯამური 30 კრედიტის, ორ ზოგად და 10 პროფესიულ მოდულს ჯამური 58 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 88 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 17 სასწავლო თვეს ანუ 68 სასწავლო კვირას.
მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 118 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 23 სასწავლო თვე, ანუ 92 სასწავლო კვირა.

ბ) “Front-end დეველოპმენტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე აერთიანებს 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 60 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა 11 სასწავლო თვე, ანუ 45 სასწავლო კვირა.
მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 90 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 17 სასწავლო თვე, ანუ 68 სასწავლო კვირა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„Front-end დეველოპმენტი“** არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ
დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„Front-end დეველოპმენტი“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის N170491 ბრძანებით, ხოლო ცვლილება შესულია: 13.03.2025 წლის N 272878 ბრძანებით; 18.08.2025წ. N996974 ბრძანებით და 15.10.2025 წ. MES 4 25 0001349348 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი
კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„Front-end დეველოპმენტი“** თანხვედრაშია **„Front-end დეველოპმენტი“** საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„Front-end დეველოპმენტი“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, ინტეგრირებული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, რომლებიც არეგულირებენ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ორგანიზებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები.

დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მოპოვებული აქვს თანხმობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„Front-end დეველოპმენტი“** განხორციელების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“;
2. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“; 3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„Front-end დეველოპმენტი“**;
6. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები;
7. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
8. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
9. დაწესებულების ვებგვერდი - www.profgldani.edu.ge.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„Front-end დეველოპმენტი“** ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„Front-end დეველოპმენტი“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი/ინტეგრირებული მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B, C გარემოები, მათ შორის:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„Front-end დეველოპმენტი“** განხორციელებისათვის საჭირო დარგობრივი აუდიტორიები -

- აუდიტორია 14 - B/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- კოლეჯის სპორტული სივრცე გათვალისწინებულია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „სპორტი“ განსახორციელებლად (მაგიდის ჩოგბურთი);
- აუდიტორია 17 - ინტეგრირებული მოდულების განხორციელების ლაბორატორია - C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„Front-end დეველოპმენტი“** განხორციელებისათვის საჭირო ზოგადი მოდულების აუდიტორიები, რომლებიც საერთოა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის -

- აუდიტორია 1 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 4 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 6 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 7 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 8 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 11 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 21 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 24 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

დაწესებულების სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 20 პროფესიულ სტუდენტს ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„Front-end დეველოპმენტი“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში - 23, ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში **„Front-end დეველოპმენტი“** პროგრამისთვის შერჩეულია 39 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„Front-end დეველოპმენტი“** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **„Front-end დეველოპმენტი“** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„Front-end დეველოპმენტი“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი ჰყავს სხვა პროგრამაზე და აქვს მსგავსი გამოცდილება. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე ჩართულია სასწავლო პროცესში.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს და უწევს მისთვის საჭირო სერვისს, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„Front-end დეველოპმენტი“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, ორივე ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებისთვის, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური და ფაქტობრივი ბიუჯეტების ანალიზს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„Front-end დეველოპმენტი“** და მისი დანართები;
2. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები;
3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
4. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
6. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
7. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით“ დაწესებულების პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. კოლეჯში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ამოცანაა ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მუშაობის ხელშეწყობა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ამოცანაა მოიპოვოს ინფორმაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: პროგრამები - სასწავლო, კალენდარული და თემატური გეგმები, ბ) სტუდენტები - შეფასების კომპონენტები; კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, დასაქმების მაჩვენებელი, საგანმანათლებლო რესურსების ადეკვატურობა, ხელმისაწვდომობა, განახლება, მონიტორინგი; მატერიალური რესურსი - სასწავლო გარემო, აღჭურვილობის საკმარისობა და შესაბამისობა. დაწესებულებას ჰყავს სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, რომელიც: უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით ახორციელებს სალექციო საათების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას; ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შევსება/წარმოების სისწორეს და გასცემს შესაბამის მითითებებს; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სალექციო საათებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასწრების კონტროლს და რეესტრის წარმოების სპეციალისტთან კოორდინირებით განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების გაცდენების მონიტორინგს; მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში; ამზადებს საბოლოო/განმეორებითი სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ სამსახურებრივ ბარათს; ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ელექტრონული და მატერიალური აღრიცხვის ჟურნალების წარმოების მონიტორინგსა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოცხადებაზე კონტროლს (საპატიო და არასაპატიო საათები) შემდგომი რეაგირების მიზნით; უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების სისტემისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში; სწავლის დაწყების მომენტიდან, კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას; შეფასების მიზნებისათვის ახორციელებს მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების კონტროლს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო საწარმოსთან/საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განმახორციელებელ ობიექტთან მემორანდუმის/ხელშეკრულების დადებამდე, პრაქტიკის ობიექტზე ამოწმებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას; მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფში და ამზადებს შესაბამის ანგარიშს; მონაწილეობას იღებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების პროცენტული მაჩვენებელი) განხილვა/გაანალიზებაში; მონაწილეობს იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ავტორიზაციის თვითშეფასების განაცხადის შევსებასა და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში; მონაწილეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების/ჯგუფების სხდომებში.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ სხვა პროგრამის ფარგლებში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყრდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ სხვა პროგრამის ფარგლებში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„Front-end დეველოპმენტი“** და მისი დანართები;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები;
6. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
7. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„Front-end დეველოპმენტი“** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენენ სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფენ მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი და სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მონიტორინგის სპეციალისტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

მოცემულ პროგრამაზე დაწესებულებას ჯერ პროფესიული სტუდენტების არ ჰყავს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და სპეციალისტი პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„Front-end დეველოპმენტი“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა“ და დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით“ განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

კოლეჯს აქვს სსსმ და შშმ პირთა სწავლების პრაქტიკა, კანონმდებლობისა და სსსმ და შშმ პირთა უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„Front-end დეველოპმენტი“** განხორციელება დაწესებულების ბაზაზე.

დაწესებულების სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 20 პროფესიულ სტუდენტს ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„Front-end დეველოპმენტი“** განხორციელებისთვის საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. დაწესებულების აუდიტორიებში დასაცავი სტანდარტული უსაფრთხოების წესები გამოკრულია პროფესიულ სტუდენტთა თვალსაჩინო ადგილას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„Front-end დეველოპმენტი“;**
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით. მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“ ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხებს.

დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით
დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში 5 წლის ვადით. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სწავლის შედეგების შეფასების წესის" მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება ინახება პროგრამების სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში 5 წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება. რეგულაციებში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიუირებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი”;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ადმინისტრაციული სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში; Secondary Vocational Qualification in Administrative Services
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების რეკვიზიტები: N996776, 18.08.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება
--

100

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, რომლის მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტით საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით დაწესებულებას შესწავლილი აქვს ქ. თბილისსა და რეგიონებში, გაანალიზებული აქვს ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები, შესწავლილი აქვს შრომის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები კონკრეტული პროფესიის ჭრილში, გაანალიზებული აქვს დასაქმების პლატფორმები, წარმოდგენილი აქვს ანალოგიური ან მომიჯნავე (სხვა დასახელებით არსებული პროგრამების ფარგლებში) კურსდამთავრებულებისა და მათი დასაქმების სტატისტიკა, მათ შორის წარმოდგენილია პროფესიით დასაქმებულთა მაჩვენებლები, მონაცემების ანალიზის შედეგად შესწავლილი აქვს რომელი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრებია დეფიციტურია ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს კოლეჯი), რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის, წარმოდგენილი აქვს კონკურენტი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლის შედეგები, გაანალიზებული აქვს საკუთარი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), მოპოვებული აქვს სახელმწიფოს მიერ თანხმობა, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის.

კოლეჯის მისიის მიხედვით დაწესებულება მრავალპროფილურია და მიზნად ისახავს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ადმინისტრაციული სერვისები“** შეესაბამება დაწესებულების მისიას.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ მათ ასევე კომუნიკაცია ჰქონდათ ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებებთან, აღნიშნული პროგრამისა და ამ მიმართულებით სპეციალისტების საჭიროებაზე. გამოიკვეთა, რომ ასეთ კადრზე საჭიროება ყველგანაა. კოლეჯის ხელმძღვანელის განმარტებით, გამოკითხვებისას, გამოიკვეთა რომ, დაწესებულებების უმრავლესობისთვის, საქმიანობის სუსტი რგოლია დოკუმენტბრუნვისა და არქივაციის საკითხების მართვა. შესაბამისად დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება დაემატებინა ადმინისტრაციული სერვისების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **„ადმინისტრაციული სერვისები“** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებულია „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები **საშუალო** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები.

დაწესებულების მიერ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის“. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ადმინისტრაციული სერვისები“**, 2 ცვლაში 40 პროფესიული სტუდენტის მიღებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„ადმინისტრაციული სერვისები“** განსაზღვრული აღჭურვილობა შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ფარავს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგებს, ამრიგად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ადმინისტრაციული სერვისები“** ითვალისწინებს 14 პროფესიულ მოდულს ჯამური 55 კრედიტისა და 6 ზოგად მოდულს ჯამური 15 კრედიტის მოცულობით.
ადმინისტრაციულ სერვისებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 70 კრედიტის დაგროვება. პროგრამის ხანგრძლივობა 13 სასწავლო თვე, ანუ 53 სასწავლო კვირა.
მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 100 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 19 სასწავლო თვე, ანუ 77 სასწავლო კვირა. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ადმინისტრაციული სერვისები“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 18 აგვისტოს N996776 ბრძანებით, ხოლო ცვლილებები განხორციელებულია 2025 წლის 01 ოქტომბრის MES 2 25 0001349355 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„ადმინისტრაციული სერვისები“** თანხვედრაშია **„ადმინისტრაციული სერვისები“** საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ადმინისტრაციული სერვისები“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, რომლებიც არეგულირებენ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ორგანიზებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები.

დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მოპოვებული აქვს თანხმობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ადმინისტრაციული სერვისები“** განხორციელების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“;
2. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“; 3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ადმინისტრაციული სერვისები“**;
6. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები;
7. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
8. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
9. დაწესებულების ვებგვერდი - www.profgldani.edu.ge.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ადმინისტრაციული სერვისები“** ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, რომლის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია დარგობრივი ორგანიზაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ადმინისტრაციული სერვისები“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პარტნიორი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B, C სასწავლო გარემოები, მათ შორის:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ადმინისტრაციული სერვისები“** განხორციელებისათვის საჭირო დარგობრივი აუდიტორიები -

- აუდიტორია 10 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ადმინისტრაციული სერვისები“** განხორციელებისათვის საჭირო ზოგადი მოდულების აუდიტორიები, რომლებიც საერთოა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის -

- აუდიტორია 1 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 4 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 6 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 7 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 8 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 11 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 18ა - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 21 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 22 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 24 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულება მემორანდუმის საფუძველზე, თანამშრომლობს:

- სსიპ ქალაქ თბილისის N191 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 24.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სს გუდვილი, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 15.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- შპს „დიო“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 10.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ვახტანგ გზირიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N173 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 23.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 16.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N98 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 26.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 16.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 2 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 16.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N79 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 27.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გადამოწმდა დაწესებულებათა მზაობა და შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტთა მიღების მიზნებისათვის.

სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიებისა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„ადმინისტრაციული სერვისები“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 21 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში **„ადმინისტრაციული სერვისები“** პროგრამისთვის შერჩეულია 28 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ადმინისტრაციული სერვისები“** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **„ადმინისტრაციული სერვისები“** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან ინტერვიურებისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„ადმინისტრაციული სერვისები“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. ელექტრონული რესურსები, რომლებიც მოიცავს სახელმძღვანელოებს, რიდერებს, ვიდეო გაკვეთილებსა და შესაბამის ბმულებს, ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებზე (როგორც უშუალოდ კომპიუტერში ატვირთული, ასევე CD დისკების სახით) და ასევე, ჩაწერილია სტუდენტების გამოყენებისთვის განკუთვნილ კომპიუტერებში. ბიბლიოთეკის ვიზუალური შემოწმება, მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან ინტერვიურება ადასტურებს, რომ რესურსები არა მხოლოდ ფიზიკურად არსებობს, არამედ ეფექტურად არის ინტეგრირებული და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი ჰყავს სხვა პროგრამების ფარგლებში და აქვს მსგავსი გამოცდილება. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე ჩართულია სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს და უწევს მისთვის საჭირო სერვისს, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ადმინისტრაციული სერვისები“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური და ფაქტობრივი ბიუჯეტების ანალიზს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ადმინისტრაციული სერვისები“** და მისი დანართები;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით“ დაწესებულების პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. კოლეჯში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ამოცანაა ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მუშაობის ხელშეწყობა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ამოცანაა მოიპოვოს ინფორმაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: პროგრამები - სასწავლო, კალენდარული და თემატური გეგმები, ბ) სტუდენტები - შეფასების კომპონენტები; კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, დასაქმების მაჩვენებელი, საგანმანათლებლო რესურსების ადეკვატურობა, ხელმისაწვდომობა, განახლება, მონიტორინგი; მატერიალური რესურსი - სასწავლო გარემო, აღჭურვილობის საკმარისობა და შესაბამისობა. დაწესებულებას ჰყავს სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, რომელიც: უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით ახორციელებს სალექციო საათების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას; ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შევსება/წარმოების სისწორეს და გასცემს შესაბამის მითითებებს; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სალექციო საათებზე დასწრების კონტროლს და რეესტრის წარმოების სპეციალისტთან კოორდინირებით განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების გაცდენების მონიტორინგს; მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში; ამზადებს საბოლოო/განმეორებითი სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ სამსახურებრივ ბარათს; ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

დასწრების ელექტრონული და მატერიალური აღრიცხვის ჟურნალების წარმოების მონიტორინგსა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოცხადებაზე კონტროლს (საპატიო და არასაპატიო საათები) შემდგომი რეაგირების მიზნით; უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების სისტემისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში; სწავლის დაწყების მომენტიდან, კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას; შეფასების მიზნებისათვის ახორციელებს მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების კონტროლს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო საწარმოსთან/საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განმახორციელებელ ობიექტთან მემორანდუმის/ხელშეკრულების დადებამდე, პრაქტიკის ობიექტზე ამოწმებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას; მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფში და ამზადებს შესაბამის ანგარიშს; მონაწილეობას იღებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების პროცენტული მაჩვენებელი) განხილვა/გაანალიზებაში; მონაწილეობს იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ავტორიზაციის თვითშეფასების განაცხადის შევსებასა და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში; მონაწილეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების/ჯგუფების სხდომებში.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყრდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ადმინისტრაციული სერვისები“** და მისი დანართები;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები;
6. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

7. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ადმინისტრაციული სერვისები“** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენენ სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფენ მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ადმინისტრაციული სერვისები“** სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და სპეციალისტი პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ადმინისტრაციული სერვისები“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა“ და დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით“ განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

კოლეჯს აქვს სსსმ და შშმ პირთა სწავლების პრაქტიკა, კანონმდებლობისა და სსსმ და შშმ პირთა უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ადმინისტრაციული სერვისები“** პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულება მემორანდუმის საფუძველზე, თანამშრომლობს:

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულება მემორანდუმის საფუძველზე, თანამშრომლობს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- სსიპ ქალაქ თბილისის N191 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 24.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სს გუდვილი, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 15.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „დიო“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 10.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ვახტანგ გზირიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N173 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 23.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N177 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 16.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N98 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 26.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N132 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 16.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N39 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 2 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 16.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N79 საჯარო სკოლა, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 27.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი.

გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები უვადოა და მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაღრმავებას, რაც უზრუნველყოფს მათთვის რეალურ სამუშაო გარემოში გამოცდილების მიღების შესაძლებლობას.
პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული შეთანხმებები სრულად ფარავს დაწესებულების მიერ მოთხოვნილ კვოტას და ჯამურად შესაძლებელს ხდის 47 პროფესიული სტუდენტის მიღებას (პროგრამით გათვალისწინებული ზღვრული რაოდენობის - 40 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით).

პრაქტიკის ობიექტები იღებენ პასუხისმგებლობას:

- პრაქტიკის გავლის ხელშეწყობასა და სტუდენტთა სწავლების პროცესზე დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლის დასწრების უზრუნველყოფაზე;
- სტუდენტების უზრუნველყოფაზე აუცილებელი გარემოთი, უსაფრთხო პირობებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ეს მზაობა დადასტურდა ექსპერტთა ვიზიტისას გასაუბრების შედეგად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მემორანდუმები ასევე განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად იქნება უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად იქნება უზრუნველყოფილი დაწესებულების, სასწავლო საწარმოსა და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსებით და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გადამოწმდა დაწესებულებათა მზაობა და შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტთა მიღების მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ადმინისტრაციული სერვისები“** განხორციელებისთვის საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. დაწესებულების აუდიტორიებში დასაცავი სტანდარტული უსაფრთხოების წესები გამოკრულია პროფესიულ სტუდენტთა თვალსაჩინო ადგილას, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილზე პროფესიულ სტუდენტებს უტარდება ინსტრუქტაჟი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ადმინისტრაციული სერვისები“;**
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით. მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“ ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. რის დასტურადაც წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნები და ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება ინახება პროგრამების სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გამოყენება. რეგულაციებში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიუირებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი”;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში / Secondary Vocational Qualification in Topography
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0731
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების რეკვიზიტები: N23, 10.04.2019
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება
--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტით საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.

კოლეჯის მისიის მიხედვით დაწესებულება მრავალპროფილურია და მიზნად ისახავს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** შეესაბამება დაწესებულების მისიას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით დაწესებულებას შესწავლილი აქვს ქ. თბილისსა და რეგიონებში, გაანალიზებული აქვს ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები, შესწავლილი აქვს შრომის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები კონკრეტული პროფესიის ჭრილში, გაანალიზებული აქვს დასაქმების პლატფორმები, წარმოდგენილი აქვს ანალოგიური ან მომიჯნავე (სხვა დასახელებით არსებული პროგრამების ფარგლებში) კურსდამთავრებულებისა და მათი დასაქმების სტატისტიკა, მათ შორის წარმოდგენილია პროფესიით დასაქმებულთა მაჩვენებლები, მონაცემების ანალიზის შედეგად შესწავლილი აქვს რომელი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრებია დეფიციტურია ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს კოლეჯი), რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის, წარმოდგენილი აქვს კონკურენტი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლის შედეგები, გაანალიზებული აქვს საკუთარი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), მოპოვებული აქვს სახელმწიფოს მიერ თანხმობა, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** დაშვების წინაპირობაა ა) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე - სრული ზოგადი განათლება ბ) პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში - საბაზო განათლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებულია „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები **საშუალო** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები.

დაწესებულების მიერ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის“. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“**, 2 ცვლაში 40 პროფესიული სტუდენტის, მათ შორის 20 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლების მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** განსაზღვრული აღჭურვილობა შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ფარავს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგებს, ამრიგად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** მოცულობაა:
ა) „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში აერთიანებს ექვს ინტეგრირებულ ზოგად მოდულს ჯამური 30 კრედიტის რაოდენობით, სამ ზოგად მოდულს ჯამური 12 კრედიტის რაოდენობით და თხუთმეტ პროფესიულ მოდულს ჯამური 75 კრედიტის რაოდენობით, ჯამში - 117 კრედიტი და გრძელდება 21 სასწავლო თვე (85 კვირა). მოდულების ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 147 კრედიტს და გრძელდება 27 სასწავლო თვე (109 კვირა).
ბ) „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე აერთიანებს ხუთ ზოგად მოდულს ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით და თხუთმეტ პროფესიულ მოდულს ჯამური 75 კრედიტის რაოდენობით, ჯამში - 92 კრედიტი და გრძელდება 17.5 სასწავლო თვე (70 სასწავლო კვირა).
მოდულების ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 122 კრედიტს და გრძელდება 23.5 სასწავლო თვე (94კვირა).

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 10 აპრილის N23 ბრძანებით, ხოლო ცვლილებები განხორციელებულია 2025 წლის 18 მაისის N996224 და 2025 წლის 15 ოქტომბრის MES 9 25 0001349361 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** თანხვედრაშია **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, რომლებიც არეგულირებენ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ორგანიზებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები.

დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მოპოვებული აქვს თანხმობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** განხორციელების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“; 3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“**;
6. კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ;
7. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
8. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები;
9. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
10. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
11. დაწესებულების ვებგვერდი - www.profgldani.edu.ge.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B, C გარემოებები, მათ შორის:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** განხორციელებისათვის საჭირო დარგობრივი აუდიტორიები -

- აუდიტორია 5 - B/C სასწავლო გარემო, გეოდეზიის კლასი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით (შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით) და გეოდეზიური ხელსაწყო ინსტრუმენტებით, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- კოლეჯის მე-3 საგამოფენო სივრცე - C სასწავლო გარემო;
- კოლეჯის სამხატვრო სივრცე - C სასწავლო გარემო;
- კოლეჯის გარე ლოკაცია - C სასწავლო გარემო;
- აუდიტორია 17 - ინტეგრირებული მოდულების განხორციელების ლაბორატორია - C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** განხორციელებისათვის საჭირო ზოგადი მოდულების აუდიტორიები, რომლებიც საერთოა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის -

- აუდიტორია 1 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- აუდიტორია 4 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 6 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 7 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 8 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 10 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 11 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 17 - B/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის
- აუდიტორია 21 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 24 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 25 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულება მემორანდუმის საფუძველზე, თანამშრომლობს:

- შპს „გეოგრაფიკი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 10 პროფესიული სტუდენტი;
- საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაცია, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 8 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „კირკიტაძე და კომპანია“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ნიუ პოინტ“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 24.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 10 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „რუკა მაპპინგი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 4 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „სენსონი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 3 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ტერაგრაფიკი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 10 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გადამოწმდა დაწესებულებათა მზაობა და შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტთა მიღების მიზნებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომპაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 20 პროფესიულ სტუდენტს ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში - 23, ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** პროგრამისთვის შერჩეულია 50 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. ამჟამად მიმდინარეობს პროფესიისა და საგანმანათლებლო სტანდარტის - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** განახლება, შესაბამისად დაწესებულებაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებებს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, რაც ამავდროულად მოიცავს საგანმანათლებლო რესურსების განახლებას და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან უზრუნველყოფას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი ჰყავს და აქვს მსგავსი გამოცდილება. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე ჩართულია სასწავლო პროცესში.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს და უწევს მისთვის საჭირო სერვისს, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, ორივე ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებისთვის, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური და ფაქტობრივი ბიუჯეტების ანალიზს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** და მისი დანართები**;**
2. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები;
3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
4. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
6. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
7. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

წესით“ და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით“ დაწესებულების პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. კოლეჯში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ამოცანაა ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მუშაობის ხელშეწყობა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ამოცანაა მოიპოვოს ინფორმაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: პროგრამები - სასწავლო, კალენდარული და თემატური გეგმები, ბ) სტუდენტები - შეფასების კომპონენტები; კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, დასაქმების მაჩვენებელი, საგანმანათლებლო რესურსების ადეკვატურობა, ხელმისაწვდომობა, განახლება, მონიტორინგი; მატერიალური რესურსი - სასწავლო გარემო, აღჭურვილობის საკმარისობა და შესაბამისობა. დაწესებულებას ჰყავს სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, რომელიც: უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით ახორციელებს სალექციო საათების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას; ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შევსება/წარმოების სისწორეს და გასცემს შესაბამის მითითებებს; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სალექციო საათებზე დასწრების კონტროლს და რეესტრის წარმოების სპეციალისტთან კოორდინირებით განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების გაცდენების მონიტორინგს; მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში; ამზადებს საბოლოო/განმეორებითი სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ სამსახურებრივ ბარათს; ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ელექტრონული და მატერიალური აღრიცხვის ჟურნალების წარმოების მონიტორინგსა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოცხადებაზე კონტროლს (საპატიო და არასაპატიო საათები) შემდგომი რეაგირების მიზნით; უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების სისტემისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში; სწავლის დაწყების მომენტიდან, კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას; შეფასების მიზნებისათვის ახორციელებს მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების კონტროლს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო საწარმოსთან/საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განმახორციელებელ ობიექტთან მემორანდუმის/ხელშეკრულების დადებამდე, პრაქტიკის ობიექტზე ამოწმებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას; მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფში და ამზადებს შესაბამის ანგარიშს; მონაწილეობას იღებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების პროცენტული მაჩვენებელი) განხილვა/გაანალიზებაში; მონაწილეობს იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ავტორიზაციის თვითშეფასების განაცხადის შევსებასა და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში; მონაწილეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების/ჯგუფების სხდომებში.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყრდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** და მისი დანართები;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები;
6. დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები;
7. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენენ სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფენ მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და სპეციალისტი პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა“ და დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით“ განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

კოლეჯს აქვს სსსმ და შშმ პირთა სწავლების პრაქტიკა, კანონმდებლობისა და სსსმ და შშმ პირთა უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულება მემორანდუმის საფუძველზე, თანამშრომლობს:

- შპს „გეოგრაფიკი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 10 პროფესიული სტუდენტი;
- საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაცია, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 8 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „კირკიტაძე და კომპანია“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ნიუ პოინტ“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 24.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 10 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „რუკა მაპპინგი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 4 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- შპს „სენსონი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 3 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ტერაგრაფიკი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 10 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გადამოწმდა დაწესებულებათა მზაობა და შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტთა მიღების მიზნებისათვის.

დაწესებულების სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 20 პროფესიულ სტუდენტს ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“** განხორციელებისთვის საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. დაწესებულების აუდიტორიებში დასაცავი სტანდარტული უსაფრთხოების წესები გამოკრულია პროფესიულ სტუდენტთა თვალსაჩინო ადგილას, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილზე პროფესიულ სტუდენტებს უტარდება ინსტრუქტაჟი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“;**
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით. მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“ ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხებს.

დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. რის დასტურადაც წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნები და ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით
დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში 5 წლის ვადით. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება ინახება პროგრამების სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში 5 წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება. რეგულაციებში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიუირებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი”;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების რეკვიზიტები: N96, 17.08.2015
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	--
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება
--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, რომლის მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტით საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.

კოლეჯის მისიის მიხედვით დაწესებულება მრავალპროფილურია და მიზნად ისახავს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** შეესაბამება დაწესებულების მისიას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით დაწესებულებას შესწავლილი აქვს ქ. თბილისსა და რეგიონებში, გაანალიზებული აქვს ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები, შესწავლილი აქვს შრომის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები კონკრეტული პროფესიის ჭრილში, გაანალიზებული აქვს დასაქმების პლატფორმები, წარმოდგენილი აქვს ანალოგიური ან მომიჯნავე (სხვა დასახელებით არსებული პროგრამების ფარგლებში) კურსდამთავრებულებისა და მათი დასაქმების სტატისტიკა, მათ შორის წარმოდგენილია პროფესიით დასაქმებულთა მაჩვენებლები, მონაცემების ანალიზის შედეგად შესწავლილი აქვს რომელი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრებია დეფიციტურია ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს კოლეჯი), რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის, წარმოდგენილი აქვს კონკურენტი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლის შედეგები, გაანალიზებული აქვს საკუთარი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), მოპოვებული აქვს სახელმწიფოს მიერ თანხმობა, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებულია „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები **უმაღლეს** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები.

დაწესებულების მიერ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის“. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ბუღალტრული აღრიცხვა“**, 2 ცვლაში 80 პროფესიული სტუდენტის მიღებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** განსაზღვრული აღჭურვილობა ემთხვევა საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ფარავს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგებს, ამრიგად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** მოცულობაა 99 კრედიტი. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, ხოლო პროფესიული მოდულების საერთო მოცულობაა - 88 კრედიტი. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2015 წლის 17 აგვისტოს N96 ბრძანებით, ხოლო ცვლილებები განხორციელებულია 2025 წლის 18 აგვისტოს N 995831 და 2025 წლის 15 ოქტომბრის MES 4 25 0001349357 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„ბუღალტრული აღრიცხვა“** თანხვედრაშია **ბუღალტრული აღრიცხვის** საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, რომლებიც არეგულირებენ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ორგანიზებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები.

დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მოპოვებული აქვს თანხმობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** განხორციელების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“;
2. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“; 3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ბუღალტრული აღრიცხვა“**;
6. კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ;
7. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
8. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები;
9. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
10. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
11. დაწესებულების ვებგვერდი - www.profgldani.edu.ge.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ბუღალტრული აღრიცხვა“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A და B გარემოებები, მათ შორის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ბუღალტრული აღრიცხვა“** განხორციელებისათვის საჭირო დარგობრივი აუდიტორიები -

- აუდიტორია 18ა - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 22 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ბუღალტრული აღრიცხვა“** განხორციელებისათვის საჭირო ზოგადი მოდულების აუდიტორიები, რომლებიც საერთოა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის -

- აუდიტორია 1 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 4 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 7 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 8 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 11 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 21 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის.

სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 80 პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში **„ბუღალტრული აღრიცხვა“** პროგრამისთვის შერჩეულია 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„ბუღალტრული აღრიცხვა“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი ჰყავს და აქვს მსგავსი გამოცდილება. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე ჩართულია სასწავლო პროცესში.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს და უწევს მისთვის საჭირო სერვისს, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური და ფაქტობრივი ბიუჯეტების ანალიზს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** და მისი დანართები;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით“ დაწესებულების პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. კოლეჯში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ამოცანაა ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მუშაობის ხელშეწყობა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ამოცანაა მოიპოვოს ინფორმაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: პროგრამები - სასწავლო, კალენდარული და თემატური გეგმები, ბ) სტუდენტები - შეფასების კომპონენტები; კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, დასაქმების მაჩვენებელი, საგანმანათლებლო რესურსების ადეკვატურობა, ხელმისაწვდომობა, განახლება, მონიტორინგი; მატერიალური რესურსი - სასწავლო გარემო, აღჭურვილობის საკმარისობა და შესაბამისობა. დაწესებულებას ჰყავს სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, რომელიც: უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით ახორციელებს სალექციო საათების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას; ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შევსება/წარმოების სისწორეს და გასცემს შესაბამის მითითებებს; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სალექციო საათებზე დასწრების კონტროლს და რეესტრის წარმოების სპეციალისტთან კოორდინირებით განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების გაცდენების მონიტორინგს; მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში; ამზადებს საბოლოო/განმეორებითი სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ სამსახურებრივ ბარათს; ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ელექტრონული და მატერიალური აღრიცხვის ჟურნალების წარმოების მონიტორინგსა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოცხადებაზე კონტროლს (საპატიო და არასაპატიო საათები) შემდგომი რეაგირების მიზნით; უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების სისტემისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში; სწავლის დაწყების მომენტიდან, კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას; შეფასების მიზნებისათვის ახორციელებს მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების კონტროლს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო საწარმოსთან/საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განმახორციელებელ ობიექტთან მემორანდუმის/ხელშეკრულების დადებამდე, პრაქტიკის ობიექტზე ამოწმებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას; მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფში და ამზადებს შესაბამის ანგარიშს; მონაწილეობას იღებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების პროცენტული მაჩვენებელი) განხილვა/გაანალიზებაში; მონაწილეობს იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ავტორიზაციის თვითშეფასების განაცხადის შევსებასა და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში; მონაწილეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების/ჯგუფების სხდომებში.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყრდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** და მისი დანართები;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები;
6. დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები;
7. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენენ სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფენ მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და სპეციალისტი პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა“ და დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით“ განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

კოლეჯს აქვს სსსმ და შშმ პირთა სწავლების პრაქტიკა, კანონმდებლობისა და სსსმ და შშმ პირთა უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** განხორციელების მიზნებისათვის არ საჭიროებს პრაქტიკის ობიექტს. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ბუღალტრული აღრიცხვა“** განხორციელებისთვის არ საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. დაწესებულების აუდიტორიებში დასაცავი სტანდარტული უსაფრთხოების წესები გამოკრულია პროფესიულ სტუდენტთა თვალსაჩინო ადგილას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ბუღალტრული აღრიცხვა“;**
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით. მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“ ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხებს.

დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. რის დასტურადაც წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნები და ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება ინახება პროგრამების სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება. რეგულაციებში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიუირებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი”;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურებაში; Secondary Vocational Qualification in HACR system Service
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების რეკვიზიტები: N697082; 18.06.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	5
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	66
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება
--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, რომლის მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტით საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.

კოლეჯის მისიის მიხედვით დაწესებულება მრავალპროფილურია და მიზნად ისახავს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** შეესაბამება დაწესებულების მისიას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით დაწესებულებას შესწავლილი აქვს ქ. თბილისსა და რეგიონებში, გაანალიზებული აქვს ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები, შესწავლილი აქვს შრომის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები კონკრეტული პროფესიის ჭრილში, გაანალიზებული აქვს დასაქმების პლატფორმები, წარმოდგენილი აქვს ანალოგიური ან მომიჯნავე (სხვა დასახელებით არსებული პროგრამების ფარგლებში) კურსდამთავრებულებისა და მათი დასაქმების სტატისტიკა, მათ შორის წარმოდგენილია პროფესიით დასაქმებულთა მაჩვენებლები, მონაცემების ანალიზის შედეგად შესწავლილი აქვს რომელი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრებია დეფიციტურია ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს კოლეჯი), რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის, წარმოდგენილი აქვს კონკურენტი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლის შედეგები, გაანალიზებული აქვს საკუთარი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), მოპოვებული აქვს სახელმწიფოს მიერ თანხმობა, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებულია „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები **საშუალო** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კოლეჯში **დუალური სწავლების მიდგომით** პროგრამაზე ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები.

დაწესებულების მიერ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის“. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი დუალური მიდგომით სრულფასოვნად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“**, 5 პროფესიული სტუდენტის მიღებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** განსაზღვრული აღჭურვილობა შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ფარავს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგებს, ამრიგად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** ითვალისწინებს 5 პროფესიულ მოდულს ჯამური 43 კრედიტის მოცულობით, 4 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და ორ არჩევით მოდულს ჯამური 12 კრედიტის რაოდენობით, რაც 66 კრედიტს შეადგენს. პროფესიული მოდულების ჯამური 55 კრედიტიდან (1376 საათი) სასწავლო საწარმოში (რეალურ სამუშაო გარემოში) განხორციელდება 33.5 კრედიტი (837.5 სასწავლო საწარმოში, რაც 60.9% - ს შეადგენს. პროგრამის ხანგრძლივობაა 13.5 სასწავლო თვე, ანუ 54 სასწავლო კვირა.

მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 96 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 19.5 სასწავლო თვე, ანუ 78 სასწავლო კვირა.

პროგრამა ითვალისწინებს 2 არჩევით მოდულს, მათ შორის: გათბობის შიგა სისტემების მონტაჟი - 6 კრედიტი, გათბობის ქვაბის მონტაჟი - 6 კრედიტი. ორივე მოდული გამომდინარეობს პროგრამის შინაარსიდან და თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 18 ივნისის N 697082 ბრძანებით, ხოლო ცვლილებები განხორციელებულია 2025 წლის 18 აგვისტოს N 996787 და 2025 წლის 01 ოქტომბრის MES 3 25 0001349374 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** თანხვედრაშია **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, რომლებიც არეგულირებენ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ორგანიზებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები.

დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მოპოვებული აქვს თანხმობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** განხორციელების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“;
2. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“; 3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“**;
6. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

7. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
8. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
9. დაწესებულების ვებგვერდი - www.profgldani.edu.ge.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** ხორციელდება დაწესებულებისა და სასწავლო საწარმოს ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯისა და სასწავლო საწარმოს მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და სასწავლო საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B, C სასწავლო გარემოები, მათ შორის:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** განხორციელებისათვის საჭირო დარგობრივი აუდიტორიები -

- აუდიტორია 20 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** განხორციელებისათვის საჭირო ზოგადი მოდულების აუდიტორიები, რომლებიც საერთოა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის -

- აუდიტორია 1 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 4 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 6 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 7 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 8 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 11 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 21 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

პროგრამის დუალურად განხორციელების მიზნებისათვის, დაწესებულება თანამშრომლობს:

- შპს „თბილი სახლი“, ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - პროგრამის განხორციელების ვადით; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „მოდერნ ევროპიან სოლუშენ“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 10.06.2025, მოქმედების ვადა - პროგრამის განხორციელების ვადით; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი.

სასწავლო საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი შეესაბამება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს N416 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გადამოწმდა დაწესებულებათა მზაობა და შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტთა მიღების მიზნებისათვის.

სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიებისა და სასწავლო საწარმოს რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა 5 პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** პროგრამისთვის შერჩეულია 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. ელექტრონული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

რესურსები, რომლებიც მოიცავს სახელმძღვანელოებს, რიდერებს, ვიდეო გაკვეთილებსა და შესაბამის ბმულებს, ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებზე (როგორც უშუალოდ კომპიუტერში ატვირთული, ასევე CD დისკების სახით) და ასევე, ჩაწერილია სტუდენტების კომპიუტერებში. ბიბლიოთეკის ვიზუალური შემოწმება, მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან ინტერვიურება ადასტურებს, რომ რესურსები არა მხოლოდ ფიზიკურად არსებობს, არამედ ეფექტურად არის ინტეგრირებული და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას სხვა პროგრამის ფარგლებში ჰყავს შშმ პროფესიული სტუდენტი და აქვს მსგავსი გამოცდილება. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე ჩართულია სასწავლო პროცესში.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს და უწევს მისთვის საჭირო სერვისს, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური და ფაქტობრივი ბიუჯეტების ანალიზს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** და მისი დანართები;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
3. სასწავლო საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
4. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
6. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
7. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით“ დაწესებულების პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. კოლეჯში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ამოცანაა ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მუშაობის ხელშეწყობა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ამოცანაა მოიპოვოს ინფორმაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: პროგრამები - სასწავლო, კალენდარული და თემატური გეგმები, ბ) სტუდენტები - შეფასების კომპონენტები; კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, დასაქმების მაჩვენებელი, საგანმანათლებლო რესურსების ადეკვატურობა, ხელმისაწვდომობა, განახლება, მონიტორინგი; მატერიალური რესურსი - სასწავლო გარემო, აღჭურვილობის საკმარისობა და შესაბამისობა. დაწესებულებას ჰყავს სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, რომელიც: უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით ახორციელებს სალექციო საათების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას; ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შევსება/წარმოების სისწორეს და გასცემს შესაბამის მითითებებს; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სალექციო საათებზე დასწრების კონტროლს და რეესტრის წარმოების სპეციალისტთან კოორდინირებით განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების გაცდენების მონიტორინგს; მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში; ამზადებს საბოლოო/განმეორებითი სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ სამსახურებრივ ბარათს; ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ელექტრონული და მატერიალური აღრიცხვის ჟურნალების წარმოების მონიტორინგსა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოცხადებაზე კონტროლს (საპატიო და არასაპატიო საათები) შემდგომი რეაგირების მიზნით; უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების სისტემისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში; სწავლის დაწყების მომენტიდან, კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას; შეფასების მიზნებისათვის ახორციელებს მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების კონტროლს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო საწარმოსთან/საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განმახორციელებელ ობიექტთან მემორანდუმის/ხელშეკრულების დადებამდე, პრაქტიკის ობიექტზე ამოწმებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას; მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფში და ამზადებს შესაბამის ანგარიშს; მონაწილეობას იღებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების პროცენტული მაჩვენებელი) განხილვა/გაანალიზებაში; მონაწილეობს იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ავტორიზაციის თვითშეფასების განაცხადის შევსებასა და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში; მონაწილეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების/ჯგუფების სხდომებში.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყრდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** და მისი დანართები;
5. სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები;
6. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
7. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** განხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენენ სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფენ მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას მოცემულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტები არ ჰყავდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და სპეციალისტი პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას მოცემულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტები არ ჰყავდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა“ და დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით“ განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯს აქვს სსსმ და შშმ პირთა სწავლების პრაქტიკა, კანონმდებლობისა და სსსმ და შშმ პირთა უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** დუალურად განხორციელების მიზნებისათვის, დაწესებულება თანამშრომლობს:

- შპს „თბილი სახლი“, ხელშეკრულების გაფორმების თარიღი 17.06.2025, მოქმედების ვადა - პროგრამის განხორციელების ვადით; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „მოდერნ ევროპიან სოლუშენ“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 10.06.2025, მოქმედების ვადა - პროგრამის განხორციელების ვადით; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი.

სასწავლო საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი შეესაბამება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს N416 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გადამოწმდა დაწესებულებათა მზაობა და შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტთა მიღების მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“** განხორციელებისთვის საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. დაწესებულების აუდიტორიებში დასაცავი სტანდარტული უსაფრთხოების წესები გამოკრულია პროფესიულ სტუდენტთა თვალსაჩინო ადგილას, ხოლო სასწავლო საწარმოში პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდება ინსტრუქტაჟი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გათბობის, ჰაერის კონდიცირებისა და სამაცივრო სისტემების მომსახურება“;**
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან და სასწავლო საწარმოს წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით. მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“ ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხებს.

დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. რის დასტურადაც წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნები და ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება ინახება პროგრამების სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება. რეგულაციებში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიუირებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი”;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში; Secondary vocational qualification in graphic design
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების ბრძანება: N992697, 18.08.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	--
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

III. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება
--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტით საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.

კოლეჯის მისიის მიხედვით დაწესებულება მრავალპროფილურია და მიზნად ისახავს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გრაფიკული დიზაინი“** შეესაბამება დაწესებულების მისიას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით დაწესებულებას შესწავლილი აქვს ქ. თბილისსა და რეგიონებში, გაანალიზებული აქვს ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები, შესწავლილი აქვს შრომის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები კონკრეტული პროფესიის ჭრილში, გაანალიზებული აქვს დასაქმების პლატფორმები, წარმოდგენილი აქვს ანალოგიური ან მომიჯნავე (სხვა დასახელებით არსებული პროგრამების ფარგლებში) კურსდამთავრებულებისა და მათი დასაქმების სტატისტიკა, მათ შორის წარმოდგენილია პროფესიით დასაქმებულთა მაჩვენებლები, მონაცემების ანალიზის შედეგად შესწავლილი აქვს რომელი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრებია დეფიციტურია ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს კოლეჯი), რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის, წარმოდგენილი აქვს კონკურენტი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლის შედეგები, გაანალიზებული აქვს საკუთარი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), მოპოვებული აქვს სახელმწიფოს მიერ თანხმობა, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **„გრაფიკული დიზაინი“** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. საბაზო განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებულია „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები **საშუალო** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები.

დაწესებულების მიერ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის“. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გრაფიკული დიზაინი“**, 2 ცვლაში 40 პროფესიული სტუდენტის, მათ შორის 20 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლების მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„გრაფიკული დიზაინი“** განსაზღვრული აღჭურვილობა შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ფარავს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგებს, ამრიგად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„გრაფიკული დიზაინი“** მოცულობაა:
ა) “გრაფიკული დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში, აერთიანებს ექვს ინტეგრირებულ ზოგად მოდულს ჯამური 30 კრედიტის რაოდენობით, 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 88 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 118 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 20 სასწავლო თვეს ანუ 80 სასწავლო კვირას.
მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 148 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 26 სასწავლო თვე, ანუ 104 სასწავლო კვირა.
ბ) “გრაფიკული დიზაინის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე აერთიანებს 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 88 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 88 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა 16 სასწავლო თვე, ანუ 65 სასწავლო კვირა.
მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 118 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 22 სასწავლო თვე, ანუ 89 სასწავლო კვირა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„გრაფიკული დიზაინი“** არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გრაფიკული დიზაინი“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 18 აგვისტოს N992697 ბრძანებით, ხოლო ცვლილება შესულია: 01.10.2025 წ. MES 7 25 0001264723 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„გრაფიკული დიზაინი“** თანხვედრაშია **„„გრაფიკული დიზაინი“** საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„გრაფიკული დიზაინი“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, ინტეგრირებული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, რომლებიც არეგულირებენ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ორგანიზებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები.

დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მოპოვებული აქვს თანხმობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„გრაფიკული დიზაინი“** განხორციელების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“;
2. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“; 3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გრაფიკული დიზაინი“**;
6. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები;
7. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
8. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
9. დაწესებულების ვებგვერდი - www.profgldani.edu.ge.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გრაფიკული დიზაინი“** ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო **„გრაფიკული დიზაინი“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი/ინტეგრირებული მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B, C გარემოებები, მათ შორის:

- აუდიტორია 1 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 6 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 24 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 25 - A/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 12ბ – B/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 16 – B/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 4 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 7 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- კოლეჯის მე-3 საგამოფენო სივრცე - A/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- კოლეჯის სამხატვრო სივრცე - A/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- კოლეჯის გარე ლოკაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- კოლეჯის სპორტული სივრცე გათვალისწინებულია ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „სპორტი“ განსახორციელებლად (მაგიდის ჩოგბურთი)
- აუდიტორია 17 - ინტეგრირებული მოდულების განხორციელების ლაბორატორია - B/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„გრაფიკული დიზაინი“** განხორციელებისათვის საჭირო ზოგადი მოდულების აუდიტორიები, რომლებიც საერთოა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის -

- აუდიტორია 8 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 11 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 18 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 21 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;

დაწესებულების სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომპაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 20 პროფესიულ სტუდენტს ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„გრაფიკული დიზაინი“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში - 23, ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში **„გრაფიკული დიზაინი“** პროგრამისთვის შერჩეულია 38 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„გრაფიკული დიზაინი“** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **„გრაფიკული დიზაინი“** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„გრაფიკული დიზაინი“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი ჰყავს სხვა პროგრამაზე და აქვს მსგავსი გამოცდილება. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე ჩართულია სასწავლო პროცესში.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს და უწევს მისთვის საჭირო სერვისს, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„გრაფიკული დიზაინი“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, ორივე ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებისთვის, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური და ფაქტობრივი ბიუჯეტების ანალიზს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გრაფიკული დიზაინი“** და მისი დანართები;
2. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები;
3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
4. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
6. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
7. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით“ დაწესებულების პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. კოლეჯში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ამოცანაა ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მუშაობის ხელშეწყობა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ამოცანაა მოიპოვოს ინფორმაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: პროგრამები - სასწავლო, კალენდარული და თემატური გეგმები, ბ) სტუდენტები - შეფასების კომპონენტები; კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, დასაქმების მაჩვენებელი, საგანმანათლებლო რესურსების ადეკვატურობა, ხელმისაწვდომობა, განახლება, მონიტორინგი; მატერიალური რესურსი - სასწავლო გარემო, აღჭურვილობის საკმარისობა და შესაბამისობა. დაწესებულებას ჰყავს სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, რომელიც: უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით ახორციელებს სალექციო საათების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას; ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შევსება/წარმოების სისწორეს და გასცემს შესაბამის მითითებებს; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სალექციო საათებზე დასწრების კონტროლს და რეესტრის წარმოების სპეციალისტთან კოორდინირებით განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების გაცდენების მონიტორინგს; მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში; ამზადებს საბოლოო/განმეორებითი სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ სამსახურებრივ ბარათს; ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ელექტრონული და მატერიალური აღრიცხვის ჟურნალების წარმოების მონიტორინგსა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოცხადებაზე კონტროლს (საპატიო და არასაპატიო საათები) შემდგომი რეაგირების მიზნით; უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების სისტემისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში; სწავლის დაწყების მომენტიდან, კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას; შეფასების მიზნებისათვის ახორციელებს მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების კონტროლს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო საწარმოსთან/საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განმახორციელებელ ობიექტთან მემორანდუმის/ხელშეკრულების დადებამდე, პრაქტიკის ობიექტზე ამოწმებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას; მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფში და ამზადებს შესაბამის ანგარიშს; მონაწილეობას იღებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების პროცენტული მაჩვენებელი) განხილვა/გაანალიზებაში; მონაწილეობს იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ავტორიზაციის თვითშეფასების განაცხადის შევსებასა და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში; მონაწილეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების/ჯგუფების სხდომებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ სხვა პროგრამის ფარგლებში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყრდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ სხვა პროგრამის ფარგლებში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გრაფიკული დიზაინი“** და მისი დანართები;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები;
6. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
7. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გრაფიკული დიზაინი“** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენენ სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფენ მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

მოცემულ პროგრამაზე დაწესებულებას ჯერ პროფესიული სტუდენტების არ ჰყავს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და სპეციალისტი პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„გრაფიკული დიზაინი“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა“ და დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით“ განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯს აქვს სსსმ და შშმ პირთა სწავლების პრაქტიკა, კანონმდებლობისა და სსსმ და შშმ პირთა უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„გრაფიკული დიზაინი“** განხორციელება დაწესებულების ბაზაზე.
დაწესებულების სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 20 პროფესიულ სტუდენტს ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გრაფიკული დიზაინი“** განხორციელებისთვის საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. დაწესებულების აუდიტორიებში დასაცავი სტანდარტული უსაფრთხოების წესები გამოკრულია პროფესიულ სტუდენტთა თვალსაჩინო ადგილას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„გრაფიკული დიზაინი“;**
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით. მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“ ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხებს.

დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით
დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში 5 წლის ვადით. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება ინახება პროგრამების სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში 5 წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.
დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

“პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება. რეგულაციებში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიუირებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი”;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ინდუსტრიული დიზაინის შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში / Secondary Vocational Qualification in Digital Art
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების რეკვიზიტები: N66, 29.05.2020
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	83
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	113

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება
--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, რომლის მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტით საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.

კოლეჯის მისიის მიხედვით დაწესებულება მრავალპროფილურია და მიზნად ისახავს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** შეესაბამება დაწესებულების მისიას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით დაწესებულებას შესწავლილი აქვს ქ. თბილისსა და რეგიონებში, გაანალიზებული აქვს ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები, შესწავლილი აქვს შრომის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები კონკრეტული პროფესიის ჭრილში, გაანალიზებული აქვს დასაქმების პლატფორმები, წარმოდგენილი აქვს ანალოგიური ან მომიჯნავე (სხვა დასახელებით არსებული პროგრამების ფარგლებში) კურსდამთავრებულებისა და მათი დასაქმების სტატისტიკა, მათ შორის წარმოდგენილია პროფესიით დასაქმებულთა მაჩვენებლები, მონაცემების ანალიზის შედეგად შესწავლილი აქვს რომელი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრებია დეფიციტურია ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს კოლეჯი), რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის, წარმოდგენილი აქვს კონკურენტი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლის შედეგები, გაანალიზებული აქვს საკუთარი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), მოპოვებული აქვს სახელმწიფოს მიერ თანხმობა, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებულია „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები **საშუალო** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები.

დაწესებულების მიერ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის“. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“**, 2 ცვლაში 40 პროფესიული სტუდენტის მიღებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** განსაზღვრული აღჭურვილობა შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

საგანმანათლებლო რესურსები სრულად ფარავს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგებს, ამრიგად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** მოცულობაა 83 კრედიტი, მოიცავს 5 ზოგად მოდულს - ჯამური 15 კრედიტის რაოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს - ჯამური 31 კრედიტის რაოდენობით და ინდუსტრიული დიზაინის შესრულების კონცენტრაციის 8 მოდულს - ჯამური 37 კრედიტის რაოდენობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 83 კრედიტი. პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 29 მაისის N66 ბრძანებით, ხოლო ცვლილებები განხორციელებულია 2025 წლის 18 აგვისტოს N 995830 და 2025 წლის 01 ოქტომბრის MES 6 25 0001264731 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** თანხვედრაშია **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, რომლებიც არეგულირებენ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ორგანიზებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები.

დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მოპოვებული აქვს თანხმობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** განხორციელების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“;
2. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“; 3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“**;
6. კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ;
7. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
8. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები;
9. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
10. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
11. დაწესებულების ვებგვერდი - www.profgldani.edu.ge.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, რომლის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაშ ჩართულია დარგობრივი ორგანიზაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პარტნიორი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B, C სასწავლო გარემოები, მათ შორის:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** განხორციელებისათვის საჭირო დარგობრივი აუდიტორიები -

- აუდიტორია 12ა - B/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 12გ - C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 16 - B/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 4 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 7 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის.

პროგრამით განსაზღვრული მოდულების განსახორციელებლად გათვალისწინებული აუდიტორიები აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარი/აღჭურვილობით, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლის კომპიუტერებით, დემონსტრირების ციფრული საშუალებებით, ფერადი და შავ-თეთრი საბეჭდი მოწყობილობებით, პროფესიული სტუდენტების სასწავლო მაგიდებით, სკამებით, დაფით, პროფესიული განათლების მასწავლებლის მაგიდით და სკამით. საერთო პროფესიული მოდულისთვის ,,კომპოზიციის შექმნა“ განხორციელებისთვის შესაბამისი ინვენტარით დაკომპლექტებულია C გარემო, სადაც განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტისთვის სახატავი სადგამები (მოლბერტები), სამხატვრო სკამი (ტუმბო), სახატავი დაფები, თაბაშირის გეომეტრიული სხეულები, შტატივიანი ხელოვნური განათება, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის მაგიდა და სკამი, კომპიუტერი, პროექტორი - დემონსტრირების ციფრული საშუალება.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ განხორციელებისთვის დაწესებულება იყენებს „სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია Fab Lab“-ს, რომელიც აღჭურვილია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებული თანამედროვე მატერიალური რესურსით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** განხორციელებისათვის საჭირო ზოგადი მოდულების აუდიტორიები, რომლებიც საერთოა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის -

- აუდიტორია 1 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 6 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 8 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 10 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 11 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 21 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 24 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 25 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულება მემორანდუმის საფუძველზე, თანამშრომლობს:

- შპს „FLEXMEDIA“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 25.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 7 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „დაზგა“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 14.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 4 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ელთიბი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 31.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 10 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „მაკეტ.გე“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 31.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 4 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ოლპრინტჯი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 25.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ჟაკეტი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 14.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 11.08.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 20 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ფავორიტი სტილი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 25.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 10 პროფესიული სტუდენტი.

პრაქტიკის ობიექტები იღებენ პასუხისმგებლობას:

- პრაქტიკის გავლის ხელშეწყობასა და სტუდენტთა სწავლების პროცესზე დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლის დასწრების უზრუნველყოფაზე;
- სტუდენტების უზრუნველყოფაზე აუცილებელი გარემოთი, უსაფრთხო პირობებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ეს მზაობა დადასტურდა ექსპერტთა ვიზიტისას გასაუბრების შედეგად.

ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გადამოწმდა დაწესებულებათა მზაობა და შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტთა მიღების მიზნებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიებისა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** პროგრამისთვის შერჩეულია 29 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. ელექტრონული რესურსები, რომლებიც მოიცავს სახელმძღვანელოებს, რიდერებს, ვიდეო გაკვეთილებსა და შესაბამის ბმულებს, ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებზე (როგორც უშუალოდ კომპიუტერში ატვირთული, ასევე CD დისკების სახით) და ასევე, ჩაწერილია სტუდენტების პირად კომპიუტერებში. ბიბლიოთეკის ვიზუალური შემოწმება, მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან ინტერვიურება ადასტურებს, რომ რესურსები არა მხოლოდ ფიზიკურად არსებობს, არამედ ეფექტურად არის ინტეგრირებული და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი ჰყავს და აქვს მსგავსი გამოცდილება. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე ჩართულია სასწავლო პროცესში.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს და უწევს მისთვის საჭირო სერვისს, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური და ფაქტობრივი ბიუჯეტების ანალიზს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** და მისი დანართები;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით“ დაწესებულების პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. კოლეჯში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ამოცანაა ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მუშაობის ხელშეწყობა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ამოცანაა მოიპოვოს ინფორმაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: პროგრამები -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო, კალენდარული და თემატური გეგმები, ბ) სტუდენტები - შეფასების კომპონენტები; კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, დასაქმების მაჩვენებელი, საგანმანათლებლო რესურსების ადეკვატურობა, ხელმისაწვდომობა, განახლება, მონიტორინგი; მატერიალური რესურსი - სასწავლო გარემო, აღჭურვილობის საკმარისობა და შესაბამისობა. დაწესებულებას ჰყავს სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, რომელიც: უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით ახორციელებს სალექციო საათების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას; ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შევსება/წარმოების სისწორეს და გასცემს შესაბამის მითითებებს; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სალექციო საათებზე დასწრების კონტროლს და რეესტრის წარმოების სპეციალისტთან კოორდინირებით განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების გაცდენების მონიტორინგს; მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში; ამზადებს საბოლოო/განმეორებითი სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ სამსახურებრივ ბარათს; ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ელექტრონული და მატერიალური აღრიცხვის ჟურნალების წარმოების მონიტორინგსა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოცხადებაზე კონტროლს (საპატიო და არასაპატიო საათები) შემდგომი რეაგირების მიზნით; უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების სისტემისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში; სწავლის დაწყების მომენტიდან, კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას; შეფასების მიზნებისათვის ახორციელებს მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების კონტროლს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო საწარმოსთან/საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განმახორციელებელ ობიექტთან მემორანდუმის/ხელშეკრულების დადებამდე, პრაქტიკის ობიექტზე ამოწმებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას; მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფში და ამზადებს შესაბამის ანგარიშს; მონაწილეობას იღებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების პროცენტული მაჩვენებელი) განხილვა/გაანალიზებაში; მონაწილეობს იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ავტორიზაციის თვითშეფასების განაცხადის შევსებასა და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში; მონაწილეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების/ჯგუფების სხდომებში.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყრდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** და მისი დანართები;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები;
6. დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები;
7. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენენ სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფენ მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და სპეციალისტი პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა“ და დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით“ განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

კოლეჯს აქვს სსსმ და შშმ პირთა სწავლების პრაქტიკა, კანონმდებლობისა და სსსმ და შშმ პირთა უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულება მემორანდუმის საფუძველზე, თანამშრომლობს:

1. გაფორმებულია მემორანდუმი (№50, 25.07.2025 წ.) შპს „FLEXMEDIA“-სთან (ს/კ 401978311), რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას 1 შესახვევი, 1/43-ში. ამ შეთანხმების საფუძველზე, იგეგმება 7 პროფესიული სტუდენტის საწარმოში წაყვანა, რათა მათ შეძლონ სწავლის შედეგების მიღწევა ისეთი მნიშვნელოვანი პროფესიული მოდულების ფარგლებში, როგორიცაა: „პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“, „CNC დანადგარებთან მუშაობა“ და „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“;
2. გაფორმებულია მემორანდუმი (№39, 14.07.2025 წ.) შპს „დაზგა“-სთან (ს/კ 206201929), რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. 4ა-ში. ამ შეთანხმების საფუძველზე, იგეგმება 4 პროფესიული სტუდენტის საწარმოში წაყვანა, რათა მათ შეძლონ სწავლის შედეგების მიღწევა ისეთი მნიშვნელოვანი პროფესიული მოდულების ფარგლებში, როგორიცაა: „პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“, „CNC დანადგარებთან მუშაობა“ და „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“;
3. გაფორმებულია მემორანდუმი (№58, 31.07.2025 წ.) შპს „ელთიბი“-სთან (ს/კ 200118425), რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, თ. ერისთავის ქუჩა 21ბ-ში. ამ შეთანხმების საფუძველზე, იგეგმება 10 პროფესიული სტუდენტის საწარმოში წაყვანა, რათა მათ შეძლონ სწავლის შედეგების მიღწევა ისეთი მნიშვნელოვანი პროფესიული მოდულების ფარგლებში, როგორიცაა: „პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“, „CNC დანადგარებთან მუშაობა“ და „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“;
4. გაფორმებულია მემორანდუმი (№59, 31.07.2025 წ.) შპს „მაკეტ.ჯე“-სთან (ს/კ 404674624), რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, რამაზ შენგელიას ქ. 7-ში. ამ შეთანხმების საფუძველზე, იგეგმება 4 პროფესიული სტუდენტის საწარმოში წაყვანა, რათა მათ შეძლონ სწავლის შედეგების მიღწევა ისეთი მნიშვნელოვანი პროფესიული მოდულების ფარგლებში, როგორიცაა: „პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“, „CNC დანადგარებთან მუშაობა“ და „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“;
5. გაფორმებულია მემორანდუმი (№63, 04.08.2025 წ.) შპს „ოლპრინტჯი“-სთან (ს/კ 400044518). ამ შეთანხმების საფუძველზე, იგეგმება 5 პროფესიული სტუდენტის საწარმოში წაყვანა, რათა მათ შეძლონ სწავლის შედეგების მიღწევა ისეთი მნიშვნელოვანი პროფესიული მოდულების ფარგლებში, როგორიცაა: „პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“, „CNC დანადგარებთან მუშაობა“ და „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“;
6. გაფორმებულია მემორანდუმი (№38, 14.07.2025 წ.) შპს „ჟაკეტი“-სთან (ს/კ 400311417), რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, გლდანის VIII მ/რ, კორპუსი 7, ბინა 87-ში. ამ შეთანხმების საფუძველზე, იგეგმება 5 პროფესიული სტუდენტის საწარმოში წაყვანა, რათა მათ შეძლონ სწავლის შედეგების მიღწევა ისეთი მნიშვნელოვანი პროფესიული მოდულების ფარგლებში, როგორიცაა: „პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“, „CNC დანადგარებთან მუშაობა“ და „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

7. გაფორმებულია მემორანდუმი (№64, 11.08.2025 წ.) სსიპ ,,საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“-სთან (ს/კ 204582521), რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ოქროყანა, ინოვაციების ქუჩა 7-ში. ამ შეთანხმების საფუძველზე, იგეგმება 20 პროფესიული სტუდენტის საწარმოში წაყვანა პროფესიული მოდულის - „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“ ფარგლებში სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობა და ექსკურსიის ორგანიზება;
8. გაფორმებულია მემორანდუმი (№51, 25.07.2025 წ.) შპს „ფავორიტი სტილი“-სთან (ს/კ 404379294), რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ჩუბინიშვილის 50-ში. ამ შეთანხმების საფუძველზე, იგეგმება 10 პროფესიული სტუდენტის საწარმოში წაყვანა, რათა მათ შეძლონ სწავლის შედეგების მიღწევა ისეთი მნიშვნელოვანი პროფესიული მოდულების ფარგლებში, როგორიცაა: „პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“, „CNC დანადგარებთან მუშაობა“ და „გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“.

გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები უვადოა და მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაღრმავებას, რაც უზრუნველყოფს მათთვის რეალურ სამუშაო გარემოში გამოცდილების მიღების შესაძლებლობას.

პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული შეთანხმებები სრულად ფარავს დაწესებულების მიერ მოთხოვნილ კვოტას და ჯამურად შესაძლებელს ხდის 65 სტუდენტის მიღებას (პროგრამით გათვალისწინებული ზღვრული რაოდენობის - 40 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით).

პრაქტიკის ობიექტები იღებენ პასუხისმგებლობას:

- პრაქტიკის გავლის ხელშეწყობასა და სტუდენტთა სწავლების პროცესზე დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლის დასწრების უზრუნველყოფაზე;
- სტუდენტების უზრუნველყოფაზე აუცილებელი გარემოთი, უსაფრთხო პირობებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ეს მზაობა დადასტურდა ექსპერტთა ვიზიტისას გასაუბრების შედეგად.

მემორანდუმები ასევე განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად იქნება უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად იქნება უზრუნველყოფილი დაწესებულების, სასწავლო საწარმოსა და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსებით და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით.

ეს თანამშრომლობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს პროფესიული განათლებისა და ინდუსტრიის დაახლოების მიმართულებით, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად.

ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გადამოწმდა დაწესებულებათა მზაობა და შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტთა მიღების მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“** განხორციელებისთვის საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. დაწესებულების აუდიტორიებში დასაცავი სტანდარტული უსაფრთხოების წესები გამოკრულია პროფესიულ სტუდენტთა თვალსაჩინო ადგილას, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილზე პროფესიულ სტუდენტებს უტარდება ინსტრუქტაჟი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“;**
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით. მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“ ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხებს.

დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. რის დასტურადაც წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნები და ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება ინახება პროგრამების სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება. რეგულაციებში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიუირებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი”;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების რეკვიზიტები: N992693, 18.08.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	--
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება
--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, რომლის მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტით საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.

კოლეჯის მისიის მიხედვით დაწესებულება მრავალპროფილურია და მიზნად ისახავს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** შეესაბამება დაწესებულების მისიას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით დაწესებულებას შესწავლილი აქვს ქ. თბილისსა და რეგიონებში, გაანალიზებული აქვს ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები, შესწავლილი აქვს შრომის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები კონკრეტული პროფესიის ჭრილში, გაანალიზებული აქვს დასაქმების პლატფორმები, წარმოდგენილი აქვს ანალოგიური ან მომიჯნავე (სხვა დასახელებით არსებული პროგრამების ფარგლებში) კურსდამთავრებულებისა და მათი დასაქმების სტატისტიკა, მათ შორის წარმოდგენილია პროფესიით დასაქმებულთა მაჩვენებლები, მონაცემების ანალიზის შედეგად შესწავლილი აქვს რომელი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრებია დეფიციტურია ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს კოლეჯი), რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის, წარმოდგენილი აქვს კონკურენტი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლის შედეგები, გაანალიზებული აქვს საკუთარი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), მოპოვებული აქვს სახელმწიფოს მიერ თანხმობა, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება.

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებულია „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები **საბაზო** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები.

დაწესებულების მიერ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის“. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“**, 2 ცვლაში 80 პროფესიული სტუდენტის მიღებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** განსაზღვრული აღჭურვილობა ემთხვევა საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ფარავს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგებს, ამრიგად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისაღებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** ითვალისწინებს 4 ზოგად მოდულს, ჯამური 9 კრედიტის მოცულობით და 8 პროფესიულ მოდულს ჯამური 46 კრედიტის მოცულობით. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 55 კრედიტის დაგროვება. პროგრამის ხანგრძლივობა 12 სასწავლო თვე, ანუ 47 სასწავლო კვირა.

მოდულის ,,ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 70 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 15 სასწავლო თვე, ანუ 59 სასწავლო კვირა.
მოდულის/სწავლის შედეგის დისტანციურად განხორციელების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესის ადმინისტრირებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ
დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 18 აგვისტოს წლის N992693 ბრძანებით, ხოლო ცვლილებები განხორციელებულია 2025 წლის 01 ოქტომბრის MES 1 25 0001264727 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** თანხვედრაშია **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

არეგულირებენ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ორგანიზებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები.

დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მოპოვებული აქვს თანხმობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** განხორციელების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“;
2. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“; 3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“**;
6. კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ;
7. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
8. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები;
9. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
10. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
11. დაწესებულების ვებგვერდი - www.profgldani.edu.ge.

შეფასება:
- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B, C გარემოებები, მათ შორის:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** განხორციელებისათვის საჭირო დარგობრივი აუდიტორიები -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

- აუდიტორია 15 – B/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 9 - B/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** განხორციელებისათვის საჭირო ზოგადი მოდულების აუდიტორიები, რომლებიც საერთოა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის -

- აუდიტორია 1 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 4 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 6 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 7 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 8 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 11 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 24 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის.

სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 80 პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** პროგრამისთვის შერჩეულია 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი ჰყავს და აქვს მსგავსი გამოცდილება. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალიტი, რომელიც შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე ჩართულია სასწავლო პროცესში.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს და უწევს მისთვის საჭირო სერვისს, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური და ფაქტობრივი ბიუჯეტების ანალიზს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“**და მისი დანართები;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით“ დაწესებულების პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. კოლეჯში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ამოცანაა ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მუშაობის ხელშეწყობა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ამოცანაა მოიპოვოს ინფორმაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: პროგრამები - სასწავლო, კალენდარული და თემატური გეგმები, ბ) სტუდენტები - შეფასების კომპონენტები; კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, დასაქმების მაჩვენებელი, საგანმანათლებლო რესურსების ადეკვატურობა, ხელმისაწვდომობა, განახლება, მონიტორინგი; მატერიალური რესურსი - სასწავლო გარემო, აღჭურვილობის საკმარისობა და შესაბამისობა. დაწესებულებას ჰყავს სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, რომელიც: უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით ახორციელებს სალექციო საათების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას; ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შევსება/წარმოების სისწორეს და გასცემს შესაბამის მითითებებს; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სალექციო საათებზე დასწრების კონტროლს და რეესტრის წარმოების სპეციალისტთან კოორდინირებით განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების გაცდენების მონიტორინგს; მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში; ამზადებს საბოლოო/განმეორებითი სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ სამსახურებრივ ბარათს; ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ელექტრონული და მატერიალური აღრიცხვის ჟურნალების წარმოების მონიტორინგსა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოცხადებაზე კონტროლს (საპატიო და არასაპატიო საათები) შემდგომი რეაგირების მიზნით; უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების სისტემისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში; სწავლის დაწყების მომენტიდან, კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას; შეფასების მიზნებისათვის ახორციელებს მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების კონტროლს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო საწარმოსთან/საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განმახორციელებელ ობიექტთან მემორანდუმის/ხელშეკრულების დადებამდე, პრაქტიკის ობიექტზე ამოწმებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას; მონაწილეობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფში და ამზადებს შესაბამის ანგარიშს; მონაწილეობას იღებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების პროცენტული მაჩვენებელი) განხილვა/გაანალიზებაში; მონაწილეობს იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ავტორიზაციის თვითშეფასების განაცხადის შევსებასა და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში; მონაწილეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების/ჯგუფების სხდომებში.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყრდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** და მისი დანართები;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები;
6. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
7. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენენ სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფენ მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და სპეციალისტი პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა“ და დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით“ განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

კოლეჯს აქვს სსსმ და შშმ პირთა სწავლების პრაქტიკა, კანონმდებლობისა და სსსმ და შშმ პირთა უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** განხორციელების მიზნებისათვის არ საჭიროებს პრაქტიკის ობიექტს. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“** განხორციელებისთვის არ საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. დაწესებულების აუდიტორიებში დასაცავი სტანდარტული უსაფრთხოების წესები გამოკრულია პროფესიულ სტუდენტთა თვალსაჩინო ადგილას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“;**
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით. მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“ ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხებს.

დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. რის დასტურადაც წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნები და ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით
დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება ინახება პროგრამების სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება. რეგულაციებში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიუირებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი”;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში; Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების ბრძანება: N992687, 18.08.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	--
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც	20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

V. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება
--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტით საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.

კოლეჯის მისიის მიხედვით დაწესებულება მრავალპროფილურია და მიზნად ისახავს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** შეესაბამება დაწესებულების მისიას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით დაწესებულებას შესწავლილი აქვს ქ. თბილისსა და რეგიონებში, გაანალიზებული აქვს ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები, შესწავლილი აქვს შრომის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები კონკრეტული პროფესიის ჭრილში, გაანალიზებული აქვს დასაქმების პლატფორმები, წარმოდგენილი აქვს ანალოგიური ან მომიჯნავე (სხვა დასახელებით არსებული პროგრამების ფარგლებში) კურსდამთავრებულებისა და მათი დასაქმების სტატისტიკა, მათ შორის წარმოდგენილია პროფესიით დასაქმებულთა მაჩვენებლები, მონაცემების ანალიზის შედეგად შესწავლილი აქვს რომელი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრებია დეფიციტურია ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს კოლეჯი), რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის, წარმოდგენილი აქვს კონკურენტი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლის შედეგები, გაანალიზებული აქვს საკუთარი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), მოპოვებული აქვს სახელმწიფოს მიერ თანხმობა, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. საბაზო განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებულია „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები **საშუალო** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები.

დაწესებულების მიერ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის“. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“**, 2 ცვლაში 40 პროფესიული სტუდენტის, მათ შორის 20 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლების მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განსაზღვრული აღჭურვილობა შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ფარავს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგებს, ამრიგად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** მოცულობაა:
ა) “კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შემთხვევაში, აერთიანებს ექვს ინტეგრირებულ ზოგად მოდულს ჯამური 30 კრედიტის რაოდენობით და 17 პროფესიულ მოდულს ჯამური 87 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 117 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 20 სასწავლო თვეს ანუ 80 სასწავლო კვირას.
მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 147 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 26 სასწავლო თვე, ანუ 104 სასწავლო კვირა.
ბ) “კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე აერთიანებს 17 პროფესიულ მოდულს ჯამური 87 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 87 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა 17 სასწავლო თვე, ანუ 67 სასწავლო კვირა.
მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 117 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 23 სასწავლო თვე, ანუ 91 სასწავლო კვირა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 18 ავისტოს N992687 ბრძანებით, ხოლო ცვლილება შესულია: 15.10.2025 წ. MES 7 25 0001349350 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** თანხვედრაშია **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, ინტეგრირებული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, რომლებიც არეგულირებენ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ორგანიზებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები.

დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტოსგან მოპოვებული აქვს თანხმობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“; 3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;**
6. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები;
7. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
8. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
9. დაწესებულების ვებგვერდი - www.profgldani.edu.ge.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი/ინტეგრირებული მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B, C გარემოებები, მათ შორის:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელებისათვის საჭირო დარგობრივი აუდიტორიები -

- აუდიტორია 13 - B/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 17 - ინტეგრირებული მოდულების განხორციელების ლაბორატორია - C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტი;
- კოლეჯის მე-3 საგამოფენო სივრცე
- კოლეჯის სამხატვრო სივრცე
- კოლეჯის სპორტული სივრცე
- კოლეჯის გარე ლოკაცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელებისათვის საჭირო ზოგადი მოდულების აუდიტორიები, რომლებიც საერთოა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის -

- აუდიტორია 1 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 4 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 6 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 7 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- აუდიტორია 8 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 11 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 21 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 24 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;

დაწესებულების სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 20 პროფესიულ სტუდენტს ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინტეგრირებული მოდულების განხორციელებაში - 23, ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** პროგრამისთვის შერჩეულია 35 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი ჰყავს სხვა პროგრამაზე და აქვს მსგავსი გამოცდილება. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე ჩართულია სასწავლო პროცესში.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს და უწევს მისთვის საჭირო სერვისს, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, ორივე ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებისთვის, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური და ფაქტობრივი ბიუჯეტების ანალიზს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“**და მისი დანართები;
2. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
4. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
6. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
7. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით“ დაწესებულების პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. კოლეჯში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ამოცანაა ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მუშაობის ხელშეწყობა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ამოცანაა მოიპოვოს ინფორმაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: პროგრამები -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სასწავლო, კალენდარული და თემატური გეგმები, ბ) სტუდენტები - შეფასების კომპონენტები; კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, დასაქმების მაჩვენებელი, საგანმანათლებლო რესურსების ადეკვატურობა, ხელმისაწვდომობა, განახლება, მონიტორინგი; მატერიალური რესურსი - სასწავლო გარემო, აღჭურვილობის საკმარისობა და შესაბამისობა. დაწესებულებას ჰყავს სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, რომელიც: უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით ახორციელებს სალექციო საათების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას; ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შევსება/წარმოების სისწორეს და გასცემს შესაბამის მითითებებს; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სალექციო საათებზე დასწრების კონტროლს და რეესტრის წარმოების სპეციალისტთან კოორდინირებით განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების გაცდენების მონიტორინგს; მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში; ამზადებს საბოლოო/განმეორებითი სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ სამსახურებრივ ბარათს; ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ელექტრონული და მატერიალური აღრიცხვის ჟურნალების წარმოების მონიტორინგსა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოცხადებაზე კონტროლს (საპატიო და არასაპატიო საათები) შემდგომი რეაგირების მიზნით; უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების სისტემისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში; სწავლის დაწყების მომენტიდან, კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას; შეფასების მიზნებისათვის ახორციელებს მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების კონტროლს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო საწარმოსთან/საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განმახორციელებელ ობიექტთან მემორანდუმის/ხელშეკრულების დადებამდე, პრაქტიკის ობიექტზე ამოწმებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას; მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფში და ამზადებს შესაბამის ანგარიშს; მონაწილეობას იღებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების პროცენტული მაჩვენებელი) განხილვა/გაანალიზებაში; მონაწილეობს იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ავტორიზაციის თვითშეფასების განაცხადის შევსებასა და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში; მონაწილეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების/ჯგუფების სხდომებში.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ სხვა პროგრამის ფარგლებში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყრდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ სხვა პროგრამის ფარგლებში წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** და მისი დანართები;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები;
6. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
7. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენენ სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფენ მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

მოცემულ პროგრამაზე დაწესებულებას ჯერ პროფესიული სტუდენტების არ ჰყავს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და სპეციალისტი პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა“ და დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით“ განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

კოლეჯს აქვს სსსმ და შშმ პირთა სწავლების პრაქტიკა, კანონმდებლობისა და სსსმ და შშმ პირთა უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელება დაწესებულების ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 20 პროფესიულ სტუდენტს ინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** განხორციელებისთვის საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. დაწესებულების აუდიტორიებში დასაცავი სტანდარტული უსაფრთხოების წესები გამოკრულია პროფესიულ სტუდენტთა თვალსაჩინო ადგილას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;**
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით. მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“ ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხებს.

დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში 5 წლის ვადით. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება ინახება პროგრამების სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო ინტეგრირებული მოდულების შემთხვევაში 5 წლის ვადით, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება. რეგულაციებში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიუირებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი”;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში; Secondary Vocational Qualification in Fashion technology and design
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების რეკვიზიტები: N995825, 18.08.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება
--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტით საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.

კოლეჯის მისიის მიხედვით დაწესებულება მრავალპროფილურია და მიზნად ისახავს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** შეესაბამება დაწესებულების მისიას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით დაწესებულებას შესწავლილი აქვს ქ. თბილისსა და რეგიონებში, გაანალიზებული აქვს ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები, შესწავლილი აქვს შრომის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები კონკრეტული პროფესიის ჭრილში, გაანალიზებული აქვს დასაქმების პლატფორმები, წარმოდგენილი აქვს ანალოგიური ან მომიჯნავე (სხვა დასახელებით არსებული პროგრამების ფარგლებში) კურსდამთავრებულებისა და მათი დასაქმების სტატისტიკა, მათ შორის წარმოდგენილია პროფესიით დასაქმებულთა მაჩვენებლები, მონაცემების ანალიზის შედეგად შესწავლილი აქვს რომელი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრებია დეფიციტურია ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს კოლეჯი), რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის, წარმოდგენილი აქვს კონკურენტი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლის შედეგები, გაანალიზებული აქვს საკუთარი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), მოპოვებული აქვს სახელმწიფოს მიერ თანხმობა, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებულია „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტრაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები **საშუალო** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები.

დაწესებულების მიერ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის“. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“**, 2 ცვლაში 40 პროფესიული სტუდენტის მიღებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** განსაზღვრული აღჭურვილობა შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ფარავს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგებს, ამრიგად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** ითვალისწინებს 11 პროფესიულ (მათ შორის ერთ არჩევით) მოდულს ჯამური 83 კრედიტისა და 2 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა 90 კრედიტის დაგროვება. პროგრამის ხანგრძლივობა 19 სასწავლო თვე, ანუ 77 სასწავლო კვირა.
მოდულის ,,ქართული ენა A2“ და “ქართული ენა B1” გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, იქნება 120 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - 25 სასწავლო თვე, ანუ 101 სასწავლო კვირა. პროგრამა ითვალისწინებს 1 არჩევით მოდულს - ქართული ეროვნული სამოსის გამოჭრა და ტექნოლოგიური დამუშავება, რომელიც დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ
დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 18 აგვისტოს N995825 ბრძანებით, ხოლო ცვლილებები განხორციელებულია 2025 წლის 15 ოქტომბრის MES 0 25 0001349344 ბრძანებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** თანხვედრაშია **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, რომლებიც არეგულირებენ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ორგანიზებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები.

დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტოსგან მოპოვებული აქვს თანხმობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** განხორციელების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“;
2. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“; 3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“**;
6. კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ;
7. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
8. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები;
9. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
10. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
11. დაწესებულების ვებგვერდი - www.profgldani.edu.ge.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, რომლის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია დარგობრივი ორგანიზაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პარტნიორი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B, C სასწავლო გარემოები, მათ შორის:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** განხორციელებისათვის საჭირო დარგობრივი აუდიტორიები -

- აუდიტორია 23 - C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 24 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 25 - A/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- კოლეჯის სამხატვრო სივრცე - C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** განხორციელებისათვის საჭირო ზოგადი მოდულების აუდიტორიები, რომლებიც საერთოა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის -

- აუდიტორია 1 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 4 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 6 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 8 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 11 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 21 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულება მემორანდუმის საფუძველზე, თანამშრომლობს:

- შპს „ავთანდილ ცქვიტინიძე“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 01.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 10 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ლემასი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 26.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „მატერიელ თბილისი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 02.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 10 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- შპს „პრემიერა TM“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 26.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 20 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ჟაკეტი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 01.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ჯეო-ემ-ტექს“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 04.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 20 პროფესიული სტუდენტი.

პრაქტიკის ობიექტები იღებენ პასუხისმგებლობას:

- პრაქტიკის გავლის ხელშეწყობასა და სტუდენტთა სწავლების პროცესზე დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლის დასწრების უზრუნველყოფაზე;
- სტუდენტების უზრუნველყოფაზე აუცილებელი გარემოთი, უსაფრთხო პირობებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ეს მზაობა დადასტურდა ექსპერტთა ვიზიტისას გასაუბრების შედეგად.

ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გადამოწმდა დაწესებულებათა მზაობა და შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტთა მიღების მიზნებისათვის.

სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიებისა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** პროგრამისთვის შერჩეულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით. ელექტრონული რესურსები, რომლებიც მოიცავს სახელმძღვანელოებს, რიდერებს, ვიდეო გაკვეთილებსა და შესაბამის ბმულებს, ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში განთავსებულ კომპიუტერებზე (როგორც უშუალოდ კომპიუტერში ატვირთული, ასევე CD დისკების სახით) და ასევე, ჩაწერილია სტუდენტების პირად კომპიუტერებში. ბიბლიოთეკის ვიზუალური შემოწმება, მასწავლებლებთან და ბიბლიოთეკართან ინტერვიურება ადასტურებს, რომ რესურსები არა მხოლოდ ფიზიკურად არსებობს, არამედ ეფექტურად არის ინტეგრირებული და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი ჰყავს და აქვს მსგავსი გამოცდილება. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე ჩართულია სასწავლო პროცესში.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს და უწევს მისთვის საჭირო სერვისს, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური და ფაქტობრივი ბიუჯეტების ანალიზს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** და მისი დანართები;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით“ დაწესებულების პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას. ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. კოლეჯში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ამოცანაა ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მუშაობის ხელშეწყობა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ამოცანაა მოიპოვოს ინფორმაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: პროგრამები - სასწავლო, კალენდარული და თემატური გეგმები, ბ) სტუდენტები - შეფასების კომპონენტები; კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, დასაქმების მაჩვენებელი, საგანმანათლებლო რესურსების ადეკვატურობა, ხელმისაწვდომობა, განახლება, მონიტორინგი; მატერიალური რესურსი - სასწავლო გარემო, აღჭურვილობის საკმარისობა და შესაბამისობა. დაწესებულებას ჰყავს სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, რომელიც: უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით ახორციელებს სალექციო საათების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას; ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შევსება/წარმოების სისწორეს და გასცემს შესაბამის მითითებებს; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სალექციო საათებზე დასწრების კონტროლს და რეესტრის წარმოების სპეციალისტთან კოორდინირებით განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების გაცდენების მონიტორინგს; მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში; ამზადებს საბოლოო/განმეორებითი სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ სამსახურებრივ ბარათს; ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ელექტრონული და მატერიალური აღრიცხვის ჟურნალების წარმოების მონიტორინგსა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოცხადებაზე კონტროლს (საპატიო და არასაპატიო საათები) შემდგომი რეაგირების მიზნით; უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების სისტემისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში; სწავლის დაწყების მომენტიდან, კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას; შეფასების მიზნებისათვის ახორციელებს მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების კონტროლს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო საწარმოსთან/საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განმახორციელებელ ობიექტთან მემორანდუმის/ხელშეკრულების დადებამდე, პრაქტიკის ობიექტზე ამოწმებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას; მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფში და ამზადებს შესაბამის ანგარიშს; მონაწილეობას იღებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების პროცენტული მაჩვენებელი) განხილვა/გაანალიზებაში; მონაწილეობს იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ავტორიზაციის თვითშეფასების განაცხადის შევსებასა და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში; მონაწილეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების/ჯგუფების სხდომებში.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყრდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** და მისი დანართები;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები;
6. დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები;
7. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმენათთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენენ სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფენ მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და სპეციალისტი პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა“ და დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით“ განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

კოლეჯს აქვს სსსმ და შშმ პირთა სწავლების პრაქტიკა, კანონმდებლობისა და სსსმ და შშმ პირთა უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულება მემორანდუმის საფუძველზე, თანამშრომლობს:

- შპს „ავთანდილ ცქვიტინიძე“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 01.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 10 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- შპს „ლემასი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 26.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „მატერიელ თბილისი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 02.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 10 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „პრემიერა TM“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 26.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 20 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ჟაკეტი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 01.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 5 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ჯეო-ემ-ტექს“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 04.07.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 20 პროფესიული სტუდენტი.

გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები უვადოა და მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაღრმავებას, რაც უზრუნველყოფს მათთვის რეალურ სამუშაო გარემოში გამოცდილების მიღების შესაძლებლობას.
პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებული შეთანხმებები სრულად ფარავს დაწესებულების მიერ მოთხოვნილ კვოტას და ჯამურად შესაძლებელს ხდის 70 სტუდენტის მიღებას (პროგრამით გათვალისწინებული ზღვრული რაოდენობის - 40 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით).
პრაქტიკის ობიექტები იღებენ პასუხისმგებლობას:

- პრაქტიკის გავლის ხელშეწყობასა და სტუდენტთა სწავლების პროცესზე დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებლის დასწრების უზრუნველყოფაზე;
- სტუდენტების უზრუნველყოფაზე აუცილებელი გარემოთი, უსაფრთხო პირობებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით. ეს მზაობა დადასტურდა ექსპერტთა ვიზიტისას გასაუბრების შედეგად.

მემორანდუმები ასევე განსაზღვრავს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად იქნება უზრუნველყოფილი დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსებით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულად იქნება უზრუნველყოფილი დაწესებულების, სასწავლო საწარმოსა და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსებით და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (40 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გადამოწმდა დაწესებულებათა მზაობა და შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტთა მიღების მიზნებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“** განხორციელებისთვის საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. დაწესებულების აუდიტორიებში დასაცავი სტანდარტული უსაფრთხოების წესები გამოკრულია პროფესიულ სტუდენტთა თვალსაჩინო ადგილას, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილზე პროფესიულ სტუდენტებს უტარდება ინსტრუქტაჟი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“;**
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით. მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“ ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხებს.

დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. რის დასტურადაც წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნები და ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით, დოკუმენტაციის სახის მტკიცებულება ინახება პროგრამების სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება. რეგულაციებში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიუირებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი”;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საფინანსო სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცების ბრძანება: N42, 11.05.2018
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

VI. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება
--

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, რომლის მიხედვით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შექმნა და შემუშავება ხორციელდება სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც ახდენს საგანმანათლებლო სტანდარტით საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებას.

კოლეჯის მისიის მიხედვით დაწესებულება მრავალპროფილურია და მიზნად ისახავს სხვადასხვა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯის გადაწყვეტილება განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საფინანსო სერვისები“** შეესაბამება დაწესებულების მისიას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების მიზნით დაწესებულებას შესწავლილი აქვს ქ. თბილისსა და რეგიონებში, გაანალიზებული აქვს ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები, შესწავლილი აქვს შრომის საერთაშორისო ბაზრის მოთხოვნები კონკრეტული პროფესიის ჭრილში, გაანალიზებული აქვს დასაქმების პლატფორმები, წარმოდგენილი აქვს ანალოგიური ან მომიჯნავე (სხვა დასახელებით არსებული პროგრამების ფარგლებში) კურსდამთავრებულებისა და მათი დასაქმების სტატისტიკა, მათ შორის წარმოდგენილია პროფესიით დასაქმებულთა მაჩვენებლები, მონაცემების ანალიზის შედეგად შესწავლილი აქვს რომელი უნარების (რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროგრამა) მქონე კვალიფიციური კადრებია დეფიციტურია ქვეყნის/კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შრომის ბაზარზე (სადაც ოპერირებს კოლეჯი), რომელიც საჭიროა ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის, წარმოდგენილი აქვს კონკურენტი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესწავლის შედეგები, გაანალიზებული აქვს საკუთარი რესურსები (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური), მოპოვებული აქვს სახელმწიფოს მიერ თანხმობა, მოცემული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის.

კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები ითვალისწინებს კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - **„საფინანსო სერვისები“** დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება და არანაკლებ 17 წელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებულია „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წინაპირობები, ჩარიცხვის ეტაპები, აპლიკანტთა რეგისტაციის პირობები, აპლიკანტთა შერჩევის პროცედურები **საბაზო** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კოლეჯში ჩარიცხვის მიდგომები, აპელაციის წესი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის პროცედურა და შესაბამისი კომისიის შექმნისა და მუშაობის პრინციპები, ზემოაღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობებით“ განსაზღვრულ დებულებებთან.

ზემოაღნიშნული დებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, წარმოდგენილია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები.

დაწესებულების მიერ ყველა საჭირო ინფორმაცია ასახულია პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც არეგულირებს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრის მექანიზმებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლების მიზნებისათვის“. კოლეჯის მიერ ზღვრული ადგილების რაოდენობის დასაბუთების რეგულაცია ითვალისწინებს A, B, C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ აღჭურვილობას, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტების გამტარუნარიანობას, პერსონალის რაოდენობას.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას აქვს შესაბამისი რესურსი სრულფასოვნად განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საფინანსო სერვისები“**, 2 ცვლაში 40 პროფესიული სტუდენტის მიღებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„საფინანსო სერვისები“** განსაზღვრული აღჭურვილობა შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი დანართებით გათვალისწინებულ სარეკომენდაციო ჩანაწერებს. პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ფარავს მოდულის შესაბამის სწავლის შედეგებს, ამრიგად, პროგრამის განსახორციელებლად დაგეგმილი მატერიალური და სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** პროგრამის მოცულობაა 52 კრედიტი და მოიცავს 6 ზოგად მოდულს - ჯამური 17 კრედიტის მოცულობით და 13 პროფესიულ მოდულს 35 კრედიტის მოცულობით, სწავლის ხანგრძლივობა: 10.5 სასწავლო თვე (42 კვირა).
მოდულის ,,ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.“ პროგრამის მოცულობა, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, ქართული ენა A2 მოდულით - 67 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 13.5 სასწავლო თვე (54 კვირა). პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ
დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ მიხედვით. კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებასა და ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის დირექტორი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საფინანსო სერვისები“** დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 11 მაისის N42 ბრძანებით, ხოლო ცვლილებები განხორციელებულია 2025 წლის 18 აგვისტოს N 995821 და 2025 წლის 01 ოქტომბრის MES 2 25 0001349364 ბრძანებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კოლეჯის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„საფინანსო სერვისები“** თანხვედრაშია **„საფინანსო სერვისები“** საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ კვალიფიკაციასთან, შესაბამისად ასრულებს იდენტიფიკატორის როლს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** ძირითადი დოკუმენტით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგების მიღწევების დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის. პროგრამას დანართების სახით ახლავს: სავალდებულო ზოგადი მოდულები, სავალდებულო პროფესიული მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია მატერიალური რესურსისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების შესახებ, ხოლო სწავლების მეთოდოლოგია და შეფასების მიმართულებები მოცემულია შესაბამის მოდულებში. სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა არ აღემატება შრომის კოდექსით დასაშვებ კვირეულ დატვირთვას.

პროგრამა ითვალისწინებს მოდულების - ქართული ენა A2 და B1 სავალდებულოდ გავლას მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ასევე დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“, რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

არეგულირებენ პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ორგანიზებისა და კვალიფიკაციის მინიჭების საკითხებს. შიდა მარეგულირებელი აქტით განსაზღვრულია შეფასების შედეგების აპელაციის პროცედურა და განმეორებითი შეფასების ორგანიზების თავისებურებები, გამოცდის მტკიცებულებების სახეები.

დაწესებულებას კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მოპოვებული აქვს თანხმობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** განხორციელების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“;
2. დაწესებულების დირექტორის 2021 წლის 08 ივლისის N75 ბრძნებით დამტკიცებული „პროფესიული სტატუსის მოპოვების პროცედურები“; 3. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
4. დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 02 მაისის N34 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საფინანსო სერვისები“**;
6. კოლეჯის დირექტორის ბრძანება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ;
7. პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები;
8. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები;
9. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
10. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
11. დაწესებულების ვებგვერდი - www.profgldani.edu.ge.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საფინანსო სერვისები“** ხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, რომლის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართულია დარგობრივი ორგანიზაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საფინანსო სერვისები“** განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი. ვიზუალური დათვალიერებისას, დასტურდება რომ პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი მოდულებისა და პროფესიული მოდულების სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების და პარტნიორი დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B, C სასწავლო გარემოები, მათ შორის:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საფინანსო სერვისები“** განხორციელებისათვის საჭირო დარგობრივი აუდიტორიები -

- აუდიტორია 18 - B/C სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საფინანსო სერვისები“** განხორციელებისათვის საჭირო ზოგადი მოდულების აუდიტორიები, რომლებიც საერთოა სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ზოგადი მოდულების განხორციელებისთვის -

- აუდიტორია 1 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 4 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 6 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 7 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 8 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 11 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 21 - B სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის;
- აუდიტორია 24 - A სასწავლო გარემო, 20 პროფესიული სტუდენტისთვის.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულება მემორანდუმის საფუძველზე, თანამშრომლობს:

- სს „გუდვილი“ მემორანდუმის გაფორმების თარიღი 26.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 40 პროფესიული სტუდენტი;
- სს „ლიბერთი ბანკი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 30.06.2025, მოქმედების ვადა - 3 წელი; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 40 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გადამოწმდა დაწესებულებათა მზაობა და შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტთა მიღების მიზნებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიებისა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით - **„საფინანსო სერვისები“** განსაზღვრული ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 21 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ჯამში **„საფინანსო სერვისები“** პროგრამისთვის შერჩეულია 27 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ ცდება საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** განხორციელებაში ჩართულ პერსონალს დარგობრივი კომპეტენცია უდასტურდება პროფესიული კვალიფიკაციით და სამუშაო გამოცდილებით. პერსონალს სასწავლო პროცესის დაწყებისას გავლილი აქვს ტრენინგები ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის, კალენდარული გეგმის შემუშავების და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხებზე.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ კომპეტენცია, როგორც პროფესიული, ისე სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას - **„საფინანსო სერვისები“** ჰყავს დაწესებულების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს როგორც სწავლების, ასევე დარგში მუშაობის გამოცდილება. ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელებთან. პროგრამის ხელმძღვანელი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს და ფლობს ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებების შესახებ, რაც დადგინდა პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ორივე ლოკაციაზე, რომლებიც ჩართულნი არიან პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში **„საფინანსო სერვისები“** მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია, როგორც ელექტრონული, ისე დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის და სასწავლო პროცესის მენეჯერის მოვალეობას, შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით.

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი ჰყავს და აქვს მსგავსი გამოცდილება. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელიც შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე ჩართულია სასწავლო პროცესში.

კოლეჯის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა ემსახურება სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებს და უწევს მისთვის საჭირო სერვისს, მათ შორის: გაზრდილი შრიფტით სასწავლო მასალის ამობეჭდვა, ადაპტირებული სასწავლო მასალის შექმნის ორგანიზება და სხვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. დაწესებულება ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური და ფაქტობრივი ბიუჯეტების ანალიზს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საფინანსო სერვისები“** და მისი დანართები;
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელთა პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“, დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმებით“ დაწესებულების პროცესები გაწერილია PDCA პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე პროცესების შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ძირითადი პროცესი კოლეჯში არის სასწავლო პროცესი. კოლეჯში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ამოცანაა ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად კოლეჯის ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მუშაობის ხელშეწყობა. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ამოცანაა მოიპოვოს ინფორმაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: პროგრამები - სასწავლო, კალენდარული და თემატური გეგმები, ბ) სტუდენტები - შეფასების კომპონენტები; კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია, დასაქმების მაჩვენებელი, საგანმანათლებლო რესურსების ადეკვატურობა, ხელმისაწვდომობა, განახლება, მონიტორინგი; მატერიალური რესურსი - სასწავლო გარემო, აღჭურვილობის საკმარისობა და შესაბამისობა. დაწესებულებას ჰყავს სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი, რომელიც: უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, როგორც კოლეჯის ბაზაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით ახორციელებს სალექციო საათების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას; ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შევსება/წარმოების სისწორეს და გასცემს შესაბამის მითითებებს; უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სალექციო საათებზე დასწრების კონტროლს და რეესტრის წარმოების სპეციალისტთან კოორდინირებით განსაზღვრავს პროფესიულ სტუდენტთა მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკონტაქტო საათების გაცდენების მონიტორინგს; მონაწილეობს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის პროცესში; ამზადებს საბოლოო/განმეორებითი სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ სამსახურებრივ ბარათს; ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა დასწრების ელექტრონული და მატერიალური აღრიცხვის ჟურნალების წარმოების მონიტორინგსა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოცხადებაზე კონტროლს (საპატიო და არასაპატიო საათები) შემდგომი რეაგირების მიზნით; უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ინფორმირებას შეფასების სისტემისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ; სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით მონაწილეობას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებაში; სწავლის დაწყების მომენტიდან, კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას; შეფასების მიზნებისათვის ახორციელებს მხოლოდ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების კონტროლს; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას სასწავლო საწარმოსთან/საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის განმახორციელებელ ობიექტთან მემორანდუმის/ხელშეკრულების დადებამდე, პრაქტიკის ობიექტზე ამოწმებს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას; მონაწილეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მონიტორინგის ჯგუფში და ამზადებს შესაბამის ანგარიშს; მონაწილეობას იღებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სტატისტიკური მონაცემების (სწავლის შედეგის დადასტურების/ვერ დადასტურების პროცენტული მაჩვენებელი) განხილვა/გაანალიზებაში; მონაწილეობს იღებს კოლეჯის მისიის, სტრატეგიული და წლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების, ავტორიზაციის თვითშეფასების განაცხადის შევსებასა და მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ანგარიშგების პროცესში; მონაწილეობს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების/ჯგუფების სხდომებში.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგები, რომელიც ეყრდნობა პროფესიული მასწავლებლების, ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს, წარმოადგენს პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირების საფუძველს. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ფარგლებში წინასწარ განსაზღვრული ფორმის მეშვეობით ხორციელდება პერსონალის სწავლების შეფასება ლექციებზე დასწრების საშუალებით, რაც ემსახურება სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. მონიტორინგის მაჩვენებლების გამოყენებით ხორციელდება პროგრამის ეფექტიანობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის მოდიფიცირება და განვითარება.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში გაწერილია კვლევის მეთოდები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის სამიზნე ჯგუფები, შედეგების ანალიზის შემუშავებისა და განხილვის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას გააჩნია პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში განახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“;
2. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
3. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“;
4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საფინანსო სერვისები“** და მისი დანართები;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მტკიცებულებები, პროფესიულ სტუდენტთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილებისა და საჭიროებების კვლევის შედეგები, პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის ხელმძღვანელთა მიერ პროგრამის პერიოდულად შეფასების შედეგები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანალიზის დოკუმენტები;
6. დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები;
7. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **„საფინანსო სერვისები“** ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. პროგრამის მოდულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლოგიკურად. სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი და სასწავლო პროცესის სპეციალისტი, რომლებიც პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ადგენენ სასწავლო ცხრილს, უზრუნველყოფენ მის გამართულად ფუნქციონირებას და წარმართვას. შიდა მხარდაჭერის ჯგუფი და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს. სასწავლო განრიგი პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯში და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს, დაისვა კითხვები მიმდინარე პერიოდში დაგეგმილი მოდულების შესახებ. პროფესიული სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** სასწავლო გეგმით განაწილებული მოდულების თანმიმდევრობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების, ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების შედეგების შეფასებით დაწესებულება სასწავლო პროცესის ორგანიზებისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებს და მოქნილად ახორციელებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერი და სპეციალისტი პროგრამის ხელმძღვანელებთან და სხვა ჩართულ პირებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერას, პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ნებისმიერი საჭიროების შესახებ ადმინისტრაციას მიმართონ და მათგან უკუკავშირსაც მყისიერად იღებენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს დაწესებულების მაქსიმალური მხარდაჭერა მათი საჭიროების შესაბამისად, ასევე აღნიშნეს, რომ თუ რაიმე საჭიროება დგება კოლეჯი მყისიერად რეაგირებს და ხელს უწყობს მათ სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** ფარგლებში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. ამისათვის პროგრამის მოდულებში მითითებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, არსებობს შესაბამისი დარგის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასწავლო გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებისას გაანალიზებული იქნა სტანდარტით შემოთავაზებული მეთოდები, მასწავლებელთა მიღებული გამოცდილება და მათი რეკომენდაციით განხორციელდა მოდულთა ადაპტირება სწავლებისა და შეფასების ნაწილში. პროფესიული განათლების მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებზე და ასევე, აფიქსირებენ მზაობას სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესითა“ და დაწესებულების დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის №58 ბრძანებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესით“ განსაზღვრულია სწავლის შედეგების მიღწევისას პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საკითხები. კერძოდ, სწავლის შედეგების მიღწევის მიზნებისათვის რეგულაცია ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას როგორც სსსმ და შშმ პირთათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯს აქვს სსსმ და შშმ პირთა სწავლების პრაქტიკა, კანონმდებლობისა და სსსმ და შშმ პირთა უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **„საფინანსო სერვისები“** პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულება მემორანდუმის საფუძველზე, თანამშრომლობს:

- სს „გუდვილი“ მემორანდუმის გაფორმების თარიღი 26.06.2025, მოქმედების ვადა - უვადო; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 40 პროფესიული სტუდენტი;
- სს „ლიბერთი ბანკი“, მემორანდუმის გაფორმების თარიღი 30.06.2025, მოქმედების ვადა - 3 წელი; პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელსაც დაწესებულება მიიღებს 40 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა ორგანიზაციების წარმომადგენლებს და გადამოწმდა დაწესებულებათა მზაობა და შესაძლებლობა პროფესიულ სტუდენტთა მიღების მიზნებისათვის.

სასწავლო გარემოები აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკითა (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები) და ყველა საჭირო რესურსით. აუდიტორიებისა და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების რაოდენობისა და გამტარუნარიანობის გათვალისწინებით, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა ორ ცვლაში მიიღოს 40 პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საფინანსო სერვისები“** განხორციელებისთვის საჭიროებს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს. დაწესებულების აუდიტორიებში დასაცავი სტანდარტული უსაფრთხოების წესები გამოკრულია პროფესიულ სტუდენტთა თვალსაჩინო ადგილას, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ადგილზე პროფესიულ სტუდენტებს უტარდება ინსტრუქტაჟი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **„საფინანსო სერვისები“;**
2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
3. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიურების შედეგები;
4. დაწესებულების მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტები;
5. დაწესებულების მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
6. დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასებას, სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების, განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციის და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესების შესახებ. წესი არეგულირებს, ასევე, შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაციის შენახვასა და განკარგვას, ასევე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესს.

კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელ შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ(ებ)ის თემატიკაზე დაყრდნობით. მოდულის განხორციელების დაწყებამდე პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს მოდულის შესაბამისი განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს და ხდება წარდგენილი შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური/ფორმალური შემოწმება. სასწავლო პროცესის მენეჯერი, თავის მხრივ უზრუნველყოფს ინსტრუმენტის ვალიდაციას, ვალიდაციის პროცესში ჩართულები არიან დარგის სპეციალისტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი” და დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 22 ოქტომბრის N177 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმები“ ითვალისწინებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის საკითხებს.

დაწესებულება კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნათა დაცვით ახორციელებს პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. რის დასტურადაც წარმოდგენილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნები და ანგარიშები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით
დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. კერძოდ: დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით, დოკუმენტაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სახის მტკიცებულება ინახება პროგრამების სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროგრამის დასრულებამდე, დასრულების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს და ინახება პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს არსებული შეფასების უწყისები, მტკიცებულებები. გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს და დადასტურებულია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ და დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის” მიხედვით გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების გამოყენება. რეგულაციებში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება მათ შეფასებასთან დაკავშირებით, ასევე, შედეგების საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებლებისაგან დამატებითი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა.

ინტერვიუირებით დადასტურდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა მხრიდან სტუდენტთა მხარდაჭერა და შეფასების შედეგების გამოყენება მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 08 აგვისტოს N62 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
2. დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ “პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი”;
3. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინის შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	143
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	173
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	27

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	19

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	42

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	13

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;

დანართი 2. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის ბრძანება „სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმის დამტკიცების თაობაზე" სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2025 წლის 18 აგვისტოს №992705 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

დანართი 3. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

17.11.2025
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---